

რუსეთში სტუმრობა მხოლოდ მთავრობის ნებართვის შემდეგაა შესაძლებელი

A5



დაბრუნება

A6



მიწის ზემოთ და მიწის ქვემოთ

B1

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 11 ნოემბერი, 2005 წელი. №251 (1111)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### წინანდალი კვლავ „ნისლშია" გახვეული

წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის 49-წლიანი იჯარით გაცემის საკითხი, რაც დრო გადის, უფრო ბუნდოვანი ხდება. ოთხშაბათს ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, "ამბრელა კონსალტინგისთვის" მისი გადაცემის შესახებ, ახალი კითხვის ნიშნები დაბადა.

A2

## ამბები

### საკრებულოს ახალი ფრაქცია ჯერ არ დაუბინავებია

თბილისის საკრებულოში ახლადშექმნილი "დემოკრატიული ფრონტი" ჯერ კიდევ უკაბინეტო და უმანქანო ფრაქციაა. მერიისა და საკრებულოს აპარატს, ცოტა არ იყოს, უჭირს სამი კაცისთვის ცალკე ოთახის მოძებნა, თუმცა, მოუწევს. საკრებულო დღევანდელ სხდომაზე ახალ ფრაქციას დაამტკიცებს.

A3

## სხვადასხვა

### არაპროფესიონალიზმი თუ?



იმ მოვლენებს, რომლებიც ბოლო დროს საქართველოში, კერძოდ, თბილისში ხდება, ორი მხარე აქვს. უკანასკნელი ორი-სამი კვირის მანძილზე ჩვენ, საზოგადოება და ჩვენთან ერთად პოლიტიკოსები ხან ერთ ქანდაკებაზე ვმსჯელობთ, ხან მეორეზე, ხანაც წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მომავალზე.

B4

## ამინდი

| | 11/11 | 12/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 11 |
| ტყიბული | 11 | 13 |
| სოხუმი | 14 | 13 |
| დმანისი | 1 | 1 |
| გორი | 4 | 6 |
| ონი | 2 | 4 |
| ზუგდიდი | 14 | 15 |
| ახმეტა | 11 | 10 |
| გაგრა | 13 | 11 |
| სამტრედია | 14 | 15 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.1105 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.1247 |
| რუბლი | 0.0622 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| განცხადებები | A 7 |
| თავისუფლება | A 8 |
| ტენდერი | B 2 |
| კვირის TV პროგრამა | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# თავდაჯერებული მინისტრი

## და მოუმზადებელი ოპოზიცია

ინგა ალავიძე
სოფიკო ჩხაიძე

*"რაც შინაგან საქმეთა ორგანოებში ცუდი ხდება – ჩემი ბრალია, რაც კარგი – ჩემი თანამშრომლების დამსახურებაა," - განაცხადა სამთავრობო საათზე პარლამენტში მიწვეულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომლის ბრალეულობის ხარისხის დადგენა გუშინ საპარლამენტო ოპოზიციამ ნამდვილად ვერ შეძლო და ამის მიზეზი არ გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნაკლო მუშაობა.*

საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან სამთავრობო საათზე ვანო მერაბიშვილის მიწვევის მოთხოვნამ პირველად ზურაბ ჟვანიას დაღუპვიდან რამდენიმე დღეში გაიჟღერა. მას შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი სხვადასხვა მოვლენების ირგვლივ გაჩენილ კითხვებზე პასუხების მოსმენის სურვილი ოპოზიციონერ დეპუტატთა მხრიდან არაერთგზის გამოითქვა. ერთი მხრივ, ოპოზიციონერთა დაჟინებულმა მოთხოვნამ და, მეორე მხრივ, მერაბიშვილის რამდენიმეთვიანმა ყოყმანმა, პარლამენტში მის გუშინდელ ვიზიტს ინტრიგა შესძინა.

გაგრძელება A4 გვერდზე



მინისტრი და პოლიტიკური ფიგურა პარლამენტის წინაშე.

# კახა კუკავა ამტკიცებს, რომ კობა ბექაური სისხლის დალევით ემუქრება

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტარ კახა კუკავას მტკიცებით, დეპუტატ კობა ბექაურის მხრიდან მასზე ზეწოლასა და მუქარას აქვს ადგილი. კუკავას თქმით, ერთი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ, რომელშიც მან მოითხოვა, რომ ტერმინალ "ოპიზას" საქმიანობის შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიას გოგი თოფაძე და მერაბ ფიჩხაძე დაეკითხა, მას ტელეფონით დაუკავშირდა კობა ბექაური და დაემუქრა, რომ "მის სისხლს დალევდა."

ოპოზიციონერი დეპუტატი ირწმუნება, რომ თუ შესაბამისი ორგანოები მის სატელეფონო ჩანაწერებს შეისწავლიან, ის თავის სიმართლეს ადვილად დაამტკიცებს. კუკავა ბექაურზე მეთვალყურეობის დაწესებას მოითხოვს და მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ დროებითმა საპარლამენტო კომისიამ აღნიშნული ფაქტის გამოძიება დაიწყოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ტერაქტი იორდანიაში - „ალ ქაიდას" ხელწერა?

ნანა ნასყიდაშვილი

იორდანიის დედაქალაქ ამანში ოთხშაბათს მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა გუშინ საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაცია "ალ ქაიდა"-მ აიღო. იმის გამო, რომ აღნიშნული ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა, მისი გადამოწმება ჯერჯერობით შეუძლებელია. გაჩნდა მოსაზრება, რომ "ალ ქაიდა"-მ, უბრალოდ, ისარგებლა მომხდარით და საკუთარი "რეპუტაციის" ასამაღლებლად ხმამაღალი განცხადება გააკეთა. თუმცა, იორდანიის მაღალჩინოსნები მომხდარში "ალ ქაიდას" ხელწერას ხედავენ და ოთხშაბათს ათეულობით ადამიანის სიკვდილში ბრალს სწორედ აღნიშნულ ორგანიზაციას სდებენ.

გაგრძელება A5 გვერდზე




ერაყთან სიახლოვის მიუხედავად იორდანია აქამდე წყნარ და მშვიდობიან ქვეყნად ითვლებოდა.

# დედაქალაქის თვითმმართველობა - ქართული „ნოვაციები" და ევროპული პრაქტიკა

*თითქმის ნახევარწლიანი ინტერვალის შემდეგ, დედაქალაქის მთავრობა ვაკე-საბურთალოს რაიონში გამგებლის კანდიდატურაზე ფიქრს შეუდგა. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, თბილისის ხუთ რაიონში გამგებლების "კარუსელი" დატრიალდეს. ექსპერტების აზრით კი, გამგებლების ფუნქციადაკარგული ინსტიტუტი ძირეულ შეცვლას მოითხოვს.*

თამარ დვალი

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ვაკე-საბურთალოს რაიონს გამგებელი არ ჰყავს. შეგახსენებთ, რომ ავთანდილ დავითაძე საქართველოს პრეზიდენტმა ყაზბეგის გამზირზე მდებარე ბენზინგასამართი სადგურის უკანონო მშენებლობის ფაქტთან დაკავშირებით გაათავისუფლა. კულუარული ინფორმაციით, ქალაქის მთავრობა გამგებლებს შორის მორიგი "კარუსელის" დატრიალებას აპირებს. ვაკის გამგებლის გამოთავისუფლებულ ადგილს სავარაუდოდ ისანი-სამგორის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი დაიკავებს, მის ადგილზე კი, თბილისის მერიის კორპუსის სამსახურის უფროსს გიორგი ქველაძეს მოიაზრებენ. ჯერ გაურკვეველია, თუ ვინ დაიკავებს დაბა წყნეთის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობას. ასევე უცნობია, შეინარჩუნებენ თუ არა თავიანთ სკამებს სხვა რაიონის გამგებლები.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლება ცდილობს, გამგებლების თანამდებობაზე მისთვის სასურველი კანდიდატურები შეარჩიოს. ამის ფიქრის საფუძველს ისიც იძლევა, რომ დედაქალაქის ხელმძღვანელობამ სასურველი კანდიდატურების შერჩევა დღემდე ვერ შეძლო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქარელი ისევ სკანდალში ეხვევა

### "დროა, დაიწყოს მიხეილ ქარელის დასასრულის დასაწყისი!" ასეთია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ვერდიქტი

*გუშინ გორის რაიონის სოფელ ტყვიავში არსებული ვაშლის გადამამუშავებელი საამქროს, შპს "ანტონი და კომპანის" მეპატრონე გივი ჯამელაშვილი მხარის გუბერნატორის, მიხეილ ქარელის მძღოლმა და რამდენიმე ადამიანმა დილის ათ საათზე სცემეს. ცემის შედეგად ჯამელაშვილმა ტვინის შერყევა მიიღო. როგორც დაზარალებული აცხადებს, თავდასხმა უშუალოდ მიხეილ ქარელის დაკვეთით მოხდა.*

*ჯამელაშვილის ცემამდე ერთი დღით ადრე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანი დოლიძემ გორის ოფისში პრეზიდენტის რწმუნებულის, მიხეილ ქარელის მხრიდან ბიზნესმენების შევიწროებაზე და სამხარეო ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის ხელოვნურად დაბლოკვის შესახებ ისაუბრა. იმ დღეს, პრესკონფერენციაზე, ქარელის წინააღმდეგ განცხადებები ჯამელაშვილმაც გააკეთა.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

გივი ჯამელაშვილი ერთ-ერთი მეწარმეა, რომელმაც საკუთარი უფლებების დაცვა იურისტთა ასოციაციას სთხოვა. ბიზნესმენის განცხადებით, საწარმოს გაზი "გორი გაზმა" უშუალოდ მიხეილ ქარელის დავალებით შეუწყვიტა. გაზის გარეშე დარჩენილმა საწარმომ უზარმაზარი ზარალი მიიღო. 9 ნოემბერს რწმუნებულის წინააღმდეგ ჯამელაშვილის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს შედეგად ის მოჰყვა, რომ რწმუნებულის მძღოლმა და რამდენიმე ადამიანმა 10 ნოემბერს გივი ჯამელაშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ჯამელაშვილმა აღნიშნულთან დაკავშირებით გორის რაიონის პოლიციას მიმართა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქათმის გრიპის გავრცელება ლაგოდეხიდან არის მოსალოდნელი

*საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ლაგოდეხის რაიონული ცენტრი მეტად სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მათი თქმით, საქართველოს ქათმის გრიპის გავრცელების საშიშროება ლაგოდეხის რაიონიდან ემუქრება, რადგან ვირუსის მატარებელმა ფრინველმა-კარკასმა, აზერბაიჯანიდან-საქართველოზე სწორედ ამ რაიონზე გავლით უნდა გადაიფრინოს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობა საფრთხის წინაშე დგას, რადგან ქათმის გრიპი, რომელიც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ საშიშ ვირუსს წარმოადგენს, შესაძლოა პირველად ამ რაიონში გავრცელდეს. სპეციალისტების თქმით, დაინფიცირება გადამფრენი ფრინველებისგან ხდება. საქართველოში კი ორი ასეთი გზა არსებობს: შავი ზღვის სანაპირო ზოლი და გზა, რომელიც ვლადიკავკაზიდან მდინარე თერგის გასწვრივ მიდის. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლაგოდეხის რაიონული ცენტრის დირექტორის, ნუნუ ნოზაძის განმარტებით, კარკასი სწორედ ის ფრინველია, რომელიც ვირუსის მატარებელია. იგი აზერბაიჯანიდან, ლაგოდეხის რაიონის გავლით, საქართველოზე გადაიფრენს. **"ჩვენი რაიონი, დაავადების გავრცელების თვალსაზრისით, საკმაოდ საშიშ ზონას წარმოადგენს, დამშვიდების უფლება ნამდვილად არ გვაქვს,"** - აცხადებს ნუნუ ნოზაძე და აღნიშნავს, რომ დაავადებულ ფრინველთან ახლო კონტაქტით ადამიანიც ავადდება და არც დაცვის მექანიზმები არსებობს. პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მოსახლეობას ასეთი განცხადებებით აფრთხილებს: **"თუ თითოეულმა ადამიანმა დაიცვა ყველა ის პირობა, რომელიც ვირუსის თავიდან აცილების მიზნითაა აუცილებელი, ამ შემთხვევაში დაავადება აღარ გვექნება.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრემიერ-მინისტრის საგანგებო ვიზიტი უკრაინაში



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დღეს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით მიემგზავრება უკრაინაში, სადაც გამართავს შეხვედრებს უმაღლეს დონეზე.

დაგეგმილია ზურაბ ნოღაიდელის მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა უკრაინის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და ძვერხოვნა რადას" (პარლამენტის) თავმჯდომარესთან.

მოლაპარაკებათა თემა უკრაინა-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობისა და რეგიონული უშიშროების ზოგიერთი საკითხი იქნება.

პრემიერ-მინისტრი საქართველოში დღესვე დაბრუნდება.

*24 საათი*

## ქათმის გრიპის გავრცელება ლაგოდეხიდან არის მოსალოდნელი

პირველი გვერდიდან

**განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ სანადიროდ წასულ ადამიანებს, მათ აუცილებლად თან უნდა იქონიონ სუფთა წყალი, წყალსატევებიდან კი, ყველა შემთხვევაში, გადადუღებული წყალი უნდა მიიღონ. ნადირობის დროს, ნანადირევის შიგთავსი და გასუფთავებული ნაწილები აუცილებლად ადგილზე უნდა დაიწვას, აუცილებლად უნდა მოხდეს ნანადირევი ფრინველის თერმული დამუშავება, რათა ადამიანი არ დაავადდეს. სანადირო ძაღლებს უნდა დაუმუშავდეთ დრუნჩი და საპნით, კარგად უნდა მოიბანოს თათები. რაც შეეხება, ვირუსით დაავადებულ ხორცს, მისი დამახასიათებელი ნიშანი შინაგან ორგანოებზე სისხლჩაქცევების არსებობაა."**

მიუხედავად ასეთი მწვავე პრობლემისა, ლაგოდეხის რაიონის ხელმძღვანელობა დუმს და კომენტარების გაკეთებისგანაც თავს იკავებს.

## "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" სახელმწიფო ბიუჯეტში პირველ ტრანშს გადარიცხავს

"რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" პრივატიზაციის კონკურსში გამარჯვებული ქართული კომპანია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" დღეს სახელმწიფო ბიუჯეტში პირველ ტრანშს, 10 მილიონ დოლარს გადარიცხავს.

შეგახსენებთ, რომ "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" "რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" პრივატიზაციის კონკურსში გამარჯვებულად მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს დასახელდა. კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტში კომბინატის ძირითად ქონებაში 20 500 000 აშშ დოლარს გადაიხდის. პირველ გადასახადს, 10 მილიონ დოლარს დღეს დაფარავს, ხოლო დარჩენილ თანხას 13 დეკემბრამდე გადაიხდის.

"რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში" ქართული კომპანია "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი" ათეულობით მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს.

ჰონკონგში რეგისტრირებული "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის" დამფუძნებელი, ბრიტანეთში რეგისტრირებული შ.პ.ს "ჯორჯია სილ ჰოლდინგ ლიმითედია", ამ უკანასკნელის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი კი "აზიის გლობალური შესაძლებლობების განვითარების ფონდია." **ინტერპრესნიუსი**

## ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა აზიის განვითარების ბანკის დელეგაცია მიიღო

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ აზიის განვითარების ბანკის დელეგაცია მიიღო. შეხვედრაზე აზიის განვითარების ბანკში საქართველოს გაწევრიანების საკითხი განიხილეს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა სახელმწიფოები – სომხეთი და აზერბაიჯანი უკვე არიან აზიის განვითარების ბანკის აქციონერები. ბანკის დელეგაციის ვიზიტის მთავარი მიზანია საქართველოს მთავრობისათვის აზიის განვითარების ბანკში სავარაუდო გაწევრიანების პირობების გაცნობა.

აზიის განვითარების ბანკი 1966 წელს შეიქმნა. მისი წევრია 63 ქვეყანა. ბანკის უმსხვილესი აქციონერები არიან აშშ, იაპონია, ჩინეთი და ინდოეთი. ბანკის სათავო ოფისი მანილაში (ფილიპინები) მდებარეობს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აზიის განვითარების ბანკის 26 ოფისი ფუნქციონირებს. აზიის განვითარების ბანკში 50 ქვეყნიდან 2000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

2004 წლის ბოლოსათვის აზიის განვითარების ბანკის მთლიანი კაპიტალი 54.2 მლრდ აშშ დოლარი იყო. ამავე პერიოდში ბანკის მიერ 64 პროექტის დასაფინანსებლად გაცემული 80 სესხის მთლიანმა მოცულობამ 5.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

აზიის განვითარების ბანკის წევრები არიან აზერბაიჯანი (1999 წლიდან) და სომხეთი, რომელიც აღნიშნულ საფინანსო ორგანიზაციაში რამდენიმე თვის წინ მიიღეს.

გუშინვე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოსკოვში გაემგზავრა სადაც 11-12 ნოემბერს შუა აზიის, ბალკანეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის რიგით მეთოთხმეტე შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს. ***ინტერპრესნიუსი***

# ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმი "Invest in Georgia"

### ანუ რატომ უნდა დააბანდონ უცხოელებმა საქართველოში ფული

დიანა ჩაჩუა

*გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" საქართველოს ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმი "Invest in Georgia" გაიხსნა. ეს არის საქართველოს ბაზრითა და კავკასიით დაინტერესებულ ფინანსისტთა, ინვესტორთა, ბიზნესლიდერთა, მცირე და საშუალო მეწარმეთა საერთაშორისო მასშტაბის პირველი შეხვედრა, სადაც 18 ქვეყნის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე უმსხვილესი კომპანიები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, წამყვანი ექსპერტები და კერძო ბიზნესის წარმომადგენლები არიან წარმოდგენილნი.*



*ფორუმი "ქორთიარდ მერიოტში".*

ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმი "Invest in Georgia" გუშინ, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მისასალმებელმა სიტყვამ გახსნა. ნოღაიდელმა ფორუმის მონაწილეებს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებისაკენ მოუწოდა და ბევრი ისაუბრა საქართველოს მიერ ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებზე და სამომავლო ეკონომიკურ სტრატეგიაზე, რომლის გატარებასაც ქვეყანა გეგმავს. **"ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია მოხდა და პრივატიზაციის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობს,"** - მიმართავდა ნოღაიდელი ფორუმის მონაწილეებს. მან ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ წარმატებით განხორციელებულ პოლიციის რეფორმას. **"დღეს საქართველოში აღარ ირღვევა ადამიანის უფლებები, ამიტომ უცხოური ინვესტიციები საიმედოდ იქნება დაცული,"** - საუბრობდა პრემიერ-მინისტრი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გუშინ ფორუმის მონაწილეების მხრიდან შენიშვნები სწორედ ნოღაიდელის მიერ ნაქებ რეფორმებს შეეხო. როგორც ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში დონალდ მაკლარენმა განაცხადა, ათეულობით უცხოელ ბიზნესმენს საქართველოს ფინანსურ პოლიციასთან პრობლემები აქვს. მაკლარენის თქმით, ბიზნესმენების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით, ფინანსური პოლიცია მათთვის მინიჭებულ უფლებებს მნიშვნელოვნად აჭარბებს. დონალდ მაკლარენმა საქართველოს მთავრობას აღნიშნული პრობლემის მოგვარება მოსთხოვა.

ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ბრიტანელი ელჩის შენიშვნა გუშინ არ გაიზიარა. **"ჩვენ, რა თქმა უნდა, ვმუშაობთ საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების დახვეწის მიზნით. სამართლებრივი საკითხები უნდა მოგვარდეს, მაგრამ ის, რომ ვიღაცას დარღვევები აქვს და არ მოსწონს ფინანსური პოლიციის მოქმედება, გაუგებარია. მნიშვნელობა არ აქვს, ბიზნესმენი ქართველი იქნება, თუ უცხოელი. მთავარია, გადასახადი გადაიხადოს და მას ფინანსურ პოლიციასთან პრობლემები აღარ ექნება,"** - კატეგორიულად აცხადებდა მინისტრი.

შენიშვნები ჰქონდა ბიზნეს-ფორუმის კიდევ ერთ მონაწილეს. ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ფადი ასლიმ საქართველოს მთავრობა ბიზნესზე ზეწოლაში დაადანაშაულა. ბიზნესმენის განცხადებით, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემებია. კერძოდ, მისი თქმით, ბიზნესზე ზეწოლა ზემდგომი ორგანოებიდან კვლავ ხორციელდება. **"სანამ ბიზნესი შეშინებულ მდგომარეობაში იქნება, იქ ინვესტიციების მოზიდვა ვერასდროს მოხდება,"** - მიმართავდა ფადი ასლი ფორუმის სტუმრებს. ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ საქართველოში საინვესტიციო გარემოს შექმნაზე პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობასთან ერთად ქვეყანაში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც დააკისრა.

ბიზნეს-ფორუმის მიზანი ოფიციალურ განაცხადში ასეა ფორმულირებული: **"Invest in Georgia 2005" თავს უყრის საერთაშორისო ბიზნესერთობის წამყვან წარმომადგენლებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გასაცნობად, ბიზნეს-კლიმატის გასაუმჯობესებლად, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში საინვესტიციო და საპრივატიზაციო შესაძლებლობების განსახილველად."**

მთლიანობაში, ფორუმს 18 ქვეყნის ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები და ადგილობრივი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებიან. ღონისძიების მონაწილეებს შორის არიან ასევე, სტატისტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში კვლევებს ახორციელებენ.

როგორც აღმოჩნდა, უცხოელი ბიზნესმენები საქართველოში, ძირითადად, საბანკო-საფინანსო, სატრანსპორტო და ენერგეტიკული სექტორით ინტერესდებიან.

ფორუმის მონაწილეებმა გუშინ ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებაზე, ბიზნესსა და ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე და კერძო სექტორისთვის ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობაზე იმსჯელეს.

ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმი "Invest in Georgia" დღეს დასრულდება. თუმცა იქამდე, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები დილიდან ისევ შეიკრიბებიან სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" და საქართველოს და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე და ასევე სხვა საკითხებზე იმსჯელებენ.

ცნობისათვის, ღონისძიების ორგანიზატორები "ევროპის საფინანსო კონვენცია" (Europian Finans Convention), საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული საინვესტიციო სააგენტო და საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია არიან. გასული წლის 11 ნოემბერს "Invest in Georgia 2004" ლონდონში ჩატარდა. შემდეგ იყო გასვლითი ფორუმები რომში და ტოკიოში. **"ამჯერად მასშტაბები გაიზარდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპანიებმა თვითონ გამოთქვეს დაინტერესება ბიზნეს-ფორუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად,"** - აცხადებენ ფორუმის ორგანიზატორები. მათივე ინფორმაციით, მომავალი ბიზნეს-ფორუმი "Invest in Georgia" 2 მარტს, ნიუ-იორკში ჩატარდება.

# წინანდალი კვლავ „ნისლშია" გახვეული

გიორგი ასანიშვილი

წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის 49-წლიანი იჯარით გაცემის საკითხი, რაც დრო გადის, უფრო ბუნდოვანი ხდება. ოთხშაბათს ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, "ამბრელა კონსალტინგისთვის" მისი გადაცემის შესახებ, ახალი კითხვის ნიშნები დაბადა. მით უმეტეს, ამ გადაწყვეტილებამდე რამდენიმე საათით ადრე პარლამენტის ხელმძღვანელობა ოპოზიციას უმტკიცებდა, რომ ტენდერი აუცილებლად გადაიდებოდა.

რადგან ასე არ მოხდა, გუშინდელი პლენარული სხდომის გახსნისთანავე ხელისუფლების ოპონენტები შეტევაზე გადავიდნენ.

**"შოკირებული ვარ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც ირაკლი ჩოგოვაძის უწყებამ წინანდლის მუზეუმთან დაკავშირებით მიიღო. ამით მან პარლამენტს საჯარო შეურაცხყოფა მიაყენა,"** - განაცხადა კობა დავითაშვილმა. მისივე თქმით, არსებობს იმის საფრთხე, რომ რამდენიმე მილიონ ლარად შეფასებული სამუზეუმო ექსპონატები გაასხვისონ და ამის საკომპენსაციოდ, ჯარიმის სახით, სულ რაღაც, 24 ათასი ლარი იქნას გადახდილი.

უკმაყოფილებას გამოთქვამს ლევან ბერძენიშვილიც. მისი მტკიცებით, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, დღემდე არის იმის მცდელობა, რომ წინანდლის კომპლექსის სტატუსი რაც შეიძლება დაქვეითდეს და ის სახლ-მუზეუმის რანგიდან კულტურის ძეგლამდე ჩამოქვეითდეს. ოპოზიციონერი დეპუტატის აღშფოთებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ეკონომიკის სამინისტრომ გადაწყვეტილების მიღებისას იუნესკო-ს ექსპერტთა უარყოფითი დასკვნა არ გაითვალისწინა.

**"მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში საექსპონატო ნივთები იჯარით არ გაუციათ,"** - ხაზგასმით აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მიიჩნევენ, რომ ოპოზიციის მიერ დახატული საფრთხე გაზვიადებულია და ეკონომიკის სამინისტროს წინანდლის კომპლექსის გასხვისება არ მოუხდენია. **"არ მჯერა, რომ ასე მოხდა. მაგრამ რასაც ოპოზიცია ამბობს, თუ სიმართლეს შეეფერება, გამოდის, ეკონომიკის მინისტრს ის ტოტი მოუჭრია, რომელზეც თავად ზის,"** - გაურკვევლობაშია განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი.

თავის მხრივ, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც მიიჩნევს, რომ ეკონომიკის მინისტრის მიმართ ბრალდებების წაყენება ჯერ ნაადრევია. **"ამბრელა კონსალტინგთან" ხელშეკრულების გაფორმება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, როდესაც ყველა გონივრული შენიშვნა და წინადადება გათვალისწინებული იქნება. მით უმეტეს, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული კომპანია ამაზე უარს არ ამბობს. არგათვალისწინების შემთხვევაში კი ტენდერის შედეგები გაუქმებულად გამოცხადდება,"** - ამშვიდებს შეშფოთებულ კანონმდებლებს პარლამენტის სპიკერი.

მდგომარეობაში უკეთ გარკვევის მიზნით, ნინო ბურჯანაძე ნოდარ გრიგალაშვილს ავალებს, მომავალ კვირას ჩაატაროს გაფართოებული საკომიტეტო მოსმენა, რომელზეც ირაკლი ჩოგოვაძეც იქნება მიწვეული. იმ შემთხვევაში, თუ საკომიტეტო მოსმენა უშედეგო აღმოჩნდება, ეკონომიკის მინისტრს უფრო "მაღალი ინსტანციის სასამართლოში" - სამთავრობო საათზე მოუწევს დეპუტატებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა.

# სტამბულში ქართველი და აფხაზი ბიზნესმენების შეხვედრა გაიმართება

ქართველი და აფხაზი ბიზნესმენების შეხვედრა სტამბულში 10-15 ნოემბრისათვის დაგეგმილ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში გაიმართება. აფხაზეთის 5-კაციან დელეგაციას აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბა უხელმძღვანელებს. დელეგაციაში ასევე იქნებიან თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი აბესალომ კვარჭია, არასამთავრობო ორგანიზაცია "აფხაზ მეწარმე ქალთა კავშირის" თავმჯდომარე იულია გუმბა და მოადგილე ლოლიტა ზადე, ბიჭვინთის ტურისტული ფირმა "სამშიტოვაია როშას" დირექტორი ლუდმილა ლოლუა.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზური ხელისუფლება სტამბულში დაგეგმილ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობას პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს.

დაზუსტებული ინფორმაციით, თურქეთში ვიზიტის ფარგლებში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია, ქართველ ბიზნესმენებთან შეხვედრების გარდა, ქალაქ სტამბულსა და ატაპაზარში, თურქეთში მცხოვრებ აფხაზ მოჰაჯირთა შთამომავლებთან შეხვედრებს გამართავს, ასევე თურქეთის მოქალაქე, წარმოშობით აფხაზი ბიზნესმენების მიერ სხვადასხვა სფეროში აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელებისა და მათი აფხაზეთში დაბრუნების პერსპექტივებს განიხილავს. **ინტერპრესნიუსი**

# კვების მრეწველობის გამოფენა თბილისში

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს მე-2-ე საერთაშორისო კვების მრეწველობის გამოფენა - Inter Food Georgia 2005 გაიხსნა. გამოფენაში 11 ქვეყნის 20 წამყვანი კომპანია მონაწილეობს. აშშ-ს, ჰოლანდიის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, გერმანიის, რუსეთის, პოლონეთის, მოლდოვას და საქართველოს კომპანიები საკუთარ პროდუქციას 10-12 ნოემბერს წარმოადგენენ.

გუშინ გამოფენა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილემ გიორგი მახარაშვილმა გახსნა.

**"საერთაშორისო კვების მრეწველობის გამოფენა ქართულ პროდუქციას პოპულარიზაციას გაუწევს. მიმაჩნია, რომ ეს გამოფენა ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ადგილობრივი და უცხოური კომპანიების საქმიანობას საქართველოში,"** - განაცხადა გიორგი მახარაშვილმა.

საგამოფენო პავილიონში წარმოდგენილია კვების პროდუქტები, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები, ინგრედიენტები, საკვები დანამატები, შეფუთვა და შესაფუთი მოწყობილობები, სამაცივრო და სავაჭრო ინვენტარი.

გამოფენის ორგანიზატორები არიან ბრიტანული საგამოფენო კომპანია ITE Group PLC და მისი პარტნიორი საქართველოში Iteca Kavlasia. გამოფენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. **მედიანიუსი**

### მოკლედ

#### არაპრივატიზებული ბინების პრივატიზაციის წესი გამარტივდა

თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, დედაქალაქის იმ მაცხოვრებლებს, რომელთაც არაპრივატიზებული ბინების პრივატიზაცია სურთ, შეუძლიათ ეს პროცესი, გამარტივებული სახით, დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში მოაგვარონ.

თბილისის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული არაპრივატიზებული საცხოვრებელი ფართის განკარგვის უფლება ეძლევა რაიონულ გამგეობებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ თბილისის მთავრობას შეეძლო, სპეციალური განკარგულების საფუძველზე. **ჯი-ეჩ-ენი**

#### ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებისთვის სასჯელი გამკაცრდა

პარლამენტმა ხუთშაბათის პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით, 120 ხმით არც ერთის წინააღმდეგ, დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებისთვის სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას ითვალისწინებს. სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლალი ფაფიაშვილმა წარუდგინა. **ინტერპრესნიუსი**

#### "საქართველოს სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონში ცვლილებები შევიდა

პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო "საქართველოს სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონში ცვლილებები და დამატებები. ცვლილებები შეეხება პარლამენტში სარატიფიკაციო შეთანხმების წესებს, რომელიც სახელმწიფოს მიერ საგარეო ვალის აღებას, ან გრანტების მიღებას უკავშირდება. კანონმდებლობით, შეთანხმების განხილვისას, ფინანსთა სამინისტრომ და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უნდა წარმოადგინოს დასკვნა საკითხზე. დასკვნები უნდა წარადგინონ, ასევე, სხვა სტრუქტურებმა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კონკრეტული კრედიტებისა და გრანტების მიღებაზე. **ჯი-ეჩ-ენი**

#### გელა ბეჟუაშვილი რუმინეთის პრეზიდენტს ტრაიან ბაცესკუს შეხვდა

ბუქარესტში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუმინეთის პრეზიდენტს ტრაიან ბაცესკუს შეხვდა. მათ იმ პრიორიტეტებზე ისაუბრეს, რაც საქართველოს ახალ მეგობართა ჯგუფის შეხვედრაზე იქნა განხილული, რუმინეთის პრეზიდენტმა საქართველოს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. მისი თქმით, რუმინეთი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სფეროში თავის გამოცდილებას გაუზიარებს. ამ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების პროცესი რომ დაჩქარდეს, რუმინეთი შეეცდება მოიპოვოს სხვა ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერა ამ მიმართულებით; რუმინეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავებაში. რუმინეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებას შეეხება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა რუმინეთის პრეზიდენტს გადასცა საქართველოს პრეზიდენტის მოწვევა 23 ნოემბერს, თბილისში, "ვარდების რევოლუციის" ორი წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულზე. გელა ბეჟუაშვილმა რუმინეთის მხარის დადებითი პასუხი მიიღო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ბუქარესტში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მეგობართა ახალი ჯგუფის შეხვედრში, სადაც NATO-სთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის, რეგიონული თანამშრომლობის განვითარების საკითხები განიხილეს. მეგობართა ახალ ჯგუფში შედიან: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, ბულგარეთი და რუმინეთი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კახა კუკავა ამტკიცებს, რომ კობა ბექაური სისხლის დალევით ემუქრება

პირველი გვერდიდან

**"არა ვარ უშიშარი, ვითარცა უხორცო, მაგრამ კობა ბექაურის ნამდვილად არ მეშინია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ "ოპიზას" საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. რაც მალე ჩამოვაშორებთ ამ გარეწარ ბექაურს პარლამენტს, მით უკეთესი იქნება,"** - აცხადებს კახა კუკავა.

მის მიერ გაჟღერებულ ბრალდებაზე საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრებს, ცხადია, განსხვავებული მოსაზრება აქვთ.

**"არა მაქვს საფუძველი, კახა კუკავას განცხადება დავიჯერო ან არ დავიჯერო. თუ მართლა ისე მოხდა, როგორც კახა ამბობს, ეს ძალიან სამწუხაროა და ბექაურს კორექტულ საქციელში ნამდვილად ვერ ჩაეთვლება,"** - რბილად ტუქსავს თანაფრაქციელს ნინო კალანდაძე, რომელიც იქვე იმასაც შენიშნავს, რომ **"მსგავსი განცხადებები საჯაროდ არ უნდა გაკეთდეს".**

**"ოპიზასთან" დაკავშირებული ყველა საკითხი გაუხმაურებელი უნდა იყოს. ახლო მომავალში საგამოძიებო კომისია თავად გამოყოფს პირს, რომელიც მასმედიას ინფორმაციას მიაწვდის,"** - დასძენს კალანდაძე.



*ოპოზიციონერი დეპუტატი ირწმუნება, რომ თუ შესაბამისი ორგანოები მის სატელეფონო ჩანაწერებს შეისწავლიან, ის თავის სიმართლეს ადვილად დაამტკიცებს.*

საპირისპირო შეხედულებას გამოთქვამს ფიქრია ჩიხრაძე. **"ვფიქრობ, დროებითმა საგამოძიებო კომისიამ კუკავას განცხადებაზე სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინოს. როდესაც კომისიის წევრზე ზეწოლის განხორციელებას ცდილობენ, ხომ წარმოგიდგენიათ, იმათ თავზე რა დატრიალდება, ვინც ჩვენ მასალები და ინფორმაციები უნდა მოგვაწოდოს,"** - შეშფოთებას ვერ მალავს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი.

რაც შეეხება დროებითი საგამოძიებო კომისიის გუშინდელ სხდომას, ის, ტრადიციულად, დახურულ კარს მიღმა ჩატარდა. კომისიის წევრებმა დაამტკიცეს სამოქმედო გეგმა, გადაინაწილეს ფუნქციები და შეთანხმდნენ, ვინ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს.

# დედაქალაქის თვითმმართველობა - ქართული „ნოვაციები" და ევროპული პრაქტიკა

პირველი გვერდიდან

როგორც თბილისის მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

**"შესაძლოა, გარკვეული ცვლილებები მართლაც მოხდეს. არ გამოვრიცხავ, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონში გიორგი ქორქაშვილი გადმოვიყვანოთ, თუმცა ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის. მას შემდეგ, რაც ჩამოვყალიბდებით, საკადრო ცვლილებების შესახებ განცხადებასაც გავაკეთებთ. მანამდე გაირკვევა ისიც, თუ ვინ დაიკავებს თბილისის ვიცე-პრემიერის ადგილს,"** – განაცხადა ახვლედიანმა.

თბილისის მერიაში ამჟამად ახალ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს, რომლის განხილვაც ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებამდე უნდა მოესწროს. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, თბილისისის გამგეობები გაერთიანდნენ და მმართველობა ორ ნაწილად დაიყოს - მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროდ. აღნიშნულ ინფორმაციას მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსი მამუკა ახვლედიანი უარყოფს.

**"არა მგონია, გამგეობების გაერთიანება მოხდეს. პირიქით, ჩვენ გვსურს არსებულს კიდევ ერთი გამგეობა დავუმატოთ. რომელ რაიონში მოხდება ეს და როდის, ჯერ გაურკვეველია. რაიმე კონკრეტულ პროექტზე საუბარი არ შემიძლია,"** – აღნიშნა ახვლედიანმა.

თბილისის ადმინისტრაციული მოწყობის კონცეფციაზე მუშაობა მერიის აპარატში მართლაც მიმდინარეობს. თბილისის მერიასა და გაერო-ს განვითარების ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა კონკრეტული კონცეფცია ჩამოაყალიბა. მოიწონებს თუ არა მერია შეთავაზებულ იდეას, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

**"კონცეფცია სულ 55 სფეროს მოიცავს. იგი ეხება ყველაფერს, არჩევნებით დაწყებული – ნაგვის გატანით დამთავრებული. ჩვენი რეკომენდაციის მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს თვითმართველი ერთეულები. საუბარია დაახლოებით 15 მუნიციპალიტეტზე. მუნიციპალიტეტების დაყოფა მოხდება უბნების მიხედვით, თუმცა არა ისტორიული უბნების მიხედვით. მთავარი იდეა არის ის, რომ თვითმართველი ორგანოები იყოს თვითკმარი, ანუ მათ თავისი შემოსავლებით საკუთარი თავის დაფინანსება შეძლონ. ამის განხორციელება სტრუქტურულად ადვილია. ეს გულისხმობს გამგეობების ქვემოთ კიდევ მუნიციპალიტეტების არსებობას, რაც ამ ეტაპზე არ გვაქვს,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გაერო-ს განვითარების ფონდის ექსპერტმა ლევან მოსახლიშვილმა.

დღეისათვის თბილისში 17 საქალაქო სამსახური და 5 გამგეობაა,.ექსპერტების აზრით, მათ შორის ფუნქციები მკვეთრად არ არის გამიჯნული, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის. როგორც გაირკვა, გამგებლებს ადგილზე თითქმის არც ერთი პრობლემის გადაწყვეტა არ შეუძლიათ. ნებისმიერი საკითხი, რაც მოსახლეობას აწუხებს, იქნება ეს გზები, სანიაღვრე ქსელი თუ სხვა, გამგეობებში ვერ გვარდება.

თბილისში არსებულ ხუთ რაიონულ გამგეობას საკუთარი ბიუჯეტი აქვს. თითოეულ მათგანს საკრებულო უსაზღვრავს შემოსავლების ოდენობას. აქედან გამომდინარე, ყველა რაიონს ბიუჯეტში სხვადასხვა ოდენობის თანხა აქვს ჩადებული. ექსპერტების აზრით, თვითმართველობის ეფექტიანობისთვის სახელმწიფომ ორი გზიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. პირველი ის, რომ თბილისს ჰქონდეს ერთიანი ბიუჯეტი და ტარდებოდეს ერთიანი პოლიტიკა, ან მოხდეს თბილისის დაყოფა მუნიციპალიტეტებად.

*დავით ნარმანია - "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრი:* **"მუნიციპალიტეტები დღევანდელი გამგეობების ფორმით არ უნდა არსებობდეს. საჭიროა, შეიქმნას არჩევითი ორგანოები, რომლებსაც ფუნქციები კანონმდებლობით განესაზღვრებათ, რის საფუძველზეც მოხდება დაფინანსება. მხოლოდ ასეთ მუნიციპალიტეტებში არის შესაძლებელი ცალკე ბიუჯეტების არსებობა. დღეს ერთიანი პოლიტიკა არ არსებობს. ერთმა რაიონულმა გამგეობამ შეიძლება სხვა სახის ღონისძიებები დააფინანსოს, მეორემ - სხვა. მთელ რიგ შემთხვევებში ფინანსდება ისეთი სახის ღონისძიებნები, რომლებიც საერთოდ არ არის ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია და უფრო ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. მაგალითად: თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდება საპენსიო დანამატი, რომელიც საერთოდ არ არის ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია. თვითმართველობის მთავარი პრინციპი არის ის, რომ ხალხი ირჩევს თვითმართველობის ორგანოს, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი და კომპეტენციები. დღეს საქალაქო სამსახურებსა და გამგეობებს შორის ფუნქციები მკვეთრად გაუმიჯნავია."**

ევროპის საბჭოს რეგიონული და ადგილობრივი კონგრესის ექსპერტთა საბჭოს წევრის, დავით ლოსაბერიძის აზრით, რაიონების გამსხვილება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამ შემთხვევაში მართვის ეფექტურობა დაიკარგება.

**"თბილისის მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ 20, 25 ერთეულის ჩამოყალიბებაზე. ევროპული პრაქტიკის მიხედვით, რაიონზე უფრო მცირე ერთეულში არსებობს წარმომადგენლობითი და აღსმასრულებელი არჩევითი ორგანოები, რომელთაც აქვთ თავისი განსაკუთრებული ფუნქციები, კომპეტენციები და უფლებამოსილებანი. მაგალითად, სანიაღვრე ქსელები და ქუჩის სკვერები, რომლებიც ერთ კონკრეტულ უბანშია თავმოყრილი, შესაძლებელია სამართავად გადავცეთ რაიონის, უბნის თვითმართველობას. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რას აპირებს, ანუ როგორ წარმოუდგენია თვითმმართველობის მოწყობა. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ორი პრინციპული ფაქტორის - ევროპული ტენდენციებისა და საქართველოში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თვითმმართველობის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი მსჯელობა არ ყოფილა. თუ ყოფილა, მხოლოდ იმ კუთხით, თუ როგორ შეენარჩუნებინათ და გაემყარებინათ ძალაუფლება,"** – განაცხადა ლოსაბერიძემ.

თუკი ევროპის მაგალითზე ვიმსჯელებთ, ყველა დედაქალაქში ერთიანი სისტემა მუშაობს - დაწყებული რომიდან, დამთავრებული ვარშავით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (ძირითადად გამონაკლისები ეხება მეგაპოლისებს, როგორიცაა პარიზი, ლონდონი და მადრიდი). სხვა შემთხვევებში არსებობს ცალკე მუნიციპალიტეტები. იქ, სადაც არსებობს ადგილობრივი ბიუჯეტი, უნდა არსებობდეს კიდეც წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც გააკონტროლებს ამ ბიუჯეტს.

2005 წლის თებერვალში, ბუდაპეშტში გამართულ თათბირზე, სადაც თვითმართველობისა და რეგიონული მმართველობის პასუხისმგებელი სამინისტროები იღებდნენ მონაწილეობას, ევროპის ყველა ქვეყნისათვის მიიღებული იქნა რეკომენდაციები. ევროპა მიდის უნიფიკაციისკენ, რაც არა მხოლოდ თვითმმართველობის სტრუქტურას, არამედ ამ ინსტიტუტის არჩევნებსაც ეხება, თუმცა არჩევნები ცალკე თემაა...

# ქარელი ისევ სკანდალში ეხვევა

პირველი გვერდიდან

საწარმოს ერთ-ერთი თანამშრომელი ნანი ხუბაშვილი პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში ადასტურებს, რომ საწარმოში გუბერნატორის მძღოლი და რამდენიმე ადამიანი შეიჭრნენ და სწორედ მათ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა ჯამელაშვილს. აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს მიხეილ ქარელის მძღოლი გია პაპიაშვილი, მისი თქმით ის ორი დღეა, ავად არის.

გუშინ იურისტთა ასოციაციის გორის ოფისმა ჯამელაშვილის ცემას კიდევ ერთი პრესკონფერენცია მიუძღვნა. **"ჩვენს გუშინდელ პრესკონფერენციას, სადაც ბიზნესმენთა შევიწროვებაზე ვისაუბრეთ, დღეს მოჰყვა ძალიან შემაშფოთებელი ფაქტი, ბიზნესმენი სცემეს, რამაც ფაქტობრივად დაადასტურა ის ფაქტი, რომ გივი ჯამელაშვილის წინააღმდეგ უშუალოდ მიხეილ ქარელი იბრძვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ვითხოვთ ამ ფაქტის გამოძიებას, რათა დადგინდეს დამნაშავე. ჯამელაშვილზე ზეწოლა ხორციელდება,"** - განაცხადა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელმა ქეთევან ბებიაშვილმა.

გივი ჯამელაშვილის თქმით, საწარმოში მივარდნილი 30 ადამიანი იგივე სიტყვებს იმეორებდა, რაც მას გუბერნატორმა უშუალოდ განუცხადა - სანამ სოფელში გაზი არ იქნება გაყვანილი, საწარმოს გაზი არ ექნება და შენ სოფელში ვერ ამოხვალო.

**"ეს არის მიხეილ ქარელის დავალება, რომელმაც ჩემთან ანგარიშსწორების სხვა ხერხი ვერ მოძებნა. ქარელს ორი ბატი არ ენდობა და ამხელა რეგიონს როგორ ანდობენ,"** -ასეთ კომენტარს აკეთებდა ცემის შემდეგ გივი ჯამელაშვილი.

ჯამელაშვილმა გაზსადენი ტყვიავში საკუთარი ხარჯებით გაიყვანა და არც იმისი წინააღმდეგი იყო, მილსადენით მოსახლეობასაც ესარგებლა. მილსადენის გახსნას ქარელი ვერ დაესწრო, რამაც პიარზე მომუშავე გუბერნატორი ააღელვა.

გუბერნატორისგან კომენტარის მიღება ვერ ხერხდება. იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტმა საჯარო მოხელეებს ტელეფონებზე პასუხის გაცემა დაავალა, ქარელის მობილურს ორი დღეა, სხვა პირი პასუხობს და გვთხოვს, მოგვიანებით დავრეკოთ.

"გორი გაზის" ადმინისტრაციაში კი აცხადებენ, რომ ჯამელაშვილისთვის გაზი მათ არ ჩაუჭრიათ და **"ბატონმა გივიმ უკეთესად იცის, ეს საქმე ვინც გააკეთა"**. ჯამელაშვილის თქმით, გაზსადენის ჩაჭრის ბრძანება შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ მარლენ ნადირაძემ გასცა, ხოლო მეორე მოადგილე გიორგი მჭედლიშვილი უშუალოდ ადევნებდა თვალყურს მილის ჩაჭრის პროცედურას. მარლენ ნადირაძე კატეგორიულად უარყოფს ამ საკითხთან რაიმე კავშირს. გიორგი მჭედლიშვილი კი ადასტურებს, რომ მილსადენის ჩაჭრის ფაქტს ესწრებოდა: **"ეს მილსადენი პროექტის გარეშე გაკეთდა და ფუნქციონირების გაგრძელების შემთხვევაში უბედური შემთხვევა არ გამოირიცხებოდა. ჩაჭრილი რომ იყო, კარგად არ ჩანდა და ორ მეტრზე მილი იმიტომ ამოვჭერით".**

**"გორისა და შიდა ქართლის მოსახლეობა არ იმსახურებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისეთი პიროვნების ყოფნას, როგორიცაა მიხეილ ქარელი. ჩვენ უნდა დავიწყოთ სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება, რათა მოვთხოვოთ საქართველოს პრეზიდენტს, რომ ქარელი გათავისუფლდეს თანამდებობიდან. თუნდაც ერთი ბიზნესმენის გივი ჯამელაშვილის მიმართ პირდაპირი ზეწოლა კმარა, რომ დადგეს მიხეილ ქარელის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ჩვენ გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივად დაშვებულ საშუალებას, რათა პრეზიდენტს გავაგებინოთ, რომ მიხეილ ქარელი ჩვენ არ დაგვიმსახურებია. მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში ასეთი სავალალო მდგომარეობა და "ხელგაშლილი" ზეწოლა, ბიზნესის ხელში ჩაგდების მიზნით, საქართველოს არც ერთ რეგიონში არ არის. დროა დაიწყოს მიხეილ ქარელის დასასრულის დასაწყისი,"** - ასეთი კომენტარი გააკეთა გორში ჩამოსულმა ანა დოლიძემ 9 ნოემბერს პრესკონფერენციაზე.

**"მიუხედავად იმისა, რომ გაზის სამმართველოსთან გაფორმებული მაქვს ხელშწეეკრულება, გაზს მოვიხმართ უკვე ერთი თვეა და გადახდილი გვაქვს გადასახადიც, ყველანაირი გაფრთხილების გარეშე გაგვითიშეს გაზი, მერე მილიც გადაჭრეს და დაახლოებით ორი მეტრი მილი საერთოდ ამოჭრეს. ამაზე განმარტებას ვერავინ იძლევა, ინიციატივა მოდის უშუალოდ მიხეილ ქარელისგან. ქარელმა პირადად განმიცხადა, ჩემს გარეშე რატომ ჩაირთო გაზი, სანამ მთელს სოფელში გაზი არ იქნება, ქარხანას გაზი არ უნდა ჰქონდესო. არსებობს სამი ვარიანტი: ან არის კონკურენტების დაკვეთა, რათა გაკოტრდეს და გაჩერდეს საწარმო; მეორე ვერსიაა, რომ ვინმე დაინტერესდა ნაგვის გორაზე აშენებული ქარხნის ხელში ჩაგდებით. მესამე ვერსიაა, რომ ქარხანა გააკოტრონ და ასე ჩაიგდონ ხელში,"** - ამბობს ბიზნესმენი გივი ჯამელაშვილი.

ხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა უცხოური ინვესტიციების და ბანკის კრედიტის ხარჯზე მოხდა, ცხადია უზარმაზარი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობა დიდ პრობლემებს შეუქმნის როგორც მეწარმეს, ასევე ქვეყანასაც. საწარმოში დასაქმებულია 50 ადამიანი, რომლებიც ლუკმა-პურის გარეშე დარჩნენ.

"სამწუხაროა, როცა საქართველოში დასაქმების დიდი პრობლემაა და ქვეყნის პრეზიდენტს პრიორიტეტად ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე გამოცხადებული აქვს მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, რეგიონში ასეთი რაღაცეები ხდება. ერთი ადამიანის ახირების გამო, რომ ის არ დაასწრეს სოფელში გაზის ჩართვის პროცესს, რამდენიმე ათეულობით ოჯახი უმუშევრად რჩება. სამწუხაროა, რომ ასეთ ფაქტებს პრეზიდენტი ყურადღებას არ აქცევს. მეწარმეს აუცილებლად უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც მიადგა რწმუნებულის თვითნებური საქციელის გამო და მას უნდა მოეთხოვოს სერიოზული პასუხი," - ასეთი კომენტარით დატოვა ანა დოლიძემ გივი ჯამელაშვილის საწარმო, რომელიც პრესკონფერენციის შემდეგ მოინახულა.

## საკრებულოს ახალი ფრაქცია ჯერ არ დაუბინავებია

*თბილისის საკრებულოში ახლადშექმნილი "დემოკრატიული ფრონტი" ჯერ კიდევ უკაბინეტო და უმანქანო ფრაქციაა. მერიისა და საკრებულოს აპარატს, ცოტა არ იყოს, უჭირს სამი კაცისთვის ცალკე ოთახის მოძებნა, თუმცა, მოუწევს. საკრებულო დღევანდელ სხდომაზე ახალ ფრაქციას დაამტკიცებს.*

ნანა ქადაგიშვილი

"დემოკრატიული ფრონტის" "რესპუბლიკელი" წევრები, ვაჟა იმნაიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი (რომლებიც აქამდე ფრაქციის გარეთ იყვნენ დარჩენილები) უკაბინეტობას ადრეც უჩიოდნენ. **"ჩვენთვის ვერა და ვერ გამოიძებნა ოთახი, როცა ზოგ ფრაქციას დაკეტილი ოთახებიც კი აქვს,"** – ჩიოდნენ უფრაქციო დეპუტატები. ამჯერად კი, მერიისა და საკრებულოს აპარატს მეტი გზა აღარ დარჩება. "დემოკრატიული ფრონტის" წევრებს საკრებულოს იურიდიულ კომისიაში უკვე შეტანილი აქვთ განაცხადი, რომელიც დღევანდელ სხდომაზე დაკმაყოფილდება. **"რა უფლება გვაქვს, სამი კაცისგან შემდგარი ფრაქცია არ დავამტკიცოთ,"** – აცხადებს უმრავლესობა.

ასე რომ, აპარატის ხელმძღვანელობას კაბინეტის გამოძებნა მოუწევს. ახალ ფრაქციას, სავარაუდოდ, მერია-საკრებულოს შენობის იმ ნაწილში დააბინავებენ, სადაც კონტროლის პალატაა განთავსებული. **"მართალია, თავისუფალი ოთახები არ გვაქვს, მაგრამ როცა ფრაქცია დარეგისტრირდება, მეტი რა გზა გვექნება, ოთახი უნდა გამოვუყოთ. ალბათ, შენობის კონტროლის პალატის ნაწილში თუ მოვძებნით რამეს,"** – აცხადებს მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსი ახვლედიანი. რაც შეეხება მანქანას, რომელიც ფრაქციის თავმჯდომარეს ეკუთვნის, მისი გამოძებნა აპარატის ხემძღვანელობას კაბინეტზე მეტად გაუჭირდება.

ამის გარდა, ქალაქის მთავრობასა და საკრებულოს თბილისის ბიუჯეტშიც მოუწევს ცვლილებების შეტანა. ქალაქის ბიუჯეტს სამკაციანი ფრაქცია თვეში 3 610 ლარი დაუჯდება (2180 ლარი – დეპუტატების ხელფასი, 600 ლარი – დაქირავებული ექსპერტ-კონსულტანტების ანაზღაურება. 150 ლარი - ფრაქციის თავმჯდომარის მობილურის ხარჯები და 680 ლარი – ბენზინის ხარჯები).

სხვათა შორის, მერიისა და საკრებულოს საბიუჯეტო ხარჯები წლის დასაწყისიდან დღემდე მილიონ 216 ათასი ლარით გაიზარდა. აქედან ლომის წილი მიმდინარე ხარჯებზე მოდის, ანუ მერია-საკრებულოს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 500 ათასი ლარით გაიზარდა, დამქირავებლიდან ანარიცხები – 100 ათასი ლარით, სხვა ხარჯები (სხვა საქონელი და მომსახურება) – 380 ლარით. მილიონ 280 ათასიდან დარჩენილი თანხა კი კაპიტალურ ხარჯებს (კონკრეტულად, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობის კაპიტალური რემონტის ხარჯებს) ემატება. მთავრობისა და საკრებულოს შენახვა 2005 წლის ბიუჯეტს მთლიანად 8 მილიონ 133 ათას 600 ლარი უჯდება.

## მოკლედ

### მერი ისრაელში ვერ გაემგზავრა

თბილისის მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსის მამუკა ახვლედიანის ინფორმაციით, ხვალ იწყება თბილისის მთავრობის წევრების ვიზიტი ისრაელში, ქალაქ იერუსალიმში. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში იგეგმებოდა თბილისის მერის გიგი უგულავას გამგზავრებაც, მაგრამ ვიზიტი მერის ავადმყოფობის გამო არ შედგება. თბილისის მერს ჩაენაცვლება თბილისის ვიცე-პრემიერი გიორგი მელაძე. გარდა გიორგი მელაძისა, ისრაელში გაემგზავრებიან თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი და არქიტექტორის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ნიკა ჩხაიძე. ვიზიტი სამ დღეს გაგრძელდება. შეხვედრები, ძირითადად, იერუსალიმის მერთან და ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან გაიმართება. **ჯი-ეჩ-ენი**

### თბილისში გზების აღდგენაზე მუშაობა ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება

წელს თბილისში გეგმით გათვალისწინებულ, გზების 80 პროცენტზე ასფალტის საფარი უკვე დაგებულია. როგორც "მედიანიუსს" თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარმა ინჟინერმა, მერაბ შავლაძემ განუცხადა, გზების აღდგენაზე მუშაობა ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდება. ატმოსფერული ტემპერატურა გზების შეკეთების საქმეში დიდ როლს ასრულებს. როცა ტემპერატურა +7 გრადუსზე ქვემოთ არის, ასფალტის დაგებას აზრი არ აქვს. მუშაობაში ხელს შეგვიშლის წვიმაც. თუ ამინდები ხელს შეგვიწყობს, ქალაქის რამდენიმე რაიონში დაწყებულ სამუშაოებს დავასრულებთ, ხოლო შემდეგ გზების საფარის შეკეთება 2006 წლის თებერვლიდან განახლდება," - განაცხადა მერაბ შავლაძემ. მისივე თქმით, პირველ რიგში, ასფალტის საფარი აღმაშენებლის ხეივანში და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე უნდა დაიგოს. **მედიანიუსი**

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა

1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, ჰემანგიომების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმოაბრაზია
5. ქიმიური პილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. წარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

UNOMIG МООННГ

United Nations Observer Mission in Georgia
МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

**განცხადება**

გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში ესაჭიროება კონტრაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ტაქსით მომსახურებას თბილისის ოფისისათვის.

შესაბამის ტაქსის სამსახურებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ტენდერში, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო საბუთები გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში, კრწანისის 38, თბილისი, 14 ნოემბრიდან 2005 18 ნოემბრის ჩათვლით.

შევსებული საბუთები მოგვაწოდეთ დაბეჭდილ კონვერტში, არა უგვიანეს 24 ნოემბრისა, ადგილობრივი დროით 12.00 საათამდე გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში.

# თავდაჯერებული მინისტრი და მოუმზადებელი ოპოზიცია

პირველი გვერდიდან

ამას ემატებოდა ოპოზიციის მიერ, სამთავრობო საათამდე რამდენიმე დღით ადრე, იმ თემების გახსენება, რომლებიც საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს და რომელთა ირგვლივაც დეპუტატები პასუხებს ითხოვდნენ.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გუშინდელმა სამთავრობო საათმა გამწვავების გარეშე ჩაიარა და არა იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აბსოლუტურად უნაკლოდ მუშაობს, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს საპარლამენტო უმრავლესობა, და არც იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ყველა შეკითხვას ამომწურავად უპასუხა, არამედ: ჯერ ერთი, სამთავრობო საათის რეგლამენტი მწვავე დებატებს ფაქტობრივად გამორიცხავს და დეპუტატების მხრიდან შეფასებების გაკეთების საშუალებას არ იძლევა, მეორეც – ამდენი ხნის ნანატრ მინისტრს, პარლამენტში სტუმრობისას ოპოზიცია შესაბამისად მომზადებული ვერ დახვდა. მერაბიშვილისთვის დასმული შეკითხვები ან იმდენად ზოგად ხასიათს ატარებდა, რომ მინისტრს მწვავე მომენტებისთვის თავის არიდება არ გასჭირვებია, ანდა იმდენად კონკრეტულ საქმეს ეხებოდა, რომ კითხვის დამსმელის გარდა მასზე პასუხის მოსმენა არავის აინტერესებდა. შედეგად კი, პარლამენტის გაუმჯობესებული ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენების ანუ მინისტრის პასუხების დამადასტურებელი ვიდეომასალის ჩვენების ფონზე, ვანო მერაბიშვილს საშუალება მიეცა, ვრცლად ესაუბრა ისეთ, ყველა მისი წინამორბედის საყვარელ თემებზე, როგორიცაა დანაშაულის აღრიცხვიანობის გაუმჯობესება, მძიმე დანაშაულთა კლება, დანაშაულთა გახსნის მაჩვენებლების მატება, შინაგან საქმეთა ორგანოებში კორუფციასა და დარღვევებთან ბრძოლა და სხვა. მინისტრს არც ქვეშევრდომთა მიმართ მადლიერების გამოხატვა დავიწყებია: მადლიერებას ზოგადად საპატრულო პოლიციის, სპეცრაზმელების, გენერალური ინსპექციის გარდა კონკრეტული ადრესატებიც ჰყავდა. მეტიც, მერაბიშვილის გამოსვლა აღსავსე იყო სიამაყით, როგორც იმის გამო, რომ მისმა თანამშრომლებმა თვით უწყების შიგნით კანონდამრღვევ თანამშრომელთა უპრეცედენტო რაოდენობა გამოავლინეს, ასევე იმით, რომ მის გვერდით არიან ისეთი თანამშრომლები, როგორიცაა ოპოზიციის არაერთი პრეტენზიის ადრესატი დათა ახალაია. მან აბსურდული უწოდა ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ბრალდებას, თითქოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ადამიანებს კაბინეტში იბარებს და ფიზიკურად უსწორდება.

**"დათა ახალაია ის პიროვნებაა, რომელიც აქტიურად გვეხმარებოდა "ვარდების რევოლუციის" დროს. კერძოდ, ორგანიზებას უკეთებდა ავტობუსების ჩამოყვანას, პენსიონერების შეკრებას და დროშების მოტანას. მე ვამაყობ, რომ ასეთ ხალხთან მიწევს მუშაობა. ისინი ისე პროფესიონალურად ახორციელებენ ოპერაციებს, რომ ქრთამის აღების ფაქტზე გამოცდილ მოსამართლეებსა და პროკურორებსაც კი იჭერენ,"** - თქვა მერაბიშვილმა და არც თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მიმართ ელენე თევდორაძის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს დაეთანხმა. როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ბალათურიას ნარკორეალიზაციასთან კავშირის მქონე პოლიციელის მფარველობაში, კერძოდ, მის სამსახურებრივ დაწინაურებაში ადანაშაულებდა.

**"მერაბ ბალათურია ძველი პროფესიონალია, მაგრამ მან ძალზე მალე აუღო ალღო ახალ ცხოვრებას და შეძლო ურთულესი რამ, დედაქალაქში წესრიგის დამყარება, რისთვისაც მადლობას ვუხდი. შეცდომა კი ყველას შეიძლება მოუვიდეს, მათ შორის მეც. რაც მთავარია, ეს შეცდომა გამოსწორდა და ის პოლიციელი დაპატიმრებულია,"** - განაცხადა მინისტრმა.

სწორედ ასეთი თანამშრომლების მიღწევად მიიჩნევს შინაგან საქმეთა მინისტრი იმ დიდ წინსვლას, რომელიც უმძიმესი მემკვიდრეობის მქონე უწყებაში ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელდა.

## მინისტრის თვალით დანახული მიღწევები

გაზრდილი დანაშაულის ფონი, შეულამაზებელი სტატისტიკა - ასეთია შს მინისტრის განმარტება დანაშაულის ზრდასთან დაკავშირებით პარლამენტართა მიერ გამოთქმულ პრეტენზიაზე. დანაშაულის მატებას შს მინისტრი რეალური აღრიცხვიანობით ხსნის და ირწმუნება, რომ ძველი, მავნე ტრადიცია დანაშაულის დამალვისა, წარსულს ჩაბარდა, ახლა აღირიცხება ყველა მომხდარი დანაშაული, რამაც სტატისტიკური მაჩვენებლის გაზრდაც გამოიწვია. **"გაზრდილია დანაშაულის რეგისტრაცია, დანაშაული აღარ იმალება,"** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და პარლამენტართა დასარწმუნებლად მისი უწყების მიერ დამზადებულ სტატისტიკურ მაჩვენებელთა კომპიუტერული გრაფიკა წარმოადგინა. შს მინისტრის ინფორმაციით, საგრძნობლად იკლო, მეტიც, ფაქტობრივად, აღარ ხდება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები – ადამიანის გატაცება და შეკვეთილი მკვლელობები. ვანო მერაბიშვილის მონაცემებით, საქართველოში ყოველთვიურად სამი ათასი დანაშაული აღირიცხება; 2004 წელს გაიხსნა 9 ათას 926 დანაშაული, 2005 წელს კი, 11 ათას 767.

შს მინისტრისთვის პრიორიტეტი კორუფციასთან ბრძოლაა. მინისტრის განცხადებით, თუ წლების განმავლობაში შს სამინისტრო კორუფციის სიმბოლო იყო, ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, შს სამინისტროში ძირეული რეფორმები განხორციელდა. ბოლო პერიოდში ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია შსს-ს 21 თანამშრომელი; ნარკოტიკების შენახვისა და რეალიზაციის ფაქტზე – 11; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე – 3; ყალბი დოკუმენტების შეძენის ფაქტზე – 2; გამოძალვის ფაქტზე კი ერთი; დისციპლინარული სასჯელი მიიღო შსს-ს 364-მა თანამშრომელმა.

ვანო მერაბიშვილმა კორუფციის ბრალდებით დაკავებულ სხვა უწყებების წარმომადგენლებზეც ისაუბრა. მინისტრის სტატისტიკური მონაცემებით, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებიდან კორუფციის ფაქტზე 17 ადამიანი დააკავეს; თავდაცვის სამინისტროში – 12; პროკურატურაში – 4; საბაჟო დეპარტამენტში – 25; კონტროლის პალატაში – ერთი; საგადასახადოში – 10; ჯანდაცვაში – 3; მერიაში – 2; დაკავებულია 5 მოსამართლე. **"ერთ წელიწადში 5 მოსამართლის დაკავება პატარა საქმე არ არის"**, - აცხადებს ვანო მერაბიშვილი, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას არ აპირებს.



ოპოზიცია მინისტრის პასუხებით უკმაყოფილო დარჩა.

შს მინისტრი თავს იწონებს იმითაც, რომ 2005 წელი არის ერთადერთი წელი, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროში წამების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. **"ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააკეთეს დასკვნა, სადაც საუბარია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ უმნიშვნელოვანეს პროგრესზე,"** - განაცხადა მერაბიშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, 2005 წელს 6 ათას 682 დაკავებულიდან წამების ფაქტზე პრეტენზია მხოლოდ ერთმა გამოთქვა, 18-ს კი აღენიშნებოდა მსუბუქი დაზიანება. გარდა წამებისა, როგორც მინისტრი ირწმუნება, მოისპო იარაღისა და ნარკოტიკის "ჩადების" ტრადიციაც და საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ფაქტსაც აღნიშნავენ.

## გორის ტერაქტი და არუთინიანის საქმე

"დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლების მიერ შს მინისტრისთვის დასმული 16 შეკითხვიდან ორი გორის ტერაქტსა და თავისუფლების მოედანზე ნასროლ ხელყუმბარას ეხებოდა. ვანო მერაბიშვილმა სწორედ ამ ორ საქმეზე დაუშვა გამონაკლისი და დეტალებზე ისაუბრა. **"გორის ტერაქტის საქმე ისტორიაში შევა და შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საქმიანობით საქართველო იამაყებს. გორის ტერაქტი ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული საქმეა, რომელიც არნახული შრომის შედეგად გავხსენით,"** – განაცხადა შს მინისტრმა. საქმე, რომლის გახსნითაც მინისტრი ამაყობს, 3-4 თვის ინტენსიური შრომის შედეგად მივიდა წარმატებულ დასასრულამდე - 2005 წლის 1 თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტი გახსნილია, დამკვეთი და შემსრულებლები - გამოვლენილი. მინისტრის ინფორმაციით, 17 ივნისს შსს-ს კონტრდაზვერვის სამართველოს თანამშრომლებმა "მტრის ზურგში" დააკავეს ტერაქტის ორი მონაწილე, რომელთა შესახებაც, ინფორმაციას პრესით არ გაუჟღერებია.

**"ჩვენი ინფორმაციით, ტერაქტის ორგანიზატორი ანატოლი სისოევი, რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გრუ-ს) მაღალჩინოსანია,"** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა, რომლის თქმითაც, ანატოლი სისოევთან დაკავშირებით ქართველმა სამართალდამცველებმა ინფორმაციისათვის რუს კოლეგებს ოფიციალური თხოვნით მიმართეს, თუმცა - უშედეგოდ. რუსეთის შსს-ს მიერ გამოგზავნილი პასუხში ნათქვამია, რომ სისოევზე ინფორმაციის გაცემა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ პასუხმა კი, გორის ტერაქტში სხვა ქვეყნის სპეცსამსახურის მონაწილეობის შესახებ არსებული ეჭვები ქართველ სამართალდამცველებს კიდევ უფრო გაუღრმავა. **"ამ პასუხით კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი ეჭვები, რომ სისოევი გრუ-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსანია,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა

მინისტრის ინფორმაციით, გორის ტერაქტის გარდა, ანატოლი სისოევი ხელმძღვანელობდა საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ იმ ტერორისტულ-დივერსიულ აქტებს, რომლებიც გორის ტერაქტის შემდეგ გაიხსნა და შემსრულებელთა უმრავლესობაც დაკავებულია. **"ამ ტერორისტულ აქტებში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი იძებნება და მათ უახლოეს მომავალში დავაკავებთ,"** – ასეთი პირობა მისცა პარლამენტარებს შს მინისტრმა.

მეორე რეზონანსული საქმე, რომელიც ასევე ისტორიის კუთვნილება გახდება, არუთინიანის საქმეა. **"საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტებზე ტერაქტის განხორციელების მცდელობაში ეჭვმიტანილი ვლადიმერ არუთინიანი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული არ არის, ის მარტოხელა ტერორისტი იყო,"** - პარლამენტართა შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა შს მინისტრმა და არუთინიანის შესახებ აქამდე უცნობი დეტალი გაახმოვანა, კერძოდ: არუთინიანი პარტია "აღორძინების" წევრი ყოფილა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძემ აჭარა დატოვა და რაც არუთინიანმა დაინახა, რომ ეს პარტია შიდაპოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით რადიკალური ნაბიჯების გადადგმას არ აპირებდა, "აღორძინების" რიგები დატოვა. ასეთი განცხადება გააკეთა შს მინისტრმა, რომელსაც დაზუსტებული ინფორმაცია მოეპოვება იმის შესახებ, რომ არუთინიანს იარაღი არ შეუძენია არც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისგან და არც პარტია "აღორძინების" რომელიმე წევრისგან: **"იგი მოპარული ჰქონდა."**

## მინისტრი ადგილზე ლიკვიდაციისკენ მოუწოდებს თუ...

ოპოზიციის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი დასასმელ, წინასწარ გახმაურებულ შეკითხვებს შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მწვავედ სპეცოპერაციების თემა გამოიყურებოდა. შენიღბულ-შეიარაღებული სპეცრაზმელების გამოყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს და ამის ტელეეთერით ჩვენება ოპოზიციის მიერ საზოგადოების დაშინების მცდელობად იყო აღქმული. ამას ემატება სპეცოპერაციების დროს პოლიციელთა დაღუპვის გახშირებული ფაქტები და დამნაშავეთა ადგილზე ლიკვიდაციის შემთხვევათა მატება, რაც აქამდე ოპერაციების არაპროფესიონალურად დაგეგმვის შედეგად მიიჩნეოდა. ინფორმირებული ოპოზიციის მიერ ამ საკითხების ირგვლივ კვალიფიციურად დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ვანო მერაბიშვილს, წესით, უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ოპოზიცია გუშინ საკმარისად ინფორმირებული არ ჩანდა. შესაბამისად, კითხვებიც ძალზე ზოგადი იყო და მინისტრიც ადვილად გაუმკლავდა მათ. მან განაცხადა, რომ ნიღბიან-შეიარაღებული სპეცრაზმელების მონაწილეობით ჩატარებულ სპეცოპერაციათა უმეტესობაზე საზოგადოება საერთოდ არ არის ინფორმირებული და ამ ოპერაციების შესახებ ის ინფორმაციას მხოლოდ პარლამენტართა ნდობის ჯგუფს აწვდის. რაც შეეხება დაღუპულ პოლიციელებს, მინისტრის განცხადებით, 2005 წლის იანვრიდან დღემდე უშუალოდ სპეცოპერაციებისას დაღუპულია ექვსი პოლიციელი.

**"ძნელია თქვა, ეს ბევრია თუ ცოტა, როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, მაგრამ ქვეყანა, შეიძლება ითქვას, საომარ მდგომარეობაში იმყოფება, საომარ მდგომარეობაშია შინაგან საქმეთა სამინისტრო და, სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხდება,"** – თქვა გუშინ მერაბიშვილმა.

გაცილებით კატეგორიული იყო იგი დამნაშავეთა ლიკვიდაციის შესახებ საუბრისას. "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლის ფიქრია ჩიხრაძის ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა პოლიციელებს პირდაპირ აძლევს მითითებებს, რომ მათ დამნაშავეთა ადგილზე ლიკვიდაცია მოახდინონ, ვანო მერაბიშვილმა კატეგორიულად უპასუხა: **"ეს სიცრუეა. მსგავს ბრძანებებს შინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრი იძლევა და აქვე მოვუწოდებ საქართველოს პოლიციის შემადგენლობას – არავითარ შემთხვევაში არ აგიკანკალდეთ ხელი, თუ დაინახავთ, რომ საფრთხე ექმნება ადამიანის, პოლიციელის სიცოცხლეს - გამოიყენეთ იარაღი. ქედს ვიხრი იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც კრიმინალის ლიკვიდაციით თავიდან აიცილეს სერიოზული დანაშაული; ქედს ვიხრი ასევე იმ სპეცრაზმელების წინაშე, რომლებმაც ჰუმანურობა გამოიჩინეს. იყო, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც სპეცრაზმელმა დაჭრილ კრიმინალს ტკივილგამაყუჩებელი მიაწოდა,"** - განაცხადა მერაბიშვილმა, რომელსაც პასუხი არ გაუცია ერთ-ერთი დეპუტატის რეპლიკაზე, პირდაპირ სროლის უფლებამოსილებამინიჭებულ პოლიციელთა შესაძლო გადაცდომების საშიშროების შესახებ.

## სამართალდამცველთა საიდუმლოებით მოცული ფონდი ლიკვიდაციის პროცესშია

სახელისუფლებო სტრუქტურათა თუ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დაარსებული ფონდების მუშაობის გასაიდუმლოების გამო პრეტენზიები, ოპოზიციონერ დეპუტატთა გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც არაერთხელ გამოთქმულა. თუმცა, დღემდე ვერავინ შეძლო ამ ფონდების საქმიანობის, განსაკუთრებით კი, მათი დაფინანსების წყაროების შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება. დეპუტატებმა ეს ვერც გუშინ მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" შეკითხვებს შორის სამართალდამცველ ორგანოთა განვითარების ფონდის შემოსავალ-გასავლების თემას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა, ვანო მერაბიშვილმა ეს შეკითხვა, ფაქტობრივად, უპასუხოდ დატოვა. თქვა მხოლოდ ის, რომ ამ ფონდმა 2005 წლის ივნისში ერთი ანგარიში უკვე გამოაქვეყნა, ახლა კი თითქმის აღარ ფუნქციონირებს, იგი ლიკვიდაციის პროცესშია და 2006 წლიდან საერთოდ აღარ იარსებებს. არადა, ოპოზიციას ამ ფონდის დამფუძნებელთა ვინაობის შეტყობა, მის მიერ გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ დოკუმენტების გაცნობა და იმის გაგება სურდა, ფინასდება თუ არა ეს ფონდი საპროცესო გარიგების საფუძველზე ჩინოვნიკების მიერ გადახდილი თანხით.

ერთადერთი პასუხი, რაც ამდენ შეკითხვას მოჰყვა, ეს გახლავთ მინისტრის მტკიცება, რომ ამ წესით გადახდილი არც ერთი თეთრი ფონდში არ გადარიცხულა.

## პასუხგაუცემელი კითხვები

მეგობარი თანაგუნდელების მხარდაჭერით ზურგგამაგრებულმა შს მინისტრმა "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლთა ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დატოვა.

შს მინისტრმა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთა. **„ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს, საქმის დეტალებს მე არ ვიცნობ, ამიტომაც ვერაფერს მოგახსენებთ. ჩემი ინფორმაციით, გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით წერილობით შეგატყობინათ ინფორმაცია,"** – ასეთი პასუხი მიიღეს პარლამენტარებმა შს მინისტრისგან.

შს მინისტრმა "დემოკრატიული ფრონტს" რამდენიმე თვის წინ ჩატარებული ხმაურიანი ოპერაციის შესახებაც ვერ გასცა კონკრეტული პასუხი. საუბარია სვანეთში სამარხის გახსნასა და ამოღებულ ცხედრებზე, რომელთა შორისაც, მაშინ გაკეთებული განცხადებების თანახმად, წლების წინ გატაცებული ლევან კალაძისა და მარიამ გოგინაშვილის ცხედრებიც უნდა ყოფილიყო. მინისტრის გუშინდელი განცხადებით კი, ლევან კალაძისა და მარიამ გოგინაშვილის საქმეების გახსნას პერსპექტივა თითქმის არ გააჩნია. **"კალაძესა და გოგინაშვილთან დაკავშირებით გარკვეული სიახლეები არის, თუმცა ეს ჰიპოთეზურია. ბოდიშს ვიხდი ამ საქმეების ჯერჯერობით გაუხსნელობის გამო, ისინი წლების წინ მომხდარი დანაშაულებია და მათი გახსნის პერსპექტივა, ალბათ, არ არსებობს,"** - განაცხადა მერაბიშვილმა.

შს მინისტრმა არაფერი თქვა სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბიძინა გიორგობიანის საქართველოდან წასვლისა და მის მიერ გაკეთებული ხმაურიანი განცხადებების (გიორგობიანი ბრალს სდებდა უშიშროების თანამშრომლებს ხე-ტყით უკანონო ვაჭრობაში) თაობაზე. **"მთავრობის სხდომაზე მე მას 10-ჯერ შევხვდი და ჩემთვის არაფერი უთქვამს,"** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

კითხვაზე, რომელიც დეპუტატ ვალერი გელაშვილზე განხორციელებულ თავდასხმას ეხებოდა, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ საქმის გახსნა მისი პრესტიჟის საქმეა და ის უახლოეს მომავალში გაიხსნება. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მინისტრმა თავდასხმის დეტალებზე არ ისაუბრა. **"გელაშვილზე თავდასხმა ლახავს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემს პრესტიჟს. ამავე დროს, მინდა მოვუწოდო დეპუტატებს, რომ მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით ნუ იჩქარებენ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას. სხვათაშორის, უმრავლესობის წევრებზეც არის თავდასხმის ფაქტები, მაგრამ ეს უკანასკნელები ამას არ ახმაურებენ,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მინისტრის პასუხი მოულოდნელი არ ყოფილა ვალერი გელაშვილისთვის, რომელიც დარწმუნებულია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრისგან მასზე თავდასხმის შესახებ პასუხს ვერსადროს მიიღებს. გელაშვილი აცხადებს, რომ მასზე თავდასხმა სპეცსამსახურებმა განახორციელეს.

დაბოლოს, ვანო მერაბიშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას უყურადღებოდ დეპუტატების არც ერთი შეკითხვა არ დაუტოვებია, სხვა საკითხია, რამდენად გასცა ამ შეკითხვებს შესაბამისი პასუხი. ერთი კი ფაქტია, მიუხედავად შინაგან საქმეთა მინისტრის თითქმის სამსაათიანი გამოსვლისა, პარლამენტში აზრი არავის შეცვლია: უმრავლესობას მერაბიშვილის კვლავ სჯერა და კმაყოფილია, ოპოზიცია კი კვლავაც უნდობლად ეკიდება შსს-ს მინისტრს და, შესაბამისად, უკმაყოფილოა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## იუნესკო/ კეიზო ობუჩის კვლევითი სტიპენდიები

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის საქმეთა საქართველოს ეროვნული კომისია გვთავაზობს იუნესკო/ კეიზო ობუჩის 20 კვლევით სტიპენდიას.

საკონკურსო პროექტები წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგ დარგებში:

1. გარემოს დაცვა (უმთავრესად წყლის რესურსებთან დაკავშირებული საკითხები);
2. კულტურათაშორისი დიალოგი;
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
4. კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა;

**სტიპენდიანტის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 40 წელს.**

დეტალური ინფორმაცია სტიპენდიების შესახებ და სააპლიკაციო ფორმები შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე:

**http://portal.unesco.org/en/ev.php-URL-ID=14635&URL-DO=DO-TOPIC&URL-SECTION=201.html**

ან მიიღოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

საააპლიკაციო ფორმები და საკონკურსო პროექტები უნდა წარადგინოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში.

მისამართი: თბილისი, უზნაძის ქ. 52, ოთახი 129 ტელ: 95 70 10

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 16 დეკემბერი.**

BSP შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური

## ბრძანება

"ბათუმის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ" 17.08.2004 წლის № 370/ა ბრძანებაში ცვლილების შესახებ

ბათუმის ნავსადგურის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დამატებითი ტვირთების მოზიდვის მიზნით

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნას ცვლილება "ბათუმის ნავსადგურში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ" 2004 წლის 17 აგვისტოს № 370/ა ბრძანებაში და მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| 17. გენერალური ტვირთების შენახვა: ტონა | |
| - ღია საწყობებში | 0.15$ |
| - დახურულ საწყობებში | 0.25$ |
| **შენახვის პირობა:** | |
| - პირველი 7 დღე | უფასოდ |

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" ადმინისტრაცია



# რუსეთში სტუმრობა მხოლოდ მთავრობის ნებართვის შემდეგაა შესაძლებელი

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ესტონეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს ურმას პაეტს რუსეთში შესასვლელი ვიზა არ მისცა.

როგორც ესტონური ინტერნეტ-გამოცემა "დელფი" იუწყება, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს მომავალში სანკტ-პეტერბურგში ჩასვლას გეგმავდა, სადაც ევროკავშირისა და რუსეთის საზღვრისპირა თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი "მრგვალი მაგიდის" სხდომაში უნდა მიეღო მონაწილეობა.



ურმას პაეტს რუსეთის ვიზა არ მისცეს.

ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ქვეყნის ნომერ პირველი დიპლომატი პეტერბურგის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრმა მიიწვია. ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივნის განცხადებით, ურმას პაეტმე ოფიციალურად მიიღო მოწვევა და გაგზავნა თავისი პასპორტი ტალინში რუსეთის საელჩოში ვიზის მისაღებად.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის "ჩრდილოეთ დედაქალაქში" ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სულაც არ ელოდნენ. ურმას პაეტს, უბრალოდ, ვიზა არ მისცეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამტკიცებენ, რომ ესტონეთის დიპლომატიის მეთაურისთვის "ვიზის მიცემა წესების აშკარა დარღვევა იქნებოდა".

ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა ურმას პაეტისთვის ვიზის მიცემის თხოვნით რუსეთის საელჩომ ღონისძიებამდე ორი დღით ადრე მიიღო და როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა განმარტა, ვიზის გაცემით რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ქვეყანაში მოქმედ მაღალი რანგის უცხოელი ოფიციალური პირების მიღების ყველა წესს დაარღვევდა.

რუსეთის საგარეო უწყება ირწმუნება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის რუსეთში მიწვევა მხოლოდ საგარეო პოლიტიკურ უწყებას ან რუსეთის მთავრობას შეუძლია. პაეტს კი მხოლოდ "მრგვალი მაგიდის" ორგანიზატორის - პეტერბურგის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის მიწვევა ჰქონდა. "მრგვალი მაგიდის" დონე კი "მაღალი არ არის". **"როგორც ჩვენ გვითხრეს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ურმას პაეტის სტუმრობას მიზანშეწონილად არ თვლის,"** - დასძინა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

*24 საათი*

# ტერაქტი იორდანიაში - „ალ კაიდას" ხელწერა?

პირველი გვერდიდან

ოთხშაბათს საღამოს იორდანიის დედაქალაქ ამანში მდებარე სამ სასტუმროში, "Grand Hyatt"-ში, "Radisson"-ში და "Days Inn"-ში მომხდარი აფეთქებების შედეგად, დაშავდა 170-მდე და დაიღუპა 80-მდე ადამიანი, მათ შორის პალესტინის უშიშროების სამსახურის სამი მაღალჩინოსანი და პალესტინის სპეცდანიშნულების ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი ბაშირ ნაფი.

იორდანიის მეფემ აბდულა მეორემ ყაზახეთში თავისი ვიზიტი შეწყვიტა და სამშობლოში ჩასულმა მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა. **"დამნაშავენი აუცილებლად წარდგებიან მართლმსაჯულების წინაშე,"** – აღნიშნა მონარქმა. იორდანიის პერმიერ-მინისტრის მოადგილის მარვან მუაშერის თქმით, აფეთქებები კამიკაძე ტერორისტებმა განახორციელეს. სასტუმრო "Radisson SAS"-ში მომხდარი აფეთქება ყველაზე დამანგრეველი იყო. ტერაქტის დროს, აღნიშნული სასტუმროს ერთ-ერთ დარბაზში საქორწინო წვეულება მიმდინარეობდა. ტერაქტმა ახლად დაქორწინებულთა მამების სიცოცხლე იმსხვერპლა. **"საკუთარი ქორწილის დღეს მამა და სიმამრი დავკარგე. მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ მომხდარ სისასტიკეს ისლამთან საერთო არაფერი აქვს,"** – აღნიშნა აშრაფ მოჰამედმა. ტერაქტის შემსწრე 59 წლის უსამა ჯაბრი ამანში კარდიოლოგთა შეხვედრისთვის იყო ჩასული. აფეთქების დროს ის თავის მეგობრებთან ერთად სასტუმრო "Grand Hyatt"-ის რესტორანში იმყოფებოდა. **"მოულოდნელად აფეთქების ხმა გავიგე. ის ძალიან წააგავდა ჩემს მიერ ერაყში სარაკეტო დაბომბვის დროს გაგონილ ხმას. რესტორანში მყოფნი პანიკამ მოიცვა. ერთ-ერთი ოფიციანტი ყვიროდა და ტიროდა, რადგანაც მას თვალებში ნამსხვრევები მოხვდა,"** – ჰყვებოდა ერაყელი ექიმი. ტერაქტის შედეგად დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოებში მოათავსეს. საავადმყოფოებთან საგანგებოდ დაყენებული დაცვა მნახველებს შენობაში შესვლის უფლებას არ აძლევს, ხოლო მედპერსონალი იორდანიის მოქალაქეებს სისხლის ჩაბარებას სთხოვს.

იორდანიაში მომხდართან დაკავშირებით უსაფრთხოების საგანგებო ზომებს მიმართეს. ქვეყანის სახმელეთო საზღვრები დროებით დაიხურა. ამანის ქუჩებში ასობით შეიარაღებული პოლიციელია მობილიზებული. საგულისხმოა, რომ ერაყთან სიახლოვის მიუხედავად, იორდანია წყნარ და მშვიდობიან ქვეყანად ითვლება, ხოლო მის დედაქალაქს ყოველწლიურად ბევრი უცხოელი სტუმარი ჰყავს. მიუხედავად ამისა, აქ განლაგებული სასტუმროები მინიმალურადაა დაცული. მძღოლებს ბევრი სასტუმროს შესასვლელშივე შეუძლიათ ავტომანქანის გაჩერება. **"იორდანიაში უსაფრთხოება ყველას გადაავიწყდა და ამ მხრივ ყურადღება მოდუნებულია,"** – აღნიშნა იორდანიელმა ჟურნალისტმა ჯამილ ნიმრმა.

იორდანიაში 10 ნოემბერი გლოვის დღედ გამოცხადდა. დიდი ბრიტანეთის პრეიმერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ოფიციალურ ამანს პირადი წერილი გაუგზავნა, რომლეშიც იორდანიას ქვეყნისთვის მძიმე წუთებში თანადგომასა და სოლიდარობას უცხადებს. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა, რომელმაც მომხდარის გამო იორდანიაში ვიზიტი გადადო, ამანში განხორციელებული ტერაქტი სასტიკად დაგმო და მსოფლიოს ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. **"საჭიროა, მსოფლიომ ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ გლობალური კონვენცია მიიღოს,"** – აღნიშნა პოლიტიკოსმა. აშშ-მ აღშფოთება გამოხატა მომხდართან დაკავშირებით და მოკავშირე ქვეყანას ტერაქტის გამოძიებაში დახმარებას დაჰპირდა. **"იორდანია აშშ-ს მეგობარი და მოკავშირე ქვეყანაა. ოფიციალური ვაშინგტონი ამანს მომხდარი ტერაქტების გამოძიებაში ყველანაირ დახმარებას გაუწევს,"** – აღნიშნა თეთრი სახლის პრესმდივანმა სკოტ მაკლელანმა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კი მომხდარს "უდიდესი ტრაგედია" უწოდა.

გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელზეც პოლიტიკოსებმა იორდანიაში მომხდარი მოვლენები განიხილეს.

# "ავოდა" მმართველ კოალიციას დატოვებს

## ისრაელი ვადამდელი არჩევნების მოლოდინში

ხათუნა გაბიევი

ისრაელის ერთ-ერთი მსხვილი პარტიის "ავოდა"-ს ლიდერის არჩევნების შედეგების გამოქვეყნებით ნათელი გახდა, რომ ქვეყანა უახლოეს მომავალში აღმოჩნდება ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობის წინაშე, რადგან ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შეცვლა უდავოდ გამოიწვევს მმართველ კოალიციაში ცვლილებებს.

შიდაპარტიული არჩევნები გუშინწინ 300 საარჩევნო უბანზე ჩატარდა. მასში მონაწილეობას იღებდა პარტიის დაახლოებით 100 000 წევრი.

პარტიის ლიდერობაზე პრეტენზიას, ძირითადად, მისი ამჟამინდელი მმართველი შიმონ პერესი და ისრაელის პროფკავშირების "ჰისტადრუტის" ფედერაციის ხელმძღვანელი, 53 წლის ამირ პერეცი აცხადებდნენ. სოციოლოგთა პროგნოზი არ გამართლდა და ძველმა ლიდერმა პოსტის შენარჩუნება ვერ შეძლო. ხმების მაქსიმალურად მცირე სხვაობით ნობელის პრემიის ლაურეატს შიმონ პერესს გამარჯვების დათმობა პროფკავშირების ფედერაციის ხელმძღვანელისთვის მოუხდა.

**"მომავალი პრემიერ-მინისტრი"**, - ასეთი შეძახილებით შეეგებნენ მომხრეები ამირ პერეცის გამოჩენას ხმების დათვლის შემდეგ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

შიმონ პერესის თქმით, თითქმის ნახევარპროცენტიანი სხვაობით გამარჯვება პარტიის ახალმა ლიდერმა ხმების გაყალბებით შეძლო. თუმცა, კომისიამ პერესის პრეტენზიები არ დააკმაყოფილა და მიღებული შედეგები საბოლოოდ გამოაცხადა.

გამარჯვებული კანდიდატი კი ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდა, რომ მეტოქის დამარცხების შემთხვევაში "ლეიბორისტების" პარტიას აუცილებლად ჩამოაშორებდა მმართველ კოალიციას და ოპოზიციაში გადაიყვანდა. "ავოდა"-ს გაერთიანება მმართველ კოალიციაში მიმდინარე წლის თებერვალში მოხდა. სწორედ ამ პარტიის დახმარებით შეძლო ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ღაზას სექტორიდან ჯარების გამოყვანისა და მენაშენეების ევაკუაციის შესახებ საკუთარი ინიციატივის გატანა ქნესეთში (საკანონმდებლო ორგანო), რადგან თავად პრემიერის პარტიამ "ლიკუდმა" ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა.

ორი ძირითადი კანდიდატის გარდა, "შრომის პარტიის" სათავეში ჩადგომის სურვილს ქვეყნის ეროვნული ინფრასტრუქტურის ამჟამინდელი მინისტრი ბენიამინ ბენ-ელიეზერიც გამოთქვამდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ექსპერტების ვარაუდი გამართლდა, რადგან ბენ-ელიეზერმა შიდაპარტიულ არჩევნებში ხმების მხოლოდ 17 პროცენტის მოგროვება შეძლო.

ეროვნული ინფრასტრუქტურის მინისტრისაგან განსხვავებით, გამარჯვების მინიმალური შანსების გამო, საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრმა მათან ვილნაიმ და ისრაელის ყოფილმა სახელმწიფო მეთაურმა ეჰუდ ბარაქმა.


"სწავლა სიბერემდე" - ზრდასრულთა განათლების კვირეული
(10-18 ნოემბერი)

ცხოვრება ცვალებადია... წარმატებას მუდმივად სწავლა სჭირდება...

გაინტერესებს ინფორმაცია დამატებითი განათლების მიღების არსებულ შესაძლებლობებზე?

12 და 18 ნოემბერს შენ შეიტყობ ამის შესახებ!
წარმოდგენილი იქნება 20 წუთიანი პრეზენტაციები ბიზნეს-ტრეინინგების, პროფესიული მომზადების პროგრამების, უცხო ენებისა და პიროვნული სრულყოფის სხვადასხვა კურსების შესახებ.

12 ნოემბერი, შაბათი
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
I კორპუსი (ი. ჯავახიშვილის სახელობის დარბაზი)

12:10-12:30 - სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრი (ICSRPA)
13:00-13:20 - ტრეინინგისა და კონსულტაციის ცენტრი (CTC)
13:25-13:45 - საბანკო-საფინანსო აკადემია
13:50-14:10 - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (TCJ)
14:15-14:35 - თემის განვითარების რესურს ცენტრი "ერანი"
14:40-15:00 - თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის ცენტრი
15:05-15:25 - ენათა და კულტურათა ცენტრი
15:30-15:50 - ინტერდისციპლინარულ სწავლებათა ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი
15:55-16:15 - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"
16:20-16:40 - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო
16:50-17:10 - საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი
17:15-17:35 - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"



ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!
- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე 6% წლიური აშშ დოლარში და 8% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!
- მიიღეთ 10% წლიური დოლარში და 13,5% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე



საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

სს "საქართველოს ბანკის" მომხმარებელთა საყურადღებოდ!

საქართველოს ბანკი მოხარულია გაცნობოთ, რომ პუშკინის ქ. 3- ში მდებარე N5 სერვის ცენტრი გადავიდა ახალ სამუშაო საათებზე:
ორშაბათიდან- პარასკევამდე დილის **9:45-** დან საღამოს **21:00** საათამდე, შაბათს და კვირას დილის **10:00-** დან დღის **14:00** საათამდე.
გმადლობთ სს "საქართველოს ბანკის" მომსახურებით სარგებლობისათვის



საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**სს "საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭო აცხადებს, რომ განსაზღვრულია სს "საქართველოს ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.**
ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა **2005 წლის 22 ნოემბერი, 17:00 სთ-ის** მდგომარეობით.
აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების თარიღი, დღის წესრიგი და რეკომენდაციები გამოქვეყნდება მოგვიანებით, კანონის შესაბამისად, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის ოფიციალურად გამოცხადებასთან ერთად.
**სს"საქართველოს ბანკის" მმართველთა საბჭო**


## წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური ასამბლეა სეულში გაიმართება

მიმდინარე წლის 11-14 ნოემბერს სამხრეთ კორეაში - სეულში ტარდება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური ანსამბლეის XV სესია, რომლის მთავარი თემაა - "მოვემზადოთ მომავლისათვის". სესიის მუოშაობაში მონაწილობას მიიღებს 800 დელეგატი მსოფლიოს 180-ზე მეტი ეროვნული საზოგადოებიდან.

გენერალური ასამბლეა განიხილავს ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ, შეიმუშავებს ახალი პოლიტიკისა და პრაქტიკული განხორციელების საკითხებს, დაამტკიცდება **გლობალური დღის წესრიგი**, რომელიც მოიცავს ოთხ მიზნს: კატასტროფების ზეგავლენის შემცირება ადამიანების ცხოვრებაზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მეთოდების გაუმჯობესება მსოფლიო მასშტაბით, ბრძოლა არატოლერანტულობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, საზოგადობის შესაძლებლობების გაძლიერება სასიცოცხლოდ სახიფათო სიტუაციებისათვის მზადყოფნისა და თავის გართმევის მიზნით. ეს ითვალისწინებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას **გაერო-ს ათასწლეულის განვითარების ამოცანებში**. ასევე ჩატარდება ფედერაციის პრეზიდენტისა და ვიცე- პრეზიდენტის არჩევნები.

გენერალურ ანსამბლეის შემდეგ, 16-17 ნოემბერს, გაიმართება დელეგატთა საბჭოს შეხვედრა. ეს ღონისძიება ერთად შეკრებს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის კომპონენტებს - წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის სამდივნოსა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს. დელეგატთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს მოძრაობის პოლიტიკის თაობაზე.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთავრის
საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის
საქართველოს დელეგაცია.
რუსუდან წერეთელი, ინფორმაციისა და ანგარიშების ოფიცერი.
საკონტაქტო ტელეფონი: 25 27 13.

## ყურადღება!

რესტორანი „დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინის (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

ტელ. 999-207





*ფეხბურთი*

# დაბრუნება



*ნიკოლა ანელკამ ნაკრებში დაბრუნება გოლით აღნიშნა.*

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ ნიკოლა ანელკა ოცნებობდა საფრანგეთის ნაკრებში თამაშზე, სადაც სამი წელი არ უთამაშია. დღეს კი ფეხბურთელი უაღრესად მოხარულია ეროვნულ გუნდში წარმატებული დაბრუნების გამო. თურქეთის "ფენერბახჩეს" ფორვარდმა კოსტა-რიკის კარში გოლი გაიტანა და თავის გუნდს ამ ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა - 3:2.

შესვენებისთვის ფრანგები - 0:2 აგებდნენ და თითქოს მათ ვერაფერი იხსნიდა დამარცხებისგან. თუმცა მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ ნიკოლა ანელკამ ზუსტად გამოიყენა ტიერი ანრის შესანიშნავი, გამჭოლი გადაცემა და ერთი ბურთი გაქვითა. ამან ფრანგებს გამარჯვებისკენ დიდი ბიძგი მისცა.

ფრანგულმა სპორტულმა გამოცემამ L'Equipe ანელკას მისამართით კომპლიმენტი არ დაიშურა. "პირველ ტაიმში ფორვარდი აქტიურად მოძრაობდა მთელ მოედანზე და დროგამოშვებით დაცვასაც ეხმარებოდა" - წერს გაზეთი.

არადა 26 წლის ფორვარდი არ ელოდა ნაკრებში გამოძახებას საქველმოქმედო მატჩისთვის, რომელიც კუნძულ მარტინიკაზე გაიმართა და სადაც ქვეყანას მოევლინენ ანელკას მშობლები. "მე არავითარი ილუზია არ მაქვს საფრანგეთის ნაკრების თაობაზე, რომელიც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ითამაშებს - სეზონის სტარტზე განაცხადა ლონდონის "არსენალის", "პარი სენ-ჟერმენის, მადრიდის "რეალის", "ლივერპულისა" და "მანჩესტერ სიტის" ექს-ფორვარდმა - მე, თუ ნაკრების მიღმა დავრჩები ეს ჩემთვის დიდი პრობლემა არ იქნება".

2002 წლის ნოემბერში ანელკამ უგულებელყო ჟაკ სანტონის მიწვევა ამხანაგურ მატჩში დაეცვა საფრანგეთის ნაკრების ღირსება, რის შემდეგაც ფეხბურთელი ნაკრებში აღარ გამოუძახიათ. მით უფრო საოცარია, რომ სამფეროვანთა ახალმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა ანელკა ნაკრებში მიიწვია. ორშაბათს დავიდ ტრეზეგემ ტრავმის გამო ფრანგების ბანაკი დატოვა და გასაგები გახდა, რომ ანელკას შესანიშნავი შანსი ჰქონდა 28-ედ გამოეცადა თავი საერთაშორისო შეხვედრაში. "მე ანელკა იმისთვის მოვიწვიე, რომ ჩვენი თავდასხმა უფრო მოქნილი გამხდარიყო" - თავისი გადაწყვეტილება განმარტა დომენეკმა.

დომენეკმა, რომელსაც ანელკას გვერდით საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში უმუშავია, ფორვარდი შეტევაში ანრისთან ერთად გაამწესა. უნდა აღინიშნოს, რომ ანრი ანელკას საუკეთესო მეგობარია საფრანგეთის ნაკრებში ზინედინ ზიდანთან ერთად. "ანელკა მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდების ათეულში შედის" - მატჩის დაწყებამდე ამბობდა ტიერი ანრი. "ის გუნდს აუცილებლად გააძლიერებს" - დაამატა ფრანგთა განაპირა მცველმა ლილიან ტიურამმა. ანელკამ მატჩი აქტიურად დაიწყო და უკვე დებიუტში ორი სახიფათო მომენტი შექმნა. L'Equipe-ის აზრით - "ფორვარდმა საოცარი სისწრაფე აჩვენა, რომლითაც ევროპაში ბევრი ვერ დაიკვეხნის".

0:1 იყო ანგარიში, როცა ანელკამ შესანიშნავი დარტყმა განახორციელა, მაგრამ მეკარემ მოახერხა ბურთის მოგერიება. შესვენების შემდეგ კი "ფენერბახჩეს" ფორვარდმა შესძლო მეტოქის კარის დალაშქვრა. ეს იყო ანელკას პირველი გოლი 2001 წლის 30 მაისის შემდეგ, როცა საფრანგეთის ნაკრებმა კონფედერაციის თასზე - 5:0 გაანადგურეს სამხრეთ კორეის გუნდი.

მამის წინაშე, რომელიც მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ანელკა აქტიურობას აგრძელებდა, მაგრამ თამაშის 75-ე წუთზე შეცვლა მოითხოვა. სტამბულის "ფენერბახჩეს" თავდამსხმელი 17 ათასმა გულშემატკივარმა ოვაციით გააცილა მინდვრიდან.

მატჩის მე-80 წუთზე კი ანელკას ნაცვლად შეცვლაზე შემოსულმა ჯიბრაილ სისემ, რომელიც ამჟამად "ლივერპულის" ღირსებას იცავს პირველივე შეხებით გადაგზავნა ბურთი კოსტა-რიკელთა კარში და გაათანაბრა ანგარიში. ამდენად ანრის და ტრეზეგეს მსოფლიო ჩემპიონატზე სერიოზული კონკურენტის დამარცხება მოუწევთ ნიკოლა ანელკას სახით. არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ ანელკას ძალუძს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი.

*კალათბურთი*

## ფაჩულია ლიდერი, "ატლანტა" - აუტსაიდერი

მამუკა ხოშტარია

ზაზა ფაჩულიას ატლანტამ "ფილიპს არენაზე" "ლეიკერსს" უმასპინძლა და ზედიზედ მეოთხე მარცხი იგემა. მატჩის დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა, ზაზას (რომელსაც უკვე სასტარტო ხუთეულში ადგილი დაბევებული აქვს) და ჯო ჯონსონის კარგი თამაშის წყალობით, პირველი მეოთხედის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, "ატლანტა" 29-19 იგებდა, მაგრამ შემდეგ "ლეიკერსის" სპურტი 7-0 და მასპინძლებმა მეოთხედი მხოლოდ სამი ქულის სხვაობით 29-26 მოიგეს. მეორე მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფრედ დასრულდა. დიდი შესვენების წინ ტაბლოზე 51-48 ენთო მასპინძელთა სასარგებლოდ.

მატჩში გადამწყვეტი მესამე მეოთხედი გამოდგა. "ლეიკერსმა" დაცვაში თამაში დაალაგა, თავდასხმა კი მთლიანად კობი ბრაიანტს მიანდო. ამან გაამართლა და შედეგად "ლეიკერსმა" 31-18 მოიგო. ბოლო მონაკვეთში მასპინძლებმა სიტუაციის გამოსწორება სცადეს და მეოთხედი მოიგეს კიდეც, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და "ატლანტამ" სტარტზე ზედიზედ მეოთხე მარცხი იგემა, რითიც სატურნირო ცხრილის ფსკერზე დამკვიდრდა.

ფაჩულიამ ამ თამაშშიც თავისი ნორმა შეასრულა, გააკეთა რა მისთვის სათამაშოდ განკუთვნილ 29.45 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა და 1 პასი. ამასთანავე მიიღო 3 პერსონალური. ზაზამ თამაშიდან რვიდან 5 ჩააგდო. მის მიერ შესრულებულმა სამივე ჯარიმამ კი მიზანს მიაღწია. საჯარიმოების გამოყენების პროცენტით ფაჩულია ლიგაში მეთექვსმეტეა. ზაზამ 4 თამაშში ნასროლი 22 ჯარიმიდან 19 ჩააგდო. წელს ჩვენებური საშუალო მონაგარი 12.8 ქულას და 8.5 მოხსნას შეადგენს, რაც თავისთავად მაღალი შედეგია.

დღის უდავოდ ცენტრალური მატჩი საკრამენტოში შედგა, სადაც ადგილობრივმა "მეფეებმა" "დეტროიტთან" შეხვედრა 102-88 დათმეს. სტუმართა შორის 25 ქულით საუკეთესო, მსუბუქი ფორვარდი ტაიშონ პრინცი იყო, მასპინძელთა შორის კი 16 ქულით ბონზი ველში გამოირჩა.

## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. შპს "რიყე"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
2. ინდ. მეწარმე "ვერელი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა ხრეშის მოპოვების პროექტი;
3. შპს "შარა"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა ხრეშის მოპოვების პროექტი;
4. შპს "კანარგო დეველოპმენტი"-ს მიერ III კატეგორიის საქმიანობაზე ავტოგასამართი სადგურის (ქ. ქუთაისი) პროექტი;
5. ინდ. მეწ. "შანიძე ზურაბ"-ის მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე მცხეთიჯვრის გრანიტის საბადოს დამუშავების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი;
6. შპს "ალავერდი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე ნამუშევერი ზეთების რეგენერაციის საწარმოს გზშ ანგარიში
7. ინდ. მეწარმე "მირიან მუჯირი" II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი
8. ინდ. Mმეწარმე "გურამ კილაბერიძე"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
9. შპს "ტყუპები"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
10. შპს "პრომეთე"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის გამოვლინების დამუშავების პროექტი

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 15 ნოემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 15 ნოემბერს $12^{00}$ სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.




## განცხადება ვაკანსიაზე, ელექტრო ტექნიკოსი

BP საქართველო იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სუფსის ტერმინალზე ელეტრო ტექნიკოსის** პოზიციის დასაკავებლად..

სამუშაოს ადგილმდებარეობა: სუფსის ტერმინალი

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული ფუნქციები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

■ გამოხატული ერთგულება ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრინციპების მიმართ.

■ მონაწილეობას მიიღებს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გამოძიებაში საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოს დადგენილი ქმედებების ზუსტი შესრულება.

■ იმუშავებს ექსპლუატაციის ჯგუფთან ერთად, რათა კოორდინაცია გაუწიოს ყველა დაგეგმილ ტექნიკური მომსახურების საქმიანობებს.

■ უზრუნველყოს მაღალი სტანდარტი უსაფრთხო და მიღებული ელექტრო ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის გამოყენებით, განახორციელოს პრევენციული ტექნიკური მომსახურების დავალებები, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს კონკრეტულ დისციპლინურ უნარ-ჩვევებს.

■ აჩვენოს სრული და ძირფესვიანი ცოდნა სამუშაოების წარმოების ნებართვის სისტემისა და ელექტრო იზოლაციის პროცედურებისა. დახმარება გაუწიოს ექსპლუატაციის ჯგუფს თითოეული სამუშაო დავალების ნებართვის პირობების განვითარებაში.

■ ჩანაწერების განხორციელება ტექნიკური მომსახურების Maximo სისტემაში, შესრულებულ სამუშაოზე ზუსტი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფით.

■ განახორციელოს ხელმძღვანელის მითითებით საგანგებო მდგომარეობაში დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

**განათლება და მუშაობის გამოცდილება**

■ სათანადო უნივერსიტეტის დიპლომი ტექნიკურ სფეროში (საინჟინრო).

■ 3 წლის მუშაობის გამოცდილება სამრეწველო ობიექტებზე, მაგალითად, ელექტრო და ხელსაწყოებთან მუშაობის.

■ ინგლისური ენის ცოდნა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და შემდგომი განვითარების სურვილი

■ მანქანის ტარების ცოდნა (სულ ცოტა B კატეგორია)

■ კომპიუტერის ცოდნა

■ პირადი უნარ-ჩვევების ადაპტაციის უნარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **22 ნოემბერი, სამშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

საცხოვრებელის უზრუნველყოფა სუფსაში იქნება შერჩეული კანდიდატის პასუხისმგებლობა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**სუფსის ტერმინალის ადმინისტრაცია**

სოფ. გრიგოლეთი,
ლანჩხუთის რაიონი

**ან**

**კადრების განყოფილება**

BP Explorations Caspian Sea Ltd.
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

# "ბალტიკა" საქართველოში ლიდერი ხდება

*მსოფლიოში აღიარებული ლუდის ბრენდების მწარმოებელი კომპანია "ბალტიკა" ქართულ ბაზარზე წარმატებით დაბრუნდა*

საქართველოში წელს, ივნისში კომპანია "ბალტიკამ" ექსპორტი 25 ათასი დალი (დეკა ლიტრი) ლუდის "საპილოტო მოწოდებით" განაახლა. ცნობილია, რომ წლის ბოლომდე კომპანია საქართველოში 100 ათასზე მეტი დალის პროდუქციის გაყიდვას გეგმავს. ლიდერი ბრენდების - **"ბალტიკასა"** და **"არსენალნოეს"** გვერდით ასევე წარმოდგენილია არანაკლებ ცნობილი: **"მედოვოე", "ლენინგრადსკოე"** და **Carlsberg.**

მიზანდასახულობა, ევროპული ხარისხი და პროდუქციის მრავალფეროვნება - ეს ის ფაქტორებია, რომელთა დაცვითაც კომპანია "ბალტიკა" ქართულ ბაზარზე დამკვიდრებასა და მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას შეძლებს.

კომპანიაში დარწმუნებული არიან, რომ ქართველი მომხმარებელი მათ პროდუქციას სათანადოდ დააფასებს. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი ნამდვილად არ იქნება, რადგან სხვა ქვეყნებში ის უკვე აღიარებული ბრენდია. ასევე რამდენიმე წელიწადია კომპანია "ბალტიკა" უდავო ლიდერია რუსეთის ლუდის ბაზარზე, სადაც 2005 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ბაზრის 24,1 % მოიცვა და 108,1 მლნ დალი ლუდი აწარმოვა. ამ ეტაპზე, "ბალტიკა" გაყიდვების მხრივ ევროპაში სიდიდით მეორე საერთაშორისო ბრენდია და რუსული ლუდის საერთო ექსპორტის 80 % მოიცავს.

კომპანია, რომლის კაპიტალიზაცია 3,2 მლრდ დოლარს შეადგენს, ზედიზედ მეოთხე წელი რუსეთის საუკეთესო ექსპორტიორია. ამასთან კონკურს **"სახალხო ნიშნის"** ოთხგზის გამარჯვებული, **"წლის პროდუქტის"** პრემიის ექვსგზის და **"წლის ბრენდი/EFFIE 2004"**-ის ოქროს ლაურეატად გვევლინება. მის ანგარიშზეა საერთაშორისო ფესტივალების გამარჯვებები **Brewing Industry International 2004**-ზე დიდ ბრიტანეთსა და **European Beer Star Award 2004**-ზე გერმანიაში. წელს კი "ბალტიკა" - რუსეთის ლუდის მწარმოებელი კომპანიებიდან ერთადერთი წარმომადგენელი იყო სკანდინავიის ლუდის ფესტივალზე.



დღეისათვის მის პროდუქციას მსოფლიოს 39 ქვეყანაში აგემოვნებენ. ჩინეთი, ავსტრალია, ბელგია, ახალი ზელანდია, პოლონეთი, ტაჯიკეთი, კვიპროსი და კუბა - ამ ქვეყნებში "ბალტიკა" შარშან შევიდა, ხოლო წელს ამ სიას ნორვეგია და ირლანდია დაემატა. გარდა ამისა, წლის ბოლომდე დაგეგმილია პროდუქციის ექსპორტი სამხრეთ აფრიკასა და ფინეთში.

კომპანიას თავისი საექსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დსთ-ს ქვეყნებში საქმიანი კავშირების გაფართოება მიაჩნია. აქ "ბალტიკა" - აღიარებული ლიდერია, ზრდის გაყიდვების მოცულობას და ითვისებს ახალ ბაზრებს. ზაფხულში, საქართველოს მსგავსად, კომპანიამ ასევე განაახლა პროდუქციის ექსპორტი სომხეთში, სადაც პირველ ეტაპზე 5 ათასი დალი ლუდი შეიტანა.

*ნინო გიორგობიანი.*

---

**შპს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" და "Boskalis International bv"-ი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სამშენებლო და სატრანსპორტო გადაზიდვების კომპანიებს, შემდგომში ფოთის საზღვაო ნავსადგურის დამცავი მოლოს რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ შემდეგი სამუშაოების ჩასატარებლად:**

1. დახარისხებული ქვების კურსებიდან ფოთის დასასაწყობებელ ტერიტორიამდე ჩამოტანა.
2. სატრანსპორტო გზისა და დასასაწყობებელი ტერიტორიის მშენებლობა.
3. სასაქონლო ბეტონის მოწოდება ბრიტანული სტანდარტების BS 5328 მიხედვით.

საინფორმაციო შეხვედრა შედგება 2005 წლის 16 ნოემბერს 4 საათზე,

შპს."ფოთის საზღვაო ნავსადგურის" ოფისში.

დამატებითი კითხვებისათვის მოგვმართეთ შემდეგ ტელეფონებზე: 7-01-09, 7-01-35.

---

# საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი

## კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია

მსოფლიო ბანკის / გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი ნომერი TF-21598

ტენდერი ნომერი GICMP-ICB-02

საქართველოს მთავრობამ მიიღო მსოფლიო ბანკის / გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" დასაფინანსებლად და აპირებს გამოიყენოს სახსრების ნაწილი შემდეგი სამუშაოებისთვის: „კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია".

"სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი" (ს.ზ.ი.მ. ცენტრი), საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, იწვევს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე კომპანიებისგან დალუქულ სატენდერო წინადადებებს კოლხეთის ეროვნული პარკის ახალი ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის და ადმინისტრაციული შენობის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის სამუშოების შესასრულებლად. კოლხეთის ეროვნული პარკი წარმოადგენს რამსარის საერთაშორისო სტატუსის მქონე ჭარბტენიან დაცულ ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, ადმინისტრაციით ქალაქ ფოთში (იხილეთ პარკის ვებგვერდი www.KNP.ge). ვიზიტორთა ცენტრის ესკიზური ნახაზის მოძიება შესაძლებელია პროექტის ვებგვერდზე www.ICZM.org.ge. მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები მოიცავს ობიექტზე არსებული ნაგებობების დემონტაჟს და გატანას; ახალი ვიზიტორთა ცენტრისა და არსებული ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სამონტაჟო და მოპირკეთების სამუშაოებს; წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, გათბობის, ვენტილაციის, ელექტრომომარაგების, განათების და სიგნალიზაციის სისტემების მოწყობას. ვიზიტორთა ცენტრისა და პარკის ობიექტების დიზაინი და ტექნიკური აღჭურვილობა მწვანე არქიტექტურის მიდგომებითაა შესრულებული. მშენებლობის პერიოდი გრძელდება 2006 წლის 30 ივნისამდე (დაახლოებით 6 თვე).

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო კონკურენტული ტენდერის წესით, მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით: შესყიდვები IBRD-ის სესხითა და IDA-ის კრედიტით, იანვარი 1995 წელი (შესწორებული გამოცემები: 1996 წლის იანვარი და აგვისტო), და ღიაა ყველა მონაწილისათვის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც განსაზღვრულია სახელმძღვანელო დოკუმენტში.

ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს დამატებითი ინფორმაციისათვის და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად შეუძლიათ მიმართონ "სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრს" ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე საქართველოს დროით.

დაინტერესებულ მონაწილეებს, ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის გამოგზავნის საფუძველზე, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი, ქართულ ენაზე ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის და ინგლისურ ენაზე უცხოური ორგანიზაციებისათვის. სატენდერო დოკუმენტაციის არაანაზღაურებადი ღირებულებაა 130 ლარი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის და 100 აშშ დოლარი უცხოური ორგანიზაციებისათვის.

გადახდის მეთოდი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის - გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი
ანგარიში: 2700854 (სალარე)
კოდი: 220101830
ბანკი: თიბისი-ბანკი, ჭავჭავაძის გამზირი 11, 380079 თბილისი, საქართველო

გადახდის მეთოდი უცხოური ორგანიზაციებისათვის - გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე:

| | |
|---|---|
| INTERMEDIARY: | DEUTSCHE BANK AG<br>D-6236, Frankfurt/Eschborn<br>SWIFT: DEUT DEFF<br>BLZ 50070010<br>Correspondent Account N #9499096 (USD, EUR) |
| BENEFICIARY'S BANK: | TBC-BANK<br>11 Chavchavadze Ave., 380079 Tbilisi, Georgia<br>SWIFT: TBCB GE22 |
| BEN'S ACCOUNT: | 39070971 (USD) |
| BENEFICIARY: | ICZM Centre |

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი გაგზავნილი იქნება კურიერული ფოსტით.

საკონკურსო წინადადებები, თანდართული საბანკო გარანტიით 20,000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით ან ექვივალენტური ოდენობით სხვა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2005 წლის 16 დეკემბრის 18 საათისა ადგილობრივი დროით. დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები დისკვალიფიცირებულ იქნება. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცედურას ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 18 საათზე საქართველოს დროით, 2005 წლის 16 დეკემბერს.

**მამუკა გვილავა, დირექტორი**
სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრი (ს.ზ.ი.მ. ცენტრი)
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
გულუას 6, მე-6 სართული, თბილისი, 0114, საქართველო
+995 (32) 75-50-40 ტელეფონი
+995 (99) 54-66-16 მობილური
+1 (419) 791-6651 ფაქსი
PHASiS@ICZM.org.ge
www.ICZM.org.ge

---

# შემოთავაზება წინადადების წარმოდგენის შესახებ ელექტროგადამცემი ხაზის ტრასასა და პროექტთან დაკავშირებით

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს (სსე) განზრახული აქვს საქართველოდან სომხეთამდე ახალი 330კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, მისი ექსპლუატაციაში მიღების ჩათვლით, რომელიც მოიცავს მარშრუტის შერჩევისა და ხაზის დაპროექტების სამუშაოებსაც. აღნიშნული გადამცემი ხაზის მშენებლობა გათვალისწინებულია გარდაბნის ქვესადგურიდან, სომხეთის ათარბეკიანის ჰიდროელექტროსადგურამდე. ე.გ.ხ-ის საორიენტაციო საერთო სიგრძე შეადგენს 90კმ-ს, ხოლო ელექტროენერგიის გადაცემის მოთხოვნილი სიმძლავრე - დაახლოებით 350-380მგტ-ს. ხაზის პროექტის შედგენის საბოლოო კრიტერიუმები უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პროექტირების თანამედროვე ტენდენციების მიხედვით, უნდა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვის უახლეს მოთხოვნებს და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC) სტანდარტებს, ან ექვივალენტურ სტანდარტებს. სატენდერო პროცესის დაჩქარების მიზნით, ტენდერის პოტენციურ მონაწილეებს ვთხოვთ სსე-ს წარუდგინონ შემდეგი სახის ინფორმაცია და სატენდერო წინადადებები:

ა. დაწვრილებითი ინფორმაცია ტენტერში მონაწილე კომპანიის პროფილის შესახებ და ამავე კომპანიის იმ თანამშრომელთა დეტალური შრომითი ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან პროექტის განხორციელების შესაბამის ეტაპებზე;

ბ. თუ ტენდერში მონაწილე ძირითად კომპანიას განზრახული აქვს პროექტით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაოს შესასრულებლად ქვე-კონტრაქტორის ჩართვა, მან უნდა წარმოადგინოს დაწვრილებითი ინფორმაცია ქვეკონტრაქტორი კომპანიის პროფილის შესახებ და ამავე ქვეკონტრაქტორის იმ თანამშრომელთა დეტალური შრომითი ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან პროექტის განხორციელების შესაბამის ეტაპებზე;

გ. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე მსგავს პროექტებში მონაწილეობისა და მათ განხორციელებაში შეტანილი წვლილის შესახებ, სადაც აუცილებლად უნდა მიეთითოს ინფორმაციაში აღნიშნული პროექტების საკონტაქტო პირთა დეტალური მონაცემები;

დ. პროექტის სხვადასხვა ტექნიკური მოთხოვნებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმატებით შესასრულებლად ტენდერის მონაწილის გამგებლობაში არსებული ტექნიკის, მოწყობილობებისა და რესურსების სრული ჩამოთვალი.

ტენდერის პოტენციურ მონაწილეებს მოეთხოებათ წინადადებების წარმოდგენა ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ან ერთ რომელიმე სამუშაოსთან დაკავშირებით:

1. მარშრუტის შერჩევა: გარდაბნის ქვესადგურსა და ათარბეკიანის ჰიდროელექტროსადგურს შორის შესაძლო უმოკლესი მარშრუტის განსაზღვრა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დეტალური ანგარიშის შედგენა, გადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მარშრუტის გამოყენების შესახებ მოლაპარაკებების წარმოება შესაბამის ორგანოებთან, მიწის მესაკუთრეებთან და მათგან შესაბამისი ნებართვების აღება;
2. საჰაერო ხაზის პროექტი: წინასწარი შემოთავაზებები ხაზის პროექტირებასთან დაკავშირებით, ადგილობრივი პირობებისათვის ხელსაყრელი ანძების თანმიმდევრული შეერთების, გაყვანილობის კონფიგურაციების, ანძებისა და იზოლატორების განლაგების კოორდინაციის შესახებ წინადადებები;
3. პროექტირების საშუალებები: პროექტირების საშუალებები და კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებასაც ტენდერის მონაწილე აპირებს ხაზის დეტალური პროექტის შესადგენად, ოპტიმიზაციის იმ შესაძლებლობების (ოფციების) მითითებით, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის განხორციელებას მინიმალური დანახარჯებით.
4. პროექტის გეგმა: გეგმის წარმოდგენა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის, რაც მოიცავს სამუშაოთა შესრულების ძირითად ვადებსა და თარიღებს, ასევე პროექტის წარმატებით დასრულებისათვის საჭირო მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

სრული დოკუმენტაცია, შესასრულებული სამუშაოებისა და მომსახურების საფასურის მითითებით, მონაწილემ უნდა წარმოადგინოს 2005 წლის 15 დეკემბრის 16: 00 საათამდე (თბილისის დროით), შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თბილისი 0105,
ბარათაშვილის ქუჩა N2,
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
გადაცემისა და დისპეტჩირების აღმასრულებელი დირექტორი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
ბატონი იოჰან სვონის სახელზე.
e-mail: johan.swan@gse.com.ge

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამის "ირმის ნახტომის" და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების და განსაკუთრებული რეჟიმის ბაგა-ბაღებისა და სკოლა-ინტერნატების დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამების დაფინანსების ფარგლებში საწვავის შესაძენად იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. ა)** შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს ამ სახეობის პროდუქტზე. **მიწოდების ადგილი და ფორმა:** საქართველოს მასშტაბით (არანაკლებ 10 ბენზინგასამართი სადგური საქართველოს ტერიტორიაზე); ტალონური ან საბარათო მომსახურება.

**ბ)** საწვავი: 1. ბენზინი პრემიუმი - 1000 ლიტრი, რეგულარი - 5000 ლიტრი; 2. დიზელი - 5000 ლიტრი. **საქონლის გადაცემა**: მიღება-ჩაბარება და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მხარეებს შორის ფორმდება შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მოხმარებაზე უფლების მიღების შემდეგ, ამ უფლების შესაბამის თანხაზე. **თანხის გადახდა:** ხდება მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 30 კალენდარულ დღეში.

**გ)** შესასყიდი საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ვადაა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის იანვრის ბოლომდე.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (1 -დედანი და 2 ასლი), **24.11.05.** დან **28.11.05.** ჩათვლით შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222**

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია **(ცნობა წარმოადგინონ საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის მიხედვით);**

**ბ)** ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (**ცნობა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან**);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან).**

**4.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან რაიონის მიხედვით);**

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან).**

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);**

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს რეგისტრაციის შესახებ.

დ) შესყიდვის ობიექტზე შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი;

ე) წესდება და დადგენილება რეგისტრაციის შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**5**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის **30.11.05-დან 02.12.05 ჩათვლით** შეეძლებათ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222**

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე.

მისამართზე: **ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222**

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისია*

www.liberty.ge

# თავისუფლება

N 12

11 ნოემბერი, პარასკევი

„თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო ჩანართი

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მიხედვით სკოლის მართვა, მისი სტრატეგიული განვითარების მიმართულებათა განსაზღვრა და სახსრების განკარგვა მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა განახორციელონ. მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისაგან შემდგარი სამეურვეო საბჭო სკოლის განვითარების მიმართულებათა განმსაზღვრელი ორგანო უნდა გახდეს, ამ საბჭოს მიერ განსაზღვრული გეგმის განმახორციელებელი და აღმსრულებელი კი – სკოლის დირექტორი. მართვის ამგვარი სისტემა სკოლებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების დამოუკიდებლად განკარგვას მოითხოვს.

ცნება – „მონაწილეობითი ბიუჯეტირება" სკოლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში იმ მხარეების ჩართვას გულისხმობს, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული სკოლის მომსახურების ხარისხითა და ამ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მიზნობრიობით. ამ დროს ბიუჯეტს შეიმუშავებენ და ხარჯვის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ არა პოლიტიკოსები, არამედ მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული ადამიანებისაგან შემდგარი საბჭოები. სკოლა თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საკუთარი საქმიანობის მიმართულებების შესახებ და თავად დახარჯავს სკოლისათვის გამოყოფილ/შემოწირულ რესურსებს. „მონაწილეობითი ბიუჯეტირების" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი გამჭვირვალობა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის სკოლის სახსრების განკარგვის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებაა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებულ ბიუჯეტზე და შეეძლოს მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება. ამავე დროს, თითოეულ სკოლას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოიძიოს დაფინანსების წყაროები და თავად იფიქროს საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

თავისუფლების ინსტიტუტი ახორციელებს პროექტს „სკოლებში მონაწილეობითი ბიუჯეტირება", რომელიც სწორედ ამ საკითხების მოგვარებას ემსახურება. თავისუფლების ინსტიტუტი პირველ ეტაპზე საქართველოს 70 საშუალო სკოლაში განახორციელებს მონაწილეობით ბიუჯეტირებას, ხოლო მას შემდეგ, რაც გარკვეული გამოცდილება დაგროვდება პროცესის წარმოებისთვის, მონაწილეობითი ბიუჯეტირება ყველა სკოლაში გახდება ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგმულია, სკოლები თავიანთ ანგარიშებზე საკუთარ ბიუჯეტს მიიღებენ; ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისთვის სამეურვეო საბჭოები უნდა იყოს არჩეული, და ეს პროცესიც სულ მალე დაიწყება.

როგორ მიიჩნევენ სკოლებში ფინანსური პროცესის გამჭვირვალობას, მნიშვნელოვანია თუ არა, რომ ეს პროცესი გამჭვირვალე იყოს; რა მნიშვნელობას ანიჭებენ მონაწილეობით ბიუჯეტირებას და თვლიან თუ არა, რომ ამგვარი ბიუჯეტირება გადაჭრის სკოლებში არსებულ ფინანსურ თუ კორუფციულ პრობლემებს – ამ კითხვებით მივმართეთ ამ რეფორმის პროცესებში ჩართულ პირებს:



# მონაწილეობითი ბიუჯეტირება სკოლებში

საქართველოს განათლების რეფორმის პროექტის „ილია ჭავჭავაძის" დირექტორი ბიბი ოთიძხაძე:

„ჯერჯერობით სკოლებში ახლა მიმდინარეობს სამეურვეო საბჭოების არჩევის დაგეგმვის პროცესი. ეს პროცესი ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება და შემდეგ მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველი ნაწილი შევა ძალაში. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ცნება ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი ის არის, რომ არსებული ბიუჯეტის განკარგვაში გამგეობა გამჭვირვალეა და პრაქტიკულად მთელი სკოლა იღებს ამ ბიუჯეტის განკარგვაში მონაწილეობას, ზოგი – პირდაპირ, ხოლო ზოგი – არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით. ბიუჯეტირების მეორე მხარე ის არის, რომ ასევე მთელი სკოლა იღებს მონაწილეობას ბიუჯეტისათვის თანხების მოპოვებაში, რომელიც არანაკლებ დემოკრატიულ განკარგვასა და გამჭვირვალობას მოითხოვს, ვიდრე თვითონ ბიუჯეტის ხარჯვა. სამეურვეო საბჭო არის ორგანო, რომელიც ადგენს ბიუჯეტს და ახორციელებს მის ხარჯვას. რაც შეეხება მეორეს, თუ როგორ მიიღებს მონაწილეობას სკოლა ამ ბიუჯეტის გაზრდაში, ეს არანაკლებ პრობლემატური და მნიშვნელოვანია, ვიდრე სამეურვეო საბჭოებისთვის იმის სწავლება, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ბიუჯეტი სწორად და გამჭვირვალედ. ამ მიმართულებით სამეურვეო საბჭოებისთვის ჩვენ ორი სახის ტრენინგი გვაქვს ჩასატარებელი: ერთი ბიუჯეტის ხარჯვის, მეორე ბიუჯეტის მოპოვების. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში განათლების ბიუჯეტი იზრდება და ერთი მოსწავლის დაფინანსებაც შესაბამისად გაიზრდება, ჩვენ ჯერ ამ მიმართულებით ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან ძალიან შორს ვართ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ერთ მოსწავლეს 5-6-ჯერ ნაკლებად ვაფინანსებთ, ვიდრე ეს საშუალოდ ევროპაში ხდება. ბუნებრივია, სკოლებისთვის საჭიროა სხვა დაფინანსების მოპოვება, რის უზრუნველყოფაც თავად სკოლამ უნდა იკისროს. ფულის მოპოვებას, ანუ ადგილობრივი თუ უცხოური დონორის მოძიებას და მოძიებული თანხის სკოლისთვის საკეთილდღეოდ გამოყენებას სწავლა სჭირდება. ასევე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სამეურვეო საბჭომ უნდა ისწავლოს სკოლებში პრობლემების გამოვლენა და მათზე არსებული ბიუჯეტისა თუ მოპოვებული თანხების წარმართვა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რა თქმა უნდა, გადაჭრის კორუფციულ პრობლემებს: სადაც გამჭვირვალობაა, ამგვარი პრობლემები ყველგან გვარდება. თუმცა, ხარვეზებს საინტერესოა გამოასწორებს თუ არა ასეთი ბიუჯეტი სწავლის ხარისხს. რა თქმა უნდა, გამჭვირვალობით დაიძლევა კორუფცია, მაგრამ ხარისხის პრობლემა არ დაიძლევა. სავალდებულოა, სამეურვეო საბჭომ და მთლიანად სკოლამ გაიგოს, რას ნიშნავს განათლების ხარისხი და რაზე უნდა იყოს მიმართული ძირითადად სკოლის ბიუჯეტი. სკოლის დანიშნულებაა, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება, ხოლო ბიუჯეტის უპირველესი დანიშნულება განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაა. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს განათლების ხარისხის პრობლემას გადაჭრის. როდესაც ადამიანებს აძლევ საშუალებას, რომ თვითონ განსაზღვრონ, რა უნდა მოხდეს, ისინი ყოველთვის კარგს ირჩევენ, ვიდრე ცუდს. თუმცა პრობლემა ის არის, რას ჩათვლის განათლების ხარისხად კონკრეტული საბჭო კონკრეტულ ეტაპზე. ამ მხრივ არა მარტო სამინისტროს, არამედ საზოგადოების წარმომადგენლებსაც მოუწევთ მუშაობა. თავისთავად ამის გათავისება საზოგადოების წევრებისთვის, რომელთაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, რომ თუ ადამიანმა ბევრი იცის, ის განათლებულია, საკმაოდ პრობლემატურია. ჩემი აზრით, მონაწილეობითი ბიუჯეტი ხარისხის უზრუნველყოფასაც წაადგება, თუმცა ჩვენ არ შეიძლება ვეცადოთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფა მონაწილეობითი ბიუჯეტით გადაწყდება. მონაწილეობითი ბიუჯეტი არის აუცილებელი მომენტი, რომელიც, ვფიქრობთ, ხარისხის უზრუნველყოფა გახდება შესაძლებელი."



პროექტის „მონაწილეობითი ბიუჯეტირება სკოლებში" დირექტორი, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიორგი მელაძე:

„სკოლებში ფინანსური ურთიერთობები ყოველთვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ გვარდებოდა და არც იყო საზოგადოებაში მოლოდინი, რომ ეს პროცესი ღია იქნებოდა მშობლებისა თუ მოსწავლეებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ სკოლებმა დღემდე სწორედ ასეთი, საბჭოთა ტიპის დახურული მმართველობა შემოინახეს. ალბათ ნებისმიერ მშობელს შეუძლია დაასახელოს თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც მან ფული გადაიხადა სკოლაში, მაგრამ შემდგომში ვერ გაიგო, რას მოხმარდა ეს თანხა. ფინანსური კრიზისის პერიოდში ბევრმა სკოლამ შექმნა ეგრეთ წოდებული ფონდები, სადაც მშობლებს „ნებაყოფლობით" შეჰქონდათ ყოველთვიური შენატანი. ბუნებრივია, ბევრი სკოლა ამ თანხას საკუთარი მიზნების შესაბამისად იყენებდა, ბევრიც – უმიზნოდ, მაგრამ მთავარი კითხვა, თუ რა იყო სკოლის მიზნები, არ დასმულა. ბევრი მშობელი მოდის თავისუფლების ინსტიტუტის ოფისში და საუბრობს იმ პრობლემებზე, რომელიც მათ სკოლაში თანხების ხარჯვასთანაა დაკავშირებული. ერთია, სკოლა როგორ ხარჯავს თანხას, რამდენად სამართლიანად, გამჭვირვალედ და კანონიერად და მეორეა, რატომ ხარჯავს თანხას, მაგალითად, სპორტული დარბაზის შესაკეთებლად და არა ბიბლიოთეკისთვის, ან პირიქით, ანუ რა არის სკოლის პრიორიტეტი.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის მეთოდი, რომელიც ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაეხმარება როგორც სკოლის ადმინისტრაციას, ასევე მშობლებს და სამეურვეო საბჭოს. ანუ მონაწილეობითი ბიუჯეტირება შესაძლებლობას აძლევს მშობლებს, განსაზღვრონ, თუ საით მიმართონ სკოლის ბიუჯეტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეობითი ბიუჯეტირება რეფორმირებული სკოლებისთვის. დღეს სკოლები ინდივიდუალურად იღებენ დაფინანსებას მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად და დამოუკიდებლად განკარგავენ თანხებს. თუ აქამდე პრიორიტეტებს სახელმწიფო განსაზღვრავდა ყველა სკოლისთვის, დღეს სკოლები თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და ბევრ სკოლას საკმაოდ დიდ შემოსავალი ექნება წლიურად. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თანხების ხარჯვა იმ ამოცანებს ემსახურებოდეს, რაც სკოლის, და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებშია. სწორედ ეს არის მონაწილეობითი ბიუჯეტირების მთავარი იდეაც: გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე გახდეს და მასში ყველა ის ადამიანი მონაწილეობდეს, ვინც დაინტერესებულია სკოლის ეფექტური მუშაობით.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს საშუალებას მისცემს, ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილება სკოლაში თანხების განაწილებაზე. ბიუჯეტირების პროცესი მონაწილეობითი უნდა იყოს განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, როდესაც სკოლებში სამეურვეო საბჭოები იქმნება და მშობლებსა და მოსწავლეებს საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ მართვაში. ღია პროცესის გარეშე წარმოუდგენელი იქნება სკოლების მართვის სისტემის გაჯანსაღება. მონაწილეობითი ბიუჯეტირება ერთ-ერთი გზაა სისტემის შეცვლისთვის და ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ ინიციატივას 70 სკოლაში პირველ ეტაპზე, ხოლო მას შემდეგ, რაც გარკვეული გამოცდილება დაგროვდება პროცესის წარმოებისთვის, მონაწილეობითი ბიუჯეტირება ყველა სკოლაში გახდება ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი."



თამილა მუსერიძე, თბილისის მე-18 საშუალო სკოლის დირექტორი:

„მონაწილეობითი ბიუჯეტირება მოგვცემს ნდობის მაღალ ხარისხს როგორც მოსწავლეების ისე ჩემი თანამშრომლების მხრიდან. რეფორმის შედეგად სკოლებში ფინანსური პროცესების განსაზღვრასა და მის განკარგვაში სამეურვეო საბჭო მიიღებს მონაწილეობას, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მასწავლებლებისა და მშობლებისგან. სკოლაში მიმდინარე ამგვარ ფინანსურ პროცესში მონაწილეობის ხარისხი ძალიან მაღალია, რაც ძალზე კარგი და სასიკეთოა. მონაწილეობითი ბიუჯეტირება გააფვილებს სკოლის სტრატეგიის განსაზღვრას, დაგეგმვასა და საქმიანობას, იმიტომ რომ ყველაფერი ბიუჯეტზეა დამყარებული. საერთოდ სკოლის საქმიანობა ბიუჯეტს ეფუძნება, თუ ბიუჯეტი მცირეა, ჩვენი საქმიანობაც შეზღუდულია. დღესდღეობით სახელმწიფო სათანადოდ ვერ აფინანსებს სკოლას, ამიტომ ბიუჯეტის გაზრდისთვის საჭიროა სკოლამ დამოუკიდებლად მოიძიოს სახსრები. როცა მშობლებისა და მასწავლებლებისგან შემდგარი სამეურვეო საბჭო ნახავს, რა ფინანსებია სკოლაში, დირექტორი, რომელსაც მენეჯერული ფუნქციები დაეკისრება, მშობლებთან ერთად უფრო მეტად ეცდება იმ ბიზნესმენისა თუ დონორის პოვნას, რომელიც სკოლას დამატებით დააფინანსებს. ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტირება უთუოდ აღმოფხვრის სკოლებში არსებულ კორუფციას. სკოლაში მცირეა სახსრები და ასევე მცირეა კორუფციის მასშტაბიც. მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემთხვევაში, ანუ როცა ფინანსური პროცესი გამჭვირვალეა და მშობელი და მასწავლებელი თავად განკარგავს ამ სახსრებს, კორუფციაც თავისთავად აღმოიფხვრება."



თელავის მე-2 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი თამარ ჯიმშიტაშვილი:

„ბიუჯეტის შედგენაში მასწავლებლების მონაწილეობა სკოლაზე დადებით გავლენას მოახდენს. ეს რეფორმა თანხების განკარგვის თვალსაზრისით ძალიან კარგი და დადებითია. ყველა სკოლის მასწავლებელს აქვს უფლება, რომ აზრი გამოთქვას ბიუჯეტის შესახებ, თუმცა ეს აზრი მისაღები უნდა იყოს. და თუ ეს აზრი ყველასთვის მისაღები იქნება, დარწმუნებული ვარ, მას აუცილებლად გაითვალისწინებენ. რეფორმის შედეგად კორუფცია შემცირდება, რადგან თანხების განკარგვაზე გარკვეული კონტროლი დაწესდება."

ოლიკო დიდებული, თბილისის მე-18 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

„სკოლაში გადამწყვეტი ბიუჯეტი და საბიუჯეტო სახსრების მართებული მოხმარებაა. შეიძლება ბიუჯეტთან დაკავშირებით პროფესიონალები არ ვიყოთ, მაგრამ ვცდილობთ, გავერკვეთ მის პოლიტიკურ ასპექტებში, სკოლისთვის მის მნიშვნელობაში. მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემთხვევაში მასწავლებლები ვეცდებით, რომ თანხები ეფექტურად გამოვიყენოთ, რადგან ეს განსაზღვრავს შემდეგ სკოლის ავტორიტეტს და სწავლის ხარისხს. ჩვენი უპირველესი ამოცანაა ბავშვებში სამართლიანობის პრინციპისა და კანონის უზენაესობისადმი მორჩილების დანერგვა. იგივე შემიძლია ვთქვა პედაგოგებზეც: მიმდინარე რეფორმის პირობებში ისინი ძალზე გააქტიურებულნი არიან. აქედან გამომდინარე, კოლექტივი, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ნაწილი, ბიუჯეტირებისას ვერ დაუშვებს ვერანაირ დარღვევას. ასევე ვერავინ გაატარებს ვერანაირ უსამართლობას. მასწავლებლები ძალიან ფხიზლად და აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში. ვცდილობთ, ეს ყველაფერი იმ მოთხოვნებსა და იმ კანონმდებლობას შევუხამოთ, რომელიც უკვე მიღებულია სასკოლო საგანმანათლებლო სფეროში."

თბილისის 166-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე დათო გაგუნია:

„სკოლას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობა და თუ მისთვის განკუთვნილ ფინანსებს დამოუკიდებლად წარმართავს, ეს ძალიან კარგია. ჩემი აზრით, მოსწავლეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა სკოლის ბიუჯეტის შედგენასა და მის წარმართვაში. მათი იდეები და მითითებები გათვალისწინებული უნდა იქნეს. ასევე, შესაძლოა, მოსწავლემ ამ ფინანსურ პროცესს კონტროლი გაუწიოს, მოსწავლემ უნდა იცოდეს რაში



იხარჯება ფული. ხშირ შემთხვევაში მშობლები და მასწავლებლები თვითონ განსაზღვრავენ, რა არის ბავშვისთვის კარგი და სასიკეთო ისე, რომ ბავშვს არ ეკითხებიან და მის აზრს არ ითვალისწინებენ. ჩემი აზრით, უნდა იქნეს გათვალისწინებული მოსწავლის აზრიც და მისი შეხედულებაც სკოლაში მიმდინარე ამა თუ იმ პროცესთან დაკავშირებით. საუკეთესო ვარიანტია, თუ ბავშვის და უფროსის აზრი ერთმანეთთან შეთანხმებული იქნება. მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემთხვევაში სკოლის სახსრებს განკარგავს არა ერთი პირი, არამედ მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან შექმნილი საბჭო, ანუ ამ შემთხვევაში ხდება ერთმანეთის კონტროლი, ისინი ერთმანეთს ვეღარ მოატყუებენ და შესაბამისად სკოლისთვის გამოყოფილ თანხებს ვერავინ მიისაკუთრებს."

166-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ანი ლუხავა:

„სკოლებში უნდა შეიქმნას თვითმმართველობები და მოსწავლეებმა საკუთარი იდეები უნდა მიაწოდონ დირექციას, ასევე მოახდინონ სკოლაში არსებულ ფინანსებზე კონტროლი, რადგან ეს თანხები ყოველთვის დანიშნულებისამებრ არ მიდის. ჩემი აზრით, მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემთხვევაში კორუფცია სრულიად აღმოიფხვრება, რადგან თანხების გადინების პროცესი აბსოლუტურად გაკონტროლებული იქნება. ვთვლი, რომ სკოლისთვის სასიკეთო იქნება თუ, თვითონ განსაზღვრავს, რა არის მისთვის პრიორიტეტული და იმ მიმართულებით წარმართავს მის ხელთ არსებულ თანხებს".



ლეილა გუჯიაშვილი, ქ. თელავის მე-4 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშობელი:

„აქამდე ჩვენს სკოლას ძალიან უჭირდა, ხანდახან იმის ფულიც არ იყო ხოლმე, რომ ცარცი ეყიდათ. ახლა კი, რადგანაც ჩვენს სკოლაში საკმაოდ ბევრი მოსწავლეა – 900-ზე მეტი, სკოლის შემოსავალი იზრდება. მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასები, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს სწავლების ხარისხზეც. ძალიან კარგი იქნება, თუ



ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას მიიღებს სამეურვეო საბჭო. ამ შემთხვევაში ბიუჯეტის შედგენის პროცესიც გამჭვირვალე გახდება – ჩვენ გვეცოდინება, როგორ და რანაირად ხდება ბიუჯეტის შედგენა და შევძლებთ იმის გაგებას, თუ რამდენადაა გათვალისწინებული ამ ბიუჯეტში სკოლის მოთხოვნები, ანუ სკოლისათვის რაც საჭირო და აუცილებელია, თანხები იმაში დაიხარჯოს. სამეურვეო საბჭო კონტროლს გაუწევს იმას, თუ როგორ იხარჯება თითოეული თეთრი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია — კონტროლი იქნება და კორუფციაც შემცირდება".

ლალი ძამუკაშვილი, ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმ. შალვას, ბიძინას და ელიზბარის სახელობის ქ.თელავის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მშობელი:

„ჩემი აზრით, სკოლის ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ამ პროცესში მშობელთა ჩართვა გარკვეულწილად მოხსნის უნდობლობის მომენტს. როდესაც მშობელი ხედავს, თუ როგორ და რამდენად მიზანშეწონილად იხარჯება სკოლის თანხები, ის დარწმუნებულია, რომ მას არ ატყუებენ. ეს ერთი მხარეა, მაგრამ მეორე მხარეა ის უნდობლობა, რის გამოც ეს ხდება. მე მუდმივად უნდა ვდარაჯობდე დირექტორს და მის მიმართ უნდობლობით ვიყო განმსჭვალული, რომ მან ესა თუ ის თანხა არამიზნობრივად არ დახარჯოს. ერთი მხრივ, ეს მის დამცირებადაც შეიძლება. თუ ვენდობი, ესე იგი, ვენდობი, მაგრამ, რადგან არსებობს ისეთი შემთხვევებიც, რომ სწორედ დირექტორები ყოველთვის კეთილსინდისიერად ვერ წარმართავენ თანხების ხარჯვას, მაშინ იყოს ასეთი სახის გამჭვირვალობა. ოღონდ, ნდობის ფაქტორს თუ ავიღებთ, შესაძლოა, სამეურვეო საბჭოში შემავალ ადამიანებზე შეეპაროთ ეჭვი, თუ რამდენად ობიექტურად იქცევიან ისინი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს".



რედაქტორები:
გიორგი მელაძე, ლევან ჩაჩიბაია, თამუნა ტაბატაძე, ლალი ჭყადუაძე, დალი ცქიტიშვილი
თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი 0108, ჭიჭინაძის 23, ტელ: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია USAID (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო), ევრაზიის ფონდის და ბრიტანეთის მთავრობის (გლობალური კონფლიქტის პრევენციის ფონდი) მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის მთავრობის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევრაზიის ფონდის და ბრიტანეთის მთავრობის შეხედულებებს.

# მიწის ზემოთ და მიწის ქვემოთ

*ჩემი მშობლებისაგან მსმენია, კომუნისტების დროს საზეიმო კონცერტებზე ერთი კაცი გამოჰყავდათ თურმე - სოციალისტური სამშობლოს მიღწევებს გუდასტვირზე დამღერებული კუპლეტებით ეხმიანებოდა. მღეროდა ბარაქიან მოსავალზე, წარმატებულ ხუთწლედებზე, სამეცნიერო მიღწევებზე... როცა ჯერი თბილისის აღმშენებლობაზე მიდგებოდა, ასე წაუღიღინებდა: "მაინც ყველაზე მაღალია თერთმეტსართულიანიო". ეს კაცი სცენას კარგა ხანს შემორჩა, ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე მაინც, როცა თბილისში სასტუმრო "ივერია" აშენდა. როგორც ჩანს, პირველი შთაბეჭდილების გაქარწყლება არც ისე იოლია. მოგვიანებით თბილისში სხვა მაღალი შენობებიც გაჩნდა, მაგრამ მათ შესახებ სიმღერები არ დაუწერიათ. მიზეზი გასაგებია: თერთმეტსართულიანი დიდ ხნის განმავლობაში არა მარტო მაღალი, არამედ სხვებზე ბევრად მაღალი შენობა იყო. ვერ დავიჩემებ, რომ გუდასტვირს აუცილებლად რეპი ჩაენაცვლება. არადა, რეპერებსაც სჩვევიათ სცენაზე სოციალური თემატიკის გახმოვანება. ამიტომაც არ გამიკვირდება, თუ ოცდათექვსმეტსართულიანი ნაგებობა, რომელიც სასტუმრო "აჭარის" წინ აშენდება, რომელიმე ვარსკვლავის სიმღერაში გაიჟღერებს.*



სოფიო თოდუა

ცათამბჯენი, რა თქმა უნდა, ხმამაღალი ნათქვამია. მაგრამ ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც ბოლო დროს გაფართოების ერთადერთი საშუალება ლოჯიების მიშენება იყო. მდგომარეობა აშკარად იცვლება. დღეს მომრავლებული სამშენებლო კომპანიები კომფორტულ აპარტამენტებს გვთავაზობენ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით თანამედროვე კორპუსები სინამდვილეში "ხრუშჩოვკების" თუ არა, ჩეხური და ყავლაშვილის პროექტებით აგებული სახლების გაკეთილშობილების მცდელობა უფროა. სხვათა შორის, ნიკიტა ხრუშჩოვი არც ისე სულელი იყო, როგორც ეს მოგვიანებით დაგვიხატეს. სახლების იაფად და სწრაფად მშენებლობა დრომ მოიტანა: ჯერ ერთი, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მართლაც აუცილებელი იყო, მეორეც, "კომუნალკებში" გამომწყვდეული რამდენიმე ოჯახი ნაკლებად სანდო იყო, ვიდრე საკუთარ ჭერქვეშ გამოკეტილი ობივატელი.

მაგრამ ჩვენ სასტუმრო "აჭარის" რეკონსტრუქციაზე ვლაპარაკობთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მშენებლობაც ყურადღების ცენტრში მოექცა და მოვლენებიც ქართული სცენარით გავნითარდა: საზოგადოების ერთი ნაწილი აღფრთოვანებას ვერ მალავს, მეორე - აღშფოთებას. რატომ მოსწონთ, ამაზე ქვემოთ. რაც შეეხება უარყოფით ფონს, ამის მიზეზი გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ამ პროექტის ესთეტიკური მხარე. ბოლო დროს თბილისში იმდენი უსახური შენობა გაჩნდა, თანაც იმდენად შეუფერებელ ადგილას და იმდენად გამოკვეთილი ბიზნესინტერესების ფონზე, ნებისმიერ ახალ წამოწყებას საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს. ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ პირველ ცათამბჯენს ამთავითვე აჟიოტაჟი მოჰყვა. პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილი ოპონენტები, რომელთაც ზურგს იპოდრომისა და მზიურის პრეცედენტები უმაგრებს, ირწმუნებიან, რომ 36-სართულიანი შენობა თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთულ მოედანზე მოძრაობას შეაფერხებს. გაიხსენეს ისიც, რომ ამ შენობისათვის განკუთვნილი ფართი პირდაპირი წესით გაიყიდა და ვერდიქტმაც არ დააყოვნა. სერიოზული ბრალდებებია.

მაგრამ პატივცემულმა ოპონენტებმა ერთი მეტად მნიშვნელოვანი არგუმენტი ვერ გაითვალისწინეს: აქაურობის მომავალ მუშტრებს, სხვათა შორის, შეძლებულ ადამიანებს, ჩვენზე არანაკლებ სჭირდებათ ფართო ქუჩა თუ გამართული კომუნიკაციები. ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს აქ მხოლოდ გამოსაძინებლად დაჯავშნის ვინმე ძვირადღირებულ ნომერს და სულაც არ დაგიდევს, თუ მანქანას ვერსად დააყენებს, ან შუა ბანაობაში წყალი შეუწყდება. რაც შეეხება ახალი კორპუსისთვის გამოყოფილ ფართობს, მისი მფლობელია შპს "აჭარა +", სასტუმრო "აჭარა" კი ამავე სახელწოდების სააქციო საზოგადოებას ეკუთვნის. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, ხსენებული ფართი ტენდერის საშუალებით გაყიდულიყო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე სტრუქტურა, თუ არა კერძო ინტერესი, სხვას ზედ ცხვირწინ ამსიმაღლე კორპუსის აშენების უფლებას მისცემდა.

მაინც, რას გვთავაზობენ საბურთალოზე? დაახლოებით 200 ნომერზე გათვლილ ფეშენებელურ სასტუმროს, ასეთსავე ოფისებსა და აპარტამენტებს, სავაჭრო ცენტრს, პლუს ჩვენთვის სრულიად უჩვეულო ავტოსადგომსა და მიწისქვეშა გადასასვლელს ფართო ინფრასტრუქტურით. ცხადია, ეს ვერ იქნება ნიუ-იორკისა თუ ფრანკფურტის ცათამბჯენების ანალოგი, მაგრამ ეს აუცილებლად იქნება გამორჩეული ნაგებობა ჩვენს სინამდვილეში. ახლა არ ღირს იმაზე ლაპარაკი, რამდენი ქართველი და რამდენი უცხოელი ინვესტორი ჩადებს ფულს ამ წამოწყებაში - რაც მეტი, მით უკეთესი, მათ შორის ჩვენთვის, რიგითი ადამიანებისთვისაც, რადგან ამ ტიპის არქიტექტურული კომპლექსი თავისთავად გამოიწვევს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას. ამას გარდა, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც შევიგნოთ, რომ ისტორიულ უბნებში თანამედროვე კორპუსების ჩადგმას სხვა სახელი ჰქვია და არაფერი აქვს საერთო ქალაქის განვითარებასთან.

ფინანსებს რაც შეეხება, ამ წამოწყებას 30 მილიონი რომ აუცილებლად დასჭირდება, ამას წყალი არ გაუვა.

აქაურობა კი თანამედროვე არქიტექტურულ კომპლექსს ზედმიწევნით ესადაგება. ჩვეულებრივი მშენებლობა არქიტექტურად კარგა ხნის წინ იქცა, თუმცა საბურთალოს შემთხვევაში აშკარად საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე - აქ არქიტექტურა იქცა მშენებლობად, და არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. ამდენად, ახალ პროექტს, რომელსაც გოგა ჩხეტია და მისი ჯგუფი გვთავაზობს, 21-ე საუკუნეში არქიტექტურის სათავეებთან მივყავართ. ძნელი სათქმელია, რას წარმოადგენდა აქამდე "აჭარა" ჩვენთვის. როგორც სასტუმრო, ის ძალზე ცოტა ხნით შემორჩა ჩვენს მეხსიერებას, უფრო სწორად, გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდა პერიოდი, როდესაც აქ აფხაზეთიდან დევნილები სახლობდნენ. "ივერიისაგან" განსხვავებით, "აჭარას" აივნები არ ჰქონია, ლტოლვილებს რომ შეემინათ და სამზარეულოებად ექციათ. არც აქაურ ბავშვებს უთამაშიათ ფეხბურთი სპორტის სასახლის ეზოში და დევნილებმაც ექსცესების გარეშე დატოვეს სასტუმრო. იქნებ, ამიტომაც გვახსენებდა ეს ორი კორპუსი ორ აფხაზეთს თუ, სულაც, ორ საქართველოს - ორივე მხარეს მორალურად ერთნაირად გაუბედურებული ხალხი დგას, განსხვავებას მხოლოდ მათი სოციალური სტატუსი განსაზღვრავს. ასე რომ, როცა ახალ პროექტზე ვილაპარაკებთ, ძველ მეტაფორებთან ერთად, ახალიც მოვიძიოთ. მაგალითად, ორი კორპუსის შემაერთებელი კონსტრუქცია - როგორც ბეწვის ხიდი, რომელზე გასვლაც ყველა ჩვენთაგანს მოუწია. რაც შეეხება კიდევ ერთ არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც სასტუმრო "ივერიის" ადგილას, რესპუბლიკის მოედანზე აშენდება, კავშირი აქაც მხოლოდ ლტოლვილებით არ ამოიწურება: რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა, ქართველების მონაპოვარი არ არის, მაგრამ 26 მაისს მხოლოდ საქართველოში გამოცხადდა რესპუბლიკა. და კიდევ ერთი მეტაფორა: "ივერიის" რეკონსტრუქციის პროექტი უცხოელებს ეკუთვნით, აქაურობის განახლების იდეა კი ქართველების მონაპოვარია.

თავის დროზე თერთმეტსართულიანი, როგორც საბჭოთა არქიტექტურის ტიპური ნიმუში, ქალაქის განაპირას, ჯერაც დაუსახლებელ საბურთალოზე შემთხვევით არ აგებულა - ახალი თბილისის მშენებლობა ახალი უბნის ათვისებით დაიწყო. სტალინის რეპრესიები, ხრუშჩოვის "ოტტეპელი", ბრეჟნევის განვითარებული სოციალიზმი, გორბაჩოვის პერესტროიკა... ამის პარალელურად კი: ქვით მოპირკეთებული ფასადები, დაბალჭერიანი კორპუსები, ჩეხური პროექტები, მიშენებული ლოჯიები... ამ სახლების მშენებლობა არც ისე ბევრი დაჯდა, მათი დანგრევა გაცილებით ძვირი ღირს. ამიტომაც გვირჩევნია, შუშის ცათამბჯენში სოლიდური თანხები ჩაიდოს, ოღონდაც აღარავის გაუჩნდეს მისი განადგურების სურვილი.

■ ■ ■

რაგინდ კარგი იყოს ესა თუ ის საპროექტო წინადადება, წარმატებაზე ლაპარაკი მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, თუ ის ასევე წარმატებით დასრულდება. სწორედ იმიტომ, რომ ამ მასშტაბის პროექტი საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა, ბუნებრივია, ინვესტორების არჩევანი უცხოელ მშენებლებზე შეჩერდა - მათზე, ვისაც მსგავსი კომპლექსები აუშენებია. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ განთავსებული სასტუმრო აუცილებლად ხუთვარსკვლავიანი იქნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალი მშენებლები საქმეს ხუთიანზე შეასრულებენ. გასაკეთებელი კი მართლაც ბევრია: 36 სართული მიწის ზემოთ, 4 - მიწის ქვემოთ, ძველი კორპუსის ფუნდამენტური რეკონსტრუქცია, კორპუსებს შორის მოხერხებული ხიდის გადება, მიწისქვეშა გვირაბის გაყვანა და ამ ყველაფრის მიღმა ნებისმიერი წვრილმანისა თუ მხსვილმანის გათვალისწინება, სამშენებლო მასალებით დაწყებული, დეკორატიული ფონით დამთავრებული. ეს დაახლოებით ორ წელიწადში მოხდება, მანამდე კი საპროექტო წინადადება პროექტად გარდაიქმნება და ფართო საზოგადოების განხილვის საგნად იქცევა.

როდესაც "აჭარის" წინ თითქმის გამოუყენებელი ავტოსადგომის ტერიტორიაზე დგახარ, ძნელი წარმოსადგენია, რომ აქ არათუ დიდი სასტუმრო, არამედ მომცრო სახლი დაეტევა. მაგრამ საკმარისია მეორე სართულიდან გადმოხედო მოედანს, დარწმუნდები, რომ ახალი კორპუსის აშენებას ამ ფართობის ნახევარიც ყოფნის. ზემოთ ვთქვი, რომ 36-სართულიანი შენობა დღევანდელი გაგებით ცათამბჯენი არ არის. ცათამბჯენი გაცილებით მეტია, ვიდრე მრავალსართულიანი ნაგებობა და, ბუნებრივია, განსაკუთრებულ გათვლას მოითხოვს. თბილისი კი, მოგეხსენებათ, სეისმურად აქტიური ზონაა, ამიტომაცაა აუცილებელი, რომ მსაგავსი შენობები 9 ბალიან მიწისძვრას უძლებდეს. სათქმელად ადვილია, შესასრულებლად - რა მოგახსენოთ.

ვერ გეტყვით, საერთოდ მოისპობა თუ არა თბილისში "სტაიანშჩიკის" პროფესია, მაგრამ ამ ადგილას მათ რომ არაფერი ესაქმებათ, ეს ფაქტია. ცნობისათვის, ანდერგრაუნდის ინფრასტრუქტურა მხოლოდ მანქანების სადგომით არ ამოიწურება. აქ გათხრილი მიწისქვეშა გადასასვლელი ძალზე განსხვავდება მათი დღევანდელი ანალოგებისაგან. მაღაზიები აქაც მრავლად გაიხსნება, ოღონდ მათ შესასვლელებთან ჩვენი ყნოსვის რეცეფტორებს მძაფრი სუნი აღარ შეაწუხებს. ეს გვირაბი, რომელსაც რამდენიმე ამოსასვლელი ექნება 26 მაისის მოედანზე, მეტროპოლიტენის სადგურსაც დაუკავშირდება. ასე რომ, დაახლოებით ორი წლის შემდეგ საბურთალოს ხაზით გაცილებით მეტი მგზავრი ისარგებლებს.





აუცილებლად იკითხავენ: რატომ მაინცდამაინც შუშა? იმიტომ, რომ შუშის ინტერიერები დღესაც მოდაშია, მათ შორის - თბილისშიც. რამდენად მოუხდება თავიდან ბოლომდე შემინული ორი კორპუსი 26 მაისის მოედანს, ამას, ცხადია, მხოლოდ მომავალი ვერ გვიჩვენებს. თუ ერთიან არქიტექტურულ კომპლექსზე ვერ ვილაპარაკებთ, ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ იძულებით ეკლექტიკას აწი მაინც ავუქციოთ გვერდი. იყო დრო, როცა სპორტის სასახლეს, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსებსა და "აკადემიკოსების სახლს" თვრამეტსართულიანი სასტუმრო აერთიანებდა. ანსამბლურობაზე ლაპარაკი, ცხადია, მაშინაც უხერხული იყო. დღეს, როდესაც სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სრულიად ქაოტურად გაშენებული საცხოვრებელი მასივი დღითი დღე იზრდება, "აჭარა" დომინანტად ველარ მოიაზრება. ორი განსხვავებული სიმაღლის კორპუსი კი უნისონში მოვა როგორც ახლახან შეფერადებულ ძველ ფასადებთან, ისე იმთავითვე ალაგ-ალაგ აჭრელებულ, ჯერაც დაუმთავრებელ კორპუსებთან. ამ ტიპის კომპლექსები თავისთავად ითხოვს სარეკრეაციო ზონის არსებობას. დარჩება თუ არა მწვანე საფარი დოლიძის ქუჩის კუთხეში ან სპორტის სასახლის წინ, ამაზე თავს ვერ დავდებ. არადა, ბავშვებს სჭირდებათ ბალი! ამიტომაც მოედნის შუაში, მიწისქვეშა გადასასვლელში, სკვერი გაშენდება, ოღონდ ისეთი არა, მიწის ზემოთ მრავლად რომ გვინახავს.

■ ■ ■

ახალ წელს თავისუფლების მოედანზე უჩვეულო ნაძვის ხე დაიდგა. ნაძვის ხე რაღაა, მაგრამ ამანაც ხმაური გამოიწვია. კარგი იყო ეს თუ ცუდი, განსჯისაგან თავს შევიკავებ - იმიტომ არა, რომ მეც მტკიცედ მწამს, თითქოს გემოვნებაზე მართლა არ დავობდენ. უფრო ის მადარდებს, რომ აქ კარგა ხნის განმავლობაში ნაძვის ხეს საერთოდ ვერ ვიხილავთ, ვერც ცუდს და ვერც კარგს. პირადად მე გიორგობა უფრო დიდი დღესასწაული მგონია, ვიდრე ახალი წელი, მაგრამ რაღა დაგიმალოთ და, წმინდა გიორგის შეგნებულ თუ უნებლიე გროტესკს ცუდი ნაძვის ხე ბევრად მირჩევნია. სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ერთი თვით იდგმება. არა, აღებით ადრე თუ გვიან ზურაბ წერეთლის მორიგ საჩუქარსაც აიღებენ, მაგრამ თუ მომავალი ხელისუფლება, დღევანდელის არ იყოს, ისევ ორმაგი სტანდარტებით იხელმძღვანელებს, იმ დროისათვის უკმაყოფილო ოპოზიციონერები ჯიუტად დაგვარწმუნებენ, რომ საქმე რწმენის შერყვნასთან გვაქვს. არქიტექტურული ნაგებობაც მონუმენტია. ძეგლებისაგან განსხვავებით, ჯერჯერობით, თბილისში არც ერთი შენობა არ დაუნგრევიათ მათი ესთეტიკური ღირებულების გამო. ძველი სახლები ჩვენთან იმიტომ ინგრევა, რომ მათ ადგილას ახალი კორპუსები ჩაიდგას. არადა, მომცრო ზომის ბარაკებიც კი ნაკლებად ხვდება თვალს, ვიდრე დიდი და უშნო კომპლექსები.

როცა პროექტი მოგწონს, ალბათ წერილი ამ ნოტაზე არ უნდა დაამთავრო. მაგრამ მე გავრისკავ და მოვლენებს წინ გავუსწრებ. ჩვენთანაც დადგება დრო, როცა გაფართოების დაუოკებელ სურვილს გემოვნებიანი ინტერიერ-ექსტერიერის აუცილებლობაც დაემატება. ამიტომაც მგონია, ეს ორიგინალური კონსტრუქცია ოცდამეერთე საუკუნის თბილისის სავიზიტო ბარათად თუ არ იქცევა, დასანგრევი შენობების ნუსხაშიც არასოდეს მოხვდება.

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული I ობიექტი | 1. ქვიშა-ხრეშის მოპოვება კასპის რაიონში მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე თბილისი-ქუთაისის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის ხიდიდან ჩრდილოეთით 1,1 კმ მანძილზე, სოფ. მუხრანიდან სამხრეთ-დასავლეთით 2,0 კმ მანძილზე. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი I ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს – 2007 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული II ობიექტი | 2. ქვიშის მოპოვება ხობის რაიონში სოფ. გულრიფულის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ხობის მარცხენა ნაპირზე |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 2 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი II ობიექტის საწყისი ფასი | 201 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს – 40 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული III ობიექტი | 3. ქვიშა-ხრეშის მოპოვება კასპის რაიონში, სოფელ მუხრანის ჩრდილო-დასავლეთით 2.5 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ქსნის მოქმედ მარჯვენა ტერასაზე, რომელიც წარმოადგენს მუხრანის სინკლინური დეპრესიის ნაწილს. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი III ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს – 2007 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული IV ობიექტი | 4. ქვიშა-ხრეშის მოპოვება კასპის რაიონში, სოფელ მუხრანის ჩრდილო-დასავლეთით 2.6 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ქსნის მოქმედ მარჯვენა ტერასაზე, რომელიც წარმოადგენს მუხრანის სინკლინური დეპრესიის ნაწილს. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი IV ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს – 2007 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული V ობიექტი | სენაკის რაიონში სოფ. ხორშის ტერიტორიაზე მდ. ხობისწყლის კალაპოტის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი V ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს – 2007 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული VI ობიექტი | ქვიშა-ხრეშის მოპოვება კასპის რაიონში, ქსნის მარჯვენა ნაპირზე, მდინარე ქსნის ხიდიდან სამხრეთით 1.2 კმ მანძილზე. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ³ |
| აუქციონზე გამოტანილი VI ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი „ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს – 2007 ლარი |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 11 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 12 დეკემბერს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შეტანის ქვითარი | „ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის № 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიაროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თეთრიწყაროს რაიონში, სოფ. პატარა დურნუკის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ში ბაზალტის ქვის მოპოვება |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 18 000 მ³ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 11 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 12 დეკემბერს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 912 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>982 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შეტანის ქვითარი | „ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის № 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიაროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქვიშა-ხრეშის მოპოვება საგარეჯოს რაიონში, სოფ. უჯარმის მიმდებარე ტერიტორიაზე, მის სამხრეთით 1 კმ მანძილზე მდ. იორის ჭალის მარჯვენა ტერასაზე, მდინარის კალაპოტიდან 40-50 მ-ზე. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 150 000 მ³ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 11 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 12 დეკემბერს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 113 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4023 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შეტანის ქვითარი | „ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის № 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან ერთი კვირა.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>ამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიაროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

## ორშაბათი 14.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.40** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) **13.30** "ჯეობარი" **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** შაბათის შოუს გამეორება **23.00** "ჯეობარი" **00.00** სერიალი "იდუმალი ტბა" **01.00** მხ. ფილმი "ამფეთქებელი" (18) (ჟ.ვანდამი) **04.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** საიდუმლო ხელისუფლება. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. მალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაღლა. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ბლანი. 1994. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.20** გადაცემა: თალასა. **22.05** ზღვის მეორე მხარეს. დოკ. ფილმი. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **24.25 AND THE PURSUIT OF HAPPINESS** დოკ. ფილმი. **04.20** კლარა შელერი. ტელესერიალი.

**08.00** მხ. ფილმი "უცნაური სულები" **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "ნასკას საიდუმლოება" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "ქალი მუშკეტერი" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.15** სერიალი "ნათლია-ბონანოს ახალგაზრდობა" **17.00** სერიალი "ადვოკატები" **18.00** "მთავარი" **18.30** "გზაჯვარედინი" **19.00** დოკ. ფილმი "ომის ნანგრევები მარჯნის ზღვაში" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ადვოკატები" **23.00** მხ. ფილმი "მარტოხელებს ესაჭიროებათ საერთო საცხოვრებელი" **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.15** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "შენ სულელი ხარ" **12.15** "რუსთა ველი" - ვ. დრაგანოვი **12.45** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.00** დოკ. ფილმი "ზღვისეული" **13.35** "სამყაროს უთვალავი ფერები" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "დიელი და პასკო" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.40** მხ. ფილმი "ბიმბოს ტომი" (გ) (ჟ. დეპარდიე) **00.15** მხ. ფილმი "როგოპაგი" (18) (უგო ტონიაცი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" **19.40** ახალი პროექტი **20.05** სპექტაკლი "ოპერაცია - დეიდა ტასო"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.00** დროება **12.40, 16.25, 01.40** ტვ-მარკეტი **13.15** ქართ. ფილმი "დათა თუთაშხია" მე-5ს. **14.30, 16.15, 03.15** იმედის მელოდიები **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.10** სპ. პროგრამა "ასი" **17.40** ლატარეა "ЗჩЗ" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.45** მხ. ფილმი "ჩემი ცხოვრება" (გ) (მ. კიტონი) **02.15** სერიალი "დრონგო" 1-ლი ს.

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "ორმაგი სახე" **10.40** მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე" **12.50** ბოევიკი "კვალისწამშლელი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** "დებატები" **15.45** დოკ. ფილმი **16.45** მულტსერიალი **18.00** "პროექტი მომავალი" **18.30** "ნოვოსტი" **18.50** დოკ. ფილმი **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** "პროექცია" **22.00** დოკ. ფილმი "მონაკოს პრინცის სასახლეები" **23.00** თრილერი "შიშის ოთახი"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** "Первая программа". **07.00** "Доброе утро!" **10.10** "Сердце Африки". **11.30** Виктор Перевалов в фильме **"ГОДЕН К НЕСТРОЕВОЙ". 13.20** Док. фильм "Олег Меньшиков. Между Востоком и Западом". **14.00** Худ. фильм **"УПРАВЛЕНИЕ ГНЕВОМ". 16.10** "Лолита. Без комплексов". **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.00** "Федеральный судья". **19.10** "Кривое зеркало". **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 20.50** "Жди меня". **22.00** "Время". **22.30** Сериал **"ЕСЕНИН". 23.30** Спецрасследование: "Выбивание долгов". **00.40** "Ночные новости". **01.00** Сериал **"БРАТСТВО БОМБЫ". 02.10** Джеф Бриджесс в комедии **"БОЛЬШОЙ ЛЕБОВСКИ".** Джефф Лебовски самый ленивый человек в Лос-Анджелесе: закоренелый холостяк, никого не трогает, но починять примус не желает, так как кроме боулинга и алкоголя его мало что интересует. Больше всего в жизни он любит катать шары со своими дружками... **04.05** Дэвид Рэмси в фильме **"АЛИ".** Вряд ли найдется на земле человек, не слышавший имя Мухаммеда Али. Легендарный, непобедимый боксер стал национальным героем Америки и кумиром миллионов во всем мире. Фильм рассказывает о детстве спортсмена, его становлении как личности, жизни и любви.

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00**, **01.00** Сегодня. **11.20** Чистосердечное признание. **11.55** Кулинарный поединок. **12.55** Квартирный вопрос. **14.30** Сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО". 16.35**, **19.30**, **0.45** Чрезвычайное происшествие. **17.20** Сериал **"АДВОКАТ". 20.40** Сериал **"БРИГАДА". 21.50** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2: СУПЕРПРОБЛЕМЫ СУПЕРМОДЕЛИ". 23.40** Реальный сериал "Рублевка. Live". **01.20** Ток-шоу "Школа злословия". О. Кулик. **02.15** "Все сразу!" **02.45** Пас Вега в драме **"ЛЮСИЯ И СЕКС".** Молодая официантка Люсия, работающая в ресторанчике в центре Мадрида, получает известие о гибели своего любовника, писателя Лоренсо. Горюющая Люсия уезжает на средиземноморский островок, о котором ей часто рассказывал Лоренсо. Хозяйка гостиницы Елена воспитывает дочь, отцом которой также был Лоренсо. Люсия открывает новый для себя мир, погружается в него и вскоре обнаруживает, что грань между реальностью и романами Лоренсо постепенно стирается... **05.10** Джон Кэнди в комедии **"В БРЕДУ".** Автор "мыльных опер" Джек Гэйбл попадает в автомобильную аварию. Ударившись головой, он оказывается в городе Эшфорт Фоллз, который он сам и выдумал в своем Сериале. Какова же была его радость, когда он обнаружил, что может управлять событиями, придумывая новые ситуации и ходы с помощью листа бумаги и пишущей машинки!

## სამშაბათი 15.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "რობოტი და რობოტუნები" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "იდუმალი ტბა" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** "ჯეობარი" **15.25** "რობოტი და რობოტუნები" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "კონი და კარლა" (12) (ნია ვარდალოსი) **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ფრანგული სამართლის ისტორია. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.20 GOD'S COUNTRY**. მხ ფილმი. რეჟისორილუი მალე. 1986. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** 7კმ2 სამოთხე ზღვაში. დოკ. ფილმი. **20.25** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ. **03.05** სამხრეთის ანარეკლი.Mმალი. **04.20** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები.

**08.00** მხ. ფილმი "მარტოხელებს ესაჭიროებათ საერთო საცხოვრებელი" **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "ომის ნანგრევები მარჯნის ზღვაში" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მოტაცება" 1-ლი ს. **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.15** სერიალი "ნათლია-ბონანოს ახალგაზრდობა" **17.00** სერიალი "ადვოკატები" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "მარადიული სიცოცხლე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ადვოკატები" **23.00** მხ. ფილმი "ვალენტინი" **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "ბიმბოს ტომი" (გ) **12.15** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** დოკ. ფილმი "ამორძალები" **13.30** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "დიელი და პასკო" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.10** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" (გ) (რიშარ ბერი) **00.20** მხ. ფილმი "სიცოცხლე ავადმყოფობაა, რომელიც სქესობრივი გზით ვრცელდება" (18) (ზ. ზაპასევიჩი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავალი" **19.40** პროფესიონალი **20.05** კინოსეანსი "ცარიელი ბინა"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 13.15, 16.15, 17.10, 02.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.10** ტვ-მარკეტი **13.40** ნ. ქავთარაძის შოუ **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** "ნაცნობი საქართველო" **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "პირველები" **23.30** მხ. ფილმი "ჰომერი და ედი" (გ) (ვ. გოლდბერგი) **01.45** სერიალი "დრონგო" მე-2ს.

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.40** მხ. ფილმი "უდაბნოს ცხელი მზე" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** დოკ. ფილმი **11.30** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **11.45** ისტორიული ფილმი "ომის მბრძანებელი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "პირველი ხარისხის მკვლელობა" **16.15** მულტსერიალი **17.50** "პროექცია" **18.05** მუსიკა **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** "გადარჩენილი სიტყვა" **22.00** კომედია "რა სურთ ქალებს"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** "Первая программа". **07.00** "Доброе утро!" **10.10** Сериал **"ЕСЕНИН". 11.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 12.30** Док. фильм "Красота из-под скальпеля". **13.20** "Большой обед". **14.30** Мультфильм. **14.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 16.10** "Лолита. Без комплексов". **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.00** "Федеральный судья". **19.10** "Кривое зеркало". **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 20.50** "Пусть говорят". **22.00** "Время". **22.30** Сериал **"ЕСЕНИН". 23.30** Док. фильм "Как стать богатым". **00.40** "Ночные новости". **01.00** "Искатели". **01.50** "Ударная сила". **02.40** Бетти Грэйбл в комедии **"КАК ВЫЙТИ ЗАМУЖ ЗА МИЛЛИОНЕРА".** Три девушки нашли троих подходящих, как им кажется, молодых людей, у каждого из которых есть симпатичная внешность, обаяние, но главное - миллионы долларов на банковском счету. Как водится в комедии, все девушки получили совсем не то, на что рассчитывали в начале "охоты на мужей". Правда, что касается миллионов... **04.40** Док. фильм "Горе уму".

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00**, **1.00** Сегодня. **11.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **11.50** Ток-шоу "Принцип домино". **12.50** Сериал **"АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ". 14.25** Для тебя. **15.25**, **20.40** Сериал **"БРИГАДА". 16.35**, **19.35**, **0.45** Чрезвычайное происшествие. **17.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.50** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2: ПИКНИЧОК". 23.40** Реальный сериал "Рублевка. Live". **01.20** Пирс Броснан в боевике **"ПРОВОД ПОД ТОКОМ".** Дэн О'Нил - крутой спец по терроризму из ФБР. Но даже ему приходится туго при расследовании серии дерзких политических убийств, совершенных с помощью новейшего научного изобретения... **03.15** Бильярд. **04.20** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.10** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ-3". 06.05** Сериал **"КИН ЭДДИ".**

## ოთხშაბათი 16.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასონარკვეთილი დიასახლისები" **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "ტრავმა" (15) (კოლინ ფერტი) **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** მდინარის ბინადარნი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: გურმანი. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ცხოვრება. მხ. ფილმი. რეჟისორიელიზაბეტ რაპენო. 2005. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ეს მოხდა სენ-ტროპეზში. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. 03.00. 7კმ2 სამოთხე ზღვაში. დოკ. ფილმი. **04.20** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი.

**08.00** მხ. ფილმი "ვალენტინი" **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "მარადიული სიცოცხლე" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მოტაცება" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.15** სერიალი "ნათლია-ბონანოს ახალგაზრდობა" **17.00** სერიალი "ადვოკატები" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "შეტყობინება მთავრობის სახელზე" **19.00** დოკ. ფილმი "ქვის ხანის კოლუმბი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ადვოკატები" **23.00** ქართ. მხ. ფილმი "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" (გ) **01.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" **12.05** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.35** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **13.30** "ფოკუსის ისტორია" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "დიელი და პასკო" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "ბოროტმოქმედები" (გ) (ვ. გასმანი) **00.20** მხ. ფილმი "მსახიობები" (18) (ალენ დელონი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** ისტორიანი **20.05** სპექტაკლი "დარისპანის გასაჭირი"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 16.15, 17.10, 03.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დინების საწინააღმდეგოდ" (ჯ. რაში) **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** "ჩვენი ეზო" მე-2 გადაცემა **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-იორდანია. **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "გვაროვნული წყობილება" **23.45** მხ. ფილმი "ლეგენდა სურიოტაიზე" (15) **02.40** სერიალი "დრონგო" მე-3ს.

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.40** კომედია "კენგურუ ჯეკი" **10.00** "სპორტი" **10.30** მხ. ფილმი "თავდავიწყებული სიყვარული" **12.15** ვესტერნი "ზლუბერი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** ბოევიკი "სნაიპერი" **16.25** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "პრევენცია" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** "მოგზაური" **22.00** დოკ. ფილმი "მარია ანტუანეტა" **23.00** მხ. ფილმი "ირლანდიური კვარტალი"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** Первая программа. **10.10** Сериал **"ЕСЕНИН". 11.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 12.30** Док. сериал "Бандиты эпохи социализма". **13.20** Большой обед. **14.30** Мультфильм. **14.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 16.10** Лолита. Без комплексов. **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.00** Федеральный судья. **19.10** Кривое зеркало. **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 20.50** Пусть говорят. **22.00** Время. **22.30** Сериал **"ЕСЕНИН". 23.30** Док. фильм "Цыганское счастье". **00.40** Ночные новости. **01.00** Искатели. **01.50** Ударная сила. **02.40** Жан-Пьер Даруссен в комедии **"ЕСЛИ БЫ Я БЫЛ БОГАТ". 04.40** Сериал **"ЛИНИЯ ОГНЯ".**

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00**, **1.00** Сегодня. **11.15** Особо опасен! **11.50** Ток-шоу "Принцип домино". **12.50** Сериал **"АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ". 14.25** Для тебя. **15.25**, **20.40** Сериал **"БРИГАДА". 16.35**, **19.35**, **0.45** Чрезвычайное происшествие. **17.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.50** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2: АРЕНДА С ДОПЛАТОЙ". 23.40** Реальный сериал "Рублевка. Live". **01.20** Мэлколм МакДауэлл в фантастическом фильме **"ЗАВОДНОЙ АПЕЛЬСИН".** Насилие царит в умах и делах банды Алекса. Насилие как фетиш, как идеология становится предметом exидейнейшего и горького анализа, предпринятого впервые в мировом кино его незаурядным мастером Стэнли Кубриком. **04.20** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.15** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ-3". 06.05** Сериал **"КИН ЭДДИ".**

## ხუთშაბათი 17.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სული" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** "თავისუფალი თემა" **23.00** "ჯეობარი" **00.00** სერიალი "სიცრუის უდაბნო" **01.00** მხ. ფილმი "ინტიმური სცენები" (18) (ენ პარიო) **03.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** დღეები და ღამეები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** პეპელა გოლიათის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. **20.25** სახლი არხის პირას. მხ. ფილმი. რეჟისორი ალენ ბერლინერი. 2002. **24.25** აჩრდილები. მხ ფილმი. რეჟისორი რობინ კამპილო. 2004. **04.20** ბნელი ღამე. მხ ფილმი. რეჟისორი ალენ ტასმა. 2005.

**08.00** ქართ. მხ. ფილმი "მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "ქვის ხანის კოლუმბი" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მოტაცება" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.15** სერიალი "ნათლია-ბონანოს ახალგაზრდობა" **16.45** ტრადიციული თბილისის ტურნირი მინი-ფეხბურთში კ. მახარაძის თასზე **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **19.00** დოკ. ფილმი "ქარალის დაკარგული პირამიდები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ადვოკატები" **23.00** მხ. ფილმი "მძინარე უფსკრულის ლეგენდა" (გ) **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "ბოროტმოქმედები" **12.05** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.35** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **13.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **13.30** "ჰოლივუდი დღეს" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "დიელი და პასკო" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.10** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** მხ. ფილმი "მხიარული ახალგაზრდობა" (გ) (ლ. არლოვა) **00.00** მხ. ფილმი "აკატონე" (18) (ფ. ჩიტტი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** მრწამსი **20.05** კინოსეანსი "ბერიკაცები"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 13.15, 16.05, 17.10, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.30** ტვ-მარკეტი **13.40** "გვაროვნული წყობილება" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.55** ქრონიკა **15.30** "ათასიდან ერთი შანსი" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** კონცერტი "ფიროსმანი" 1-ლი ნ. **23.45** მხ. ფილმი "სიდედრი" (15) (ჯ. დენევი) **02.05** სერიალი "დრონგო" მე-4ს.

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "საზღვაო თავგადასავალი" **10.30** დოკ. ფილმი **11.25** სათავგად. ფილმი "ამერიკელი ბოროტმოქმედი" **13.00** ფანტასტიკა "ავტოსადგური" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** ბოევიკი "სნაიპერი-2" **16.20** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "ჭიტა-ჭიტა" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** კომედია "საღამო იბიცაზე" **23.00** "ექსკლუზივი" **00.15** თრილერი "მეზავრი"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** "Первая программа". **07.00** "Доброе утро!" **10.10** Сериал **"ЕСЕНИН". 11.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 12.30** Док. фильм "Красота из-под скальпеля". **13.20** "Большой обед". **14.30** Мультфильм. **14.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 16.10** "Лолита. Без комплексов". **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.00** "Федеральный судья". **19.10** "Кривое зеркало". **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 20.50** "Человек и закон". **22.00** "Время". **22.30** Сериал **"ЕСЕНИН". 23.30** Док. фильм "Служебный роман". **00.40** "Ночные новости". **01.00** "Судите сами". **02.00** Сэмюэл Л. Джексон в боевике **"ПОЦЕЛУЙ СМЕРТИ".** К главному герою Дэвиду Карузо, отсидевшему в свое время за угон машин, обращается за помощью его сводный брат. Он просит его перегнать фургоны с ворованными автомобилями, иначе матерый бандит-психопат по кличке Малыш Джуниор его искалечит. **04.05** Ян Харт в комедии **"СБЛИЖЕНИЕ".** Много лет прошло с тех пор, когда последний раз звенели свадебные колокола в маленькой ирландской деревушке. В ней остались только такие "привлекательные" женщины, что ни о какой романтике не могло быть и речи. Вконец отчаявшиеся найти свою половину парни посылают объявление о знакомстве в одну из центральных газет Майами, чтобы покончить со своей одинокой жизнью...

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00**, **01.00** Сегодня. **11.15** Криминальная Россия. **11.50** Ток-шоу "Принцип домино". **12.50** Сериал **"АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ". 14.25** Для тебя. **15.25**, **20.40** Сериал **"БРИГАДА". 16.35**, **19.35** Чрезвычайное происшествие. **17.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.50** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2: ЦОКОТУХА". 23.40** Ток-шоу "К барьеру!" **01.20** Тьерри Лермитт в фильме ужасов **"АМЕРИКАНСКИЙ ОБОРОТЕНЬ В ПАРИЖЕ".** Трое молодых американцев приезжают в Париж и забираются ночью на Эйфелеву башню, так как один из них, по имени Энди, хочет спрыгнуть вниз с растяжным канатом. И вдруг он видит, как красивая девушка бросается вниз, сводя счеты с жизнью... **03.30** Бильярд. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ-3". 06.05** Сериал **"КИН ЭДДИ".**

## პარასკევი 18.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "სიცრუის უდაბნო" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **18.30** პატრული **19.00** სერიალი "მეამბოხე სულები" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "ჩემი საყვარელი ბიჭი" (18) (კევინ ბეიკონი) **02.20** პატრული **02.40** მხ. ფილმი "ვიდოკი" (18)

### TV5

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. 06.25. ეს მოხდა სენ-ტროპეზში. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** მატყუარები. მხ ფილმი. რეჟისორი ბარბე შროდერი. 1984. **24.25** გამარჯობა სიცოცხლე. მხ ფილმი. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2001. **02.55** ფრანგული სამართლის ისტორია. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

**08.00** მხ. ფილმი "მძინარე უფსკრულის ლეგენდა" (გ) **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "ქარალის დაკარგული პირამიდები" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მოტაცება" **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.00** სერიალი "მძიმე პერიოდი" **17.00** დოკ. ფილმი "ვულკანების ხეივანი" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **19.00** დოკ. ფილმი "დღე, როცა ფიქრი ვისწავლეთ" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** მსოფლიო რაგბი **22.30** მუსიკა - ე. კლეპტონი **23.30** მხ. ფილმი "ლამაზი მეგობარი" (გ) **01.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **10.30** მხ. ფილმი "მხიარული ახალგაზრდობა" **12.05** "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.35** "ფოკუსის ისტორია" **13.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **14.05** კრიმ. სერიალი "სთშ" **14.50** სერიალი "დიელი და პასკო" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.25** ტელემეტრი **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.15** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** "რუსთა ველი" - კ. რაიკინი **22.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ. ფილმი "გვირაბი" (გ) (ჰაინო ფერხი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** სერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი "მოლიერი"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 16.15, 17.10, 03.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ოცდაცამეტი" (ე. ლეონოვი) **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი "ქალაქური ლეგენდები" (15) (ჯ. ლეტო) **02.25** სერიალი "დრონგო" მე-5ს.

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "50 პირველი კოცნა" **10.40** ისტორიული ფილმი "მისიე ტ" **12.50** ფანტასტიკა "დაუმარცხებელი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "კინჯაიტი აკრძალული თემები" **16.30** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** "ხელხვავი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** ინდური ფილმი **00.15** მხ. ფილმი "მონიკი"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** "Первая программа". **07.00** "Доброе утро!" **10.10** Сериал **"ЕСЕНИН". 11.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 12.30** Док. фильм "Ген долголетия". **13.20** "Большой обед". **14.30** Мультфильм. **14.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 16.10** "Лолита. Без комплексов". **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.00** "Федеральный судья". **19.10** "Кривое зеркало". **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ". 20.50** "Поле чудес". **22.00** "Время". **22.25** Сериал **"ЕСЕНИН". 00.00** Концерт "Ты - лучше!" **01.50** Майкл Дуглас в фильме **"ИГРА".** Преуспевающий финансовый воротила Николас Ортон считает, что его хорошо спланированная жизнь вне опасности. Все меняется, когда его брат преподносит ему в день рождения необычный подарок - игру. Начав играть, Николас обнаруживает, что ставка - его жизнь, а правила до сих пор не известны. **04.10** Адам Гарсиа в фильме **"КАБЛУКИ".** Чтобы прокормить себя, Шону приходится работать сталеваром на заводе по две смены, и под конец рабочего дня у него плавится защитная маска на лице. Но ему кажется, что он достоин большего - ведь он первоклассный танцор. И когда ему выпадает шанс покончить с надоевшим до тошноты образом жизни, он с радостью соглашается принять участие в танцевальном шоу чечеточников... **05.50** Док. фильм "Фидель и его Куба".

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00** Сегодня. **11.15** Криминальная Россия. **11.45** Ток-шоу "Принцип домино". **12.50** Сериал **"АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ". 14.25** Для тебя. **15.25** Сериал **"БРИГАДА". 16.35**, **19.35** Чрезвычайное происшествие. **17.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 20.45** Хазанов против НТВ. **23.40** "Совершенно секретно. Информация к размышлению: лондонские крыши". **00.45** Киану Ривз в мелодраме **"СЛАДКИЙ НОЯБРЬ".** Затянутый в строгий костюм рекламный агент-трудоголик Нельсон Мосс бежит по жизни вприпрыжку и не представляет себе другого стиля жизни. Но живая эксцентричная Сара Дивер, наполовину соблазнительница, наполовину философ, очень даже представляет. Если у нее получится, Нельсон станет ее новой победой в серии исправленных людских судеб... **03.20** Бильярд. **04.10** Кома: это правда. **04.40** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.30** Сара Полли в мелодраме **"ГВИНЕВЕРА".** Гвинивера - это прозвище, которое фотограф-художник Конни Фицпатрик дал юной Харпер Слоун. Они познакомились на свадьбе Сьюзан, старшей сестры Харпер. Опытный мастер Конни был опытен и по женской части. Харпер оказалась очередной его победой...

## შაბათი 19.11

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ქალაქელი მონადირე" **15.20** მხ. ფილმი "სერიული მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ანდრომედა" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.15** მხ. ფილმი "ჩერჩილი" (გ) (კ. სლეიტერი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "სექსუალური ფანტაზიები" (18) **02.20** კურიერი

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი ან ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა: ბიდუმ-ბიდუმ. **10.25** პლანეტის 7 დღე. **12.15** გამარჯობა სიცოცხლე. მხ ფილმი. რეჟისორი დანიელ ჟანო. 2001. **13.55** გადაცემა: მარჯვე ხელები. **16.30** გადაცემა: ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სხვა ცხოვრება. დოკ. ფილმი. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **24.25** კლარა შელერი. თელესრიალი. **04.20** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

**08.00** "მთავარი" **08.15** მომავლის ცირკი **08.55** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **09.20** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.45** საბ. სერიალი "სკოლის შემდეგ" **10.00** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **10.30** სერიალი "დინოტოპია" **11.30** დოკ. ფილმი "ჯანსაღი კვების სტილი" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "დარაბებს მიღმა გაზაფხულია" **13.55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. "ლოკომოტივი" - "ბორჯომი" **16.00** დოკ. ფილმი "შანელი" 1-2 ნაწ. **17.00** "ახალი პროექტი" - ქართული უნივერსიტეტი **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა - ერიკ კლეპტონი, ჯონ მეიოლი. **19.00** სერიალი "სტუდენტები" **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -დაიანა. 1-ლი ს. **21.30** ქართ. ფილმი "ჩემი ძვირფასი, სანატრელი ბაბუ" **23.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.40** მხ. ფილმი "შუქჩრდილები" (გ) 1-ლი ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "პროსტოკვაშინო" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** მხ. ფილმი "გვირაბი" (გ) **15.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **15.00** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **16.45** ფეხბურთი. **19.00** ფეხბურთი. **19.45** მზერა **21.00** მხ. ფილმი "არლეტი" (გ) (კ. ლამბერტი) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.35** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **23.00** მხ. ფილმი "რომის ოქრო" (15) (ა. ფერერო)

### მეორე არხი

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** სერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** კონცერტი **20.30** კინოსეანსი "არასერიოზული კაცი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.10** 12 პლუსი **10.30** უცხო სუნელი **11.00** ჩვენი ეზო **11.20** "რაორაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.20** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 01.15** ტვ-მარკეტი **13.20** მხ. ფილმი "ქორწილის ორგანიზატორი" (გ) (ჯ. ლოპესი) **15.15** "დეკო-რაციო" **15.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს შვიდი საოცრება" 1-ლი ს. **16.30** უცნობი საქართველო **17.10** სერიალი "მოჯადოება" **18.00** "ეტალონი" **19.00, 20.00, 23.00, 03.30** ქრონიკა **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.30** "ნაცნობი საქართველო" **21.00** სერიალი "საპონი" **22.00** "ალავერდი" **23.30** მხ. ფილმი "კარგი ქალი" (გ) (ჰ. ჰანტი) **01.50** მხ. ფილმი "სიყვარულის მრავალი წახნაგი" (გ) (ა. ჯოლი) **03.40** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტფილმი **10.20** "ჭიტა-ჭიტა" **10.35** კომედია "მელინდა და მელინდა" **12.20** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **12.40** ფანტასტიკა "სასიკვდილო გამოწვევა" **14.30** თეატრი **17.30** "ახალი ამბები" **17.50** ბოევიკი "რონინი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **20.30** "ახალი ამბები" **21.00** "ფერისცვალება" **21.20** დრამა "ელაპარაკე მას" **00.00** "ახალი ამბები" **00.15** თრილერი "ველური იღბალი"

### ОРТ

**07.00**, **11.00**, **13.00**, **19.00** Новости. **07.10** "Шутка за шуткой". **07.30** Владимир Гостюхин в киноальманахе **"В ПРОФИЛЬ И АНФАС" 09.00** "Играй, гармонь любимая!" **09.40** "Слово пастыря". **10.00** Мультфильм. **11.10** "Три окна". **11.50** Док. фильм "Личная жизнь Майи Плисецкой". **13.10** "Здоровье". **14.00** Док. сериал "Римская империя". **15.00 Футбол.** Чемпионат России. "Локомотив" - "Спартак". Заключительный тур. **17.00** "КВН-2005". Премьер-лига. Второй полуфинал. **19.10** Док. фильм "Дэвид Копперфилд: Разоблаченная иллюзия". **19.40** "Кто хочет стать миллионером?" **20.40** "Бисквит". **22.00** "Время". **22.20** "Умора-2005". **00.10** "Что? Где? Когда?" **01.30** Стивен Спилберг в фант. фильме **"ИСКУССТВЕННЫЙ РАЗУМ".** Это были времена, когда ледники под воздействием парникового эффекта растаяли, а океаны вышли из берегов и затопили все прибрежные города по всей земле. Амстердам, Венеция, Нью-Йорк погибли. Миллионы людей переселились. Климат стал непредсказуемым. Сотни миллионов в беднейших странах голодали. Однако в развитых странах сохранился высокий уровень жизни, поскольку правительства ввели строгие ограничения на рождаемость... **04.10** Майкл Китон в фильме **"ОПАСНЫЙ ДЖОННИ".** Нью-Йорк, 1910 год. Юный разносчик газет Джонни Келли принимает нелегкое решение: чтобы иметь возможность оплачивать счета за лечение матери, он начинает работать на гангстера Джоско Данди. Будучи честным по натуре, Джонни сильно терзается и не раз пытается покончить с ненавистным бизнесом... **05.50** Сериал **"ПРИРОЖДЕННЫЕ ОХОТНИКИ".**

### НТВ

**07.25** Михаил Жаров в детективе **"И СНОВА АНИСКИН". 08.35** Сериал **"АЛЬФ". 09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** Сегодня. **09.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 09.45** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.25** "Дикий мир". **11.15** Главная дорога. **11.55** Кулинарный поединок. **12.55** Квартирный вопрос. **14.20** Особо опасен! **15.05** Л. Удовиченко в мелодраме **"ЖЕНЩИНА ДЛЯ ВСЕХ". 17.15** "Женский взгляд". Г. Турецкий. **17.55** Своя игра. **18.50** Сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО". 20.30** Профессия - репортер. **20.55** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **21.50** Сериал **"АДВОКАТ: СВИДЕТЕЛЬ". 23.00** "Реальная политика". **23.40** Сильвестр Сталлоне в боевике **"РАЗРУШИТЕЛЬ".** Сержант Джон Спартан не просто борется с преступностью. Он набрасывается на нее, как голодный пес. Он - "Разрушитель". И он единственная надежда будущего. Ведь в 2032 году жестокий преступник Саймон Феникс выходит из 35-летнего замороженного состояния и обнаруживает, что безмятежная, свободная от насилия Калифорния готова сдаться на милость победителя... Он не учел лишь одного: Джон Спартан вновь намерен сразиться с ним в смертельном бою. **02.10 Мировой бокс.** Ночь нокаутов. **02.50** Марк Уолберг в фильме **"РОК-ЗВЕЗДА".** Днем Крис Коул занимается починкой копировальной техники. По ночам он подражает рок-группе "Steel Dragon", самой крутой в мире "тяжелого металла". Неожиданно ему представилась удивительная возможность: стать новым солистом настоящего "Steel Dragon"! В одночасье он, никому не известный парнишка из маленького городка, становится супер-звездой... **05.05** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3".**

## კვირა 20.11

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **12.50** მხ. ფილმი "დავიწყებული მელოდია ფლეიტისათვის" **15.20** მხ. ფილმი "ვირთხა" **17.00** სერიალი "ანდრომედა" **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.20** მხ. ფილმი "მამლუქი" (გ) **22.00** ჯეოსელის ლატარეა **23.00** გაიღიმეთ ფარული კამერაა **00.00** მხ. ფილმი "აკვანი დაირწევა" (15) (ჯონ კიუსაკი) **02.20** კურიერი **02.40** მხ. ფილმი "როცა თავი ღმერთი გგონია" (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), **03.50** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი, ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** ბიდუმ-ბიდუმ საბავშვო გადაცემა. **12.15** ეს მოხდა სენ-ტროპეზში. დოკ. ფილმი. **14.05** არტ რეპორტაჟი. **16.30** კლარა შელერი. ტელესერიალი. **19.05** გადაცემა: კიოსკი. **20.25** ევროპა 1-ისა და **TV5**-ის დიდი შეხვედრა. **21.15** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **23.05** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. I ლიგა. **03.00** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს.

**08.00** "მთავარი" **08.15** მომავლის ცირკი **08.55** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **09.20** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.45** საბ. სერიალი "სკოლის შემდეგ" **10.00** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **10.30** სერიალი "დინოტოპია" **11.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "ქამუშაძის გაჭირვება" **14.40** "ჩვენი ექსპრესი" **15.00** დოკ. ფილმი "აფთრები და ლომის ბოკვერები" **16.00** დოკ. ფილმი "შანელი" მე-3-4 ნაწ. **17.00** "ახალი პროექტი" - ეთნიკური უმცირესობები **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა - რ. ვაგნერი, მ. რაველი. **19.00** სერიალი "სტუდენტები" **20.00** "მთავარი" **20.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - დაიანა. მე-2ს. **21.30** მხ. ფილმი "ომის ცეკვა" (გ) **23.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.40** მხ. ფილმი "შუქჩრდილები" (გ) მე-2 ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.30** საინფორმაციო კოლაჟი **09.00** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "ჩებურაშკა" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** მხ. ფილმი "არლეტი" (გ) **14.40** მუსიკა მზეზე **15.00** "დევი ტრევისი" **15.30** სერიალი "სენიორ ვიანელო" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00** "დევი ტრევისი" **17.30** მუსიკა **17.55** მხ. ფილმი "ამბავი საბრალო შეყვარებულებისა" (გ) (მ. მასტროიანი) **19.45** "მზერა" **20.00** ფეხბურთი. **20.50** "ჰოლივუდი დღეს" **22.15** მხ. ფილმი "ბედის საჩუქარი" (გ) (ოლივია უილიამსი) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **22.15** მხ. ფილმი "სიყვარული და 45 კალიბრიანი ტყვია" (18) (რ. ზელვეგერი)

### მეორე არხი

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** დოკ. ფილმი "ზღვარი" **19.40** რაციო **20.45** კინოსეანსი "ლოლიტა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00** ქრონიკა **09.10** ანიმ. ფილმი "ატლანტიდის ლეგენდა" 1-2ნაწ. **09.50** "რაო, რაო?" **10.30** უცხო სუნელი **11.10** "წუთისოფელში" **11.40** "საკვირაო კოქტეილი" **12.40, 16.15, 00.10** ტვ-მარკეტი **13.20** "ჩვენი ექიმი" 1-ლი გადაცემა **14.00** "ალავერდი" მე-9 გადაცემა **15.15** "ეტალონი" **15.25** დოკ. სერიალი "მსოფლიოს შვიდი საოცრება" **15.55, 02.55** იმედის მელოდიები **16.30** სპ. პროგრამა "ოლიპიური ინტერიერი" **17.00, 19.00, 02.45** ქრონიკა **17.20** "პოლიციის აკადემია" **17.50** "არტ-ბულვარი" **18.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **19.30** ქართული მხ. ფილმი "დათა თუთაშხია" მე-6 ს. **21.00** დროება **22.30** მხ. ფილმი "უნივერსალური აგენტი" (12) (დ. ლუნდგრენი) **00.45** მხ. ფილმი "შარლოტა გრეი" (15) (კ. ბლანშეტი) **02.55** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტსერიალი **10.30** "მოგზაური" **11.00** "ფეხბურთი 11 საათზე" **12.00** "დებატები" **13.00** დოკ. ფილმი **14.00** "გადარჩენილი სიტყვა" **14.45** "ფერისცვალება" **15.00** მხ. ფილმი "საქორწინო წვეულება" **16.45** "ექსკლუზივი" **17.30, 00.00** "ახალი ამბები" **17.50** თრილერი "ციხის თამაშები" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **20.00** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **21.00** დოკ. ფილმი **22.00** "შესანიშნავი შვიდეული" **22.30** "მხოლოდ კინო" **22.45** კომედია "ისტვიქსის ჯადოქრები"

### ОРТ

**07.00**, **11.00**, **13.00** Новости. **07.10** "Шутка за шуткой". **07.40** Александр Збруев в фильме **"ПЯДЬ ЗЕМЛИ". 09.20** "Армейский магазин". **09.50**, **13.10** Мультфильм. **10.20** "Умницы и умники". **11.10** "Непутевые заметки". **11.30** "Пока все дома". **12.20** "Веселые картинки". **13.40** Док. сериал "Живой мир". **14.40** Дмитрий Певцов в боевике **"...ПО ПРОЗВИЩУ "ЗВЕРЬ" 16.20** "Новые песни о главном". **17.40** "Большие гонки". **19.00** "Времена". **20.10** "Ералаш". **20.40** "Сердце Африки". **22.00** "Время". **22.45** Роберт Редфорд в боевике **"ШПИОНСКИЕ ИГРЫ".** Натан Мюир, специальный агент ЦРУ с тридцатилетним стажем, готовится к выходу на пенсию. В свой последний рабочий день он неожиданно узнает, что его любимый ученик Том Бишоп находится в китайской тюрьме и ему грозит расстрел в течение 24 часов! Опасаясь международного скандала, руководство ЦРУ принимает решение не проводить операцию спасения своего агента, ибо риск провала слишком велик. Значит, у Натана остаются считанные часы для того, чтобы, рискуя жизнью попытаться спасти Тома самому... **01.10 Профессиональный бокс:** Б. Хопкинс - Д. Тейлор. **02.10** Суперчеловек: "Дары предков". **03.10** Питер Фальк в детективе **"ЭТЮД В ЧЕРНЫХ ТОНАХ".** Молодая талантливая пианистка Дженнифер Уэллес заявляет своему возлюбленному о том, что обнародует их связь. Для знаменитого дирижера Алекса Бенедикта это равносильно самоубийству, так как его теща является могущественной председательницей совета оркестра... **05.00** Сериал **"ПРИРОЖДЕННЫЕ ОХОТНИКИ".**

### НТВ

**06.15** Михаил Жаров в детективе **"И СНОВА АНИСКИН". 08.30** "Сказки Баженова". **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00** Сегодня. **09.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 09.40** Их нравы. **10.25** Едим дома. **11.15**, **21.25** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **11.40** "Top Gear". **12.15** "Растительная жизнь". **13.10** Цена удачи. **14.20** "Звездный бульвар". Д. Мацуев. **15.00** Александр Лазарев-мл. в триллере **"ПРИЯТЕЛЬ ПОКОЙНИКА".** Анатолий перебивается случайными заработками. Жена уходит от него. Отчаявшийся Анатолий заказывает собственное убийство. Осознав, что жить осталось совсем мало, он начинает понимать, что не в деньгах счастье. Анатолий пытается отменить заказ, но это невозможно, и тогда он нанимает убийцу для своего киллера. **17.20** "Один день. Новая версия". **17.55** Своя игра. **18.50** Сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО". 20.00** "Сегодня. Итоговая программа". **20.55** Чистосердечное признание. **21.50** Сериал **"АДВОКАТ: ГЛАВНАЯ РОЛЬ". 23.00** "Воскресный вечер". **00.20** Андрей Щенников в драме **"ДОЛГОЕ ПРОЩАНИЕ". 02.40** Журнал Лиги чемпионов. **03.20** Джеймс Каан в драме **"ЛЮДИ ДОЖДЯ".** Найт в роли Натали, бездетной домохозяйки с Лонг-Айленда. У нее приличный, порядочный муж Винни. Она узнает, что беременна и не знает, что делать. Поэтому она капризничает, время от времени требуя от мужа, чтобы тот извинился, не решаясь сказать о ребенке и своих мыслях сделать аборт... **05.20** Алек Болдуин в боевике **"МАЙАМИ БЛЮЗ".** Сумасшедший вор и убийца приезжает в Майами, знакомится с наивной девицей, не подозревающей, что тот собой представляет. Затем он крадет значок и документы полицейского детектива, который начинает его выслеживать.

*P.S. ფილმებთან არსებული ნიშნები (12), (15), (18) აღნიშნავს მათ კატეგორიას, რაც დადგენილია მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში.*

# ტომ კრუზმა და გაიმეტა

ტომ კრუზმა თავის დას ლი ენ დევეტს პრესაგენტის თანამდებობა დაატოვებინა. მისი ადგილი საზოგადოებასთან ურთიერთობაში გამოცდილმა სპეციალისტმა, ჰოლივუდელმა პოლ ბლოხმა დაიკავა.

მსახიობის უფროსი და ლი ენ დევეტი ძმის ატაშეს როლში თითქმის 20 თვე, 2004 წლიდან იყო. თავისი გადაწყვეტილების შესახებ ტომ კრუზმა ასე განაცხადა: "ლი ენმა ჩემთვის და კომპანიისთვის ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მას ყოველთვის სურდა საქველმოქმედო პროგრამების განხორციელება".

რაც შეეხება პოლ ბლოხს, ის არაერთ "ვარსკვლავთანაა" ნამუშევარი: ბრიუს უილისთან, კევინ კოსტნერთან, ლიზა მარი პრესლისთან და დიანა როსთან. პოლი ცნობილი პიარკომპანია "როჯერსის" ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა.

2005 წელს ტომ კრუზმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მედიაში იმიჯი შეილახა. ანტიდეპრესანტების გამოყენებისთვის მან საჯაროდ გააკრიტიკა მსახიობი ბრუკ შილდსი, პირდაპირ ეთერში გალანძღა ტელეწამყვანი მეტ ლაუერი, ხოლო ოფრა ვინფრის შოუს დროს კი, სადაც ქეთი ჰოლმსის ურთიერთობებზე საუბრობდა, დივანზე იხტუნავა.

# ილუზია, რომელსაც ფოსტერი გვიქმნის

ახალ თრილერ "ფრენის ილუზიაში" ჯოდი ფოსტერი ბავშვს ჰკარგავს და თვითმფრინავს იპყრობს... ფოსტერი ის ქალია, რომლის გამოც ერთ დროს მისმა თაყვანისმცემელმა პრეზიდენტ რეიგანს ესროლა. თუმცა ამ ფაქტს იშვიათად იგონებენ, შეიძლება იმიტომაც, რომ ბოლო წლებში მსახიობის კარიერა "გაიყინა". ამასვე მოწმობს როლები ფილმებში, რომლებიც, მარტივად რომ ვთქვათ, რესპექტაბელური ნაგავია.

ფილმი "ფრენის ილუზია" ჯოდი ფოსტერის იმიჯის ერთგვარი რეაბილიტაცია, თუმცა არასრული. აქ ის საკუთარი შესაძლებლობების – ქარიზმის, მოურჯულებლობის, შესანიშნავი ფიზიკური მომზადების მაქსიმუმს ავლენს. ის ამაყი ფემინისტია, რომელიც პლასტიკური ქირურგიის ჯადოქრობაზე უარს ამაყად აცხადებს.

ისტორია სევდიანად იწყება. საავიაციო ძრავების ინჟინერი ჯოდი ფოსტერი ქმარს ჰკარგავს – მან თავი მოიკლა თუ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, დაუდგენელია. ის სამსახურს ტოვებს და ევროპიდან შინ, ამერიკაში ბრუნდება. თან მეუღლის ნეშთი მოაქვს და ექვსი წლის ქალიშვილი ახლავს. თვითმფრინავის სალონში მჯდომ ფოსტერს ეძინება. გაღვიძებული შვილს ველარ პოულობს, მაგრამ ეს ყველაზე ცუდი როდია. არავის უნახავს როგორ ჯდებოდა ის თვითმფრინავში, არც მგზავრთა სიაშია დარეგისტრირებული. მფრინავებიც კი სახეშეშლილ დედას ეჭვით ეკითხებიან: იქნებ ბავშვი თან არც გყოლიათ, იქნებ საძილე დოზა გადააჭარბეთ ან პოსტრამვული სინდრომი გჭირთ?.. მომავალში ყველაფერი მარტივად იხსნება, მაგრამ მანამდე ფილმი გრძელდება. ყველა მოვლენა ნელა ვითარდება, დეტალურად იხსნება და აბსურდულია. მაგალითად, აბსურდულია, როცა ეკიპაჟი, რომელებსაც ბავშვის არსებობის საერთოდ არ სწამს, დაკარგულ გოგონას მაცივარსა და საპირფარეშოში ეძებს. მაყურებელს იპყრობს ილუზია, რომ ინჟინერი ქალი, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს თვითმფრინავის ყველა კუთხე-კუნჭულს, ტერორისტად იქცევა, მგზავრები კი მისი მძევლები არიან. ავიარეისის შიდა მხარე შესანიშნავად გამოიყურება – ლითონის დერეფნები, მოციმციმე ნათურები, პაწაწუნა ლიფტები. მოკლედ, ამ არაფრის მომცემი სტერილურობის შემყურეებს მატარებლით მგზავრობის სურვილი უჩნდებათ...

სიუჟეტი ბანალურია. დედობრივი ინსტინქტების მქონე ფოსტერი თავგამეტებით იცავს შთამომავლობას და ამით მეორდება, როგორც ფილმ "შიშის ოთახში".

ჩვენც განვმეორდებით - ფილმ "ტაქსისტში" ფოსტერის როლით აღტკინებულმა ჯონ ჰინკლიმ ქვეყნის პრეზიდენტს ესროლა, "ფრენის ილუზიის" გამო კი ალბათ არავინ არავის ესვრის. თუმცა, ფილმის ნახვა მაინც ღირს.

ფირმა
"დემასი"
აცხადებს ტენდერს ლოგოს შექმნაში.
ჰონორარის ოდენობა 600 აშშ დოლარი
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის
www.jobs.ge
ტელ: 920210

# ეკა და სახლ-მუზეუმი

**ეკა კვესიტაძე:** ჩვენი დღევანდელი "დიალოგების" თემაა ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმი, გადაცემის სტუმრები კი დავით ზურაბიშვილი და მერაბ კოკოჩაშვილი არიან. როგორც ცნობილია, საჯარო პირობების თანახმად, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმი და მიმდებარე ტერიტორია ინვესტორს 49-წლიანი იჯარით უნდა გადაეცეს. ინვესტორი ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში 70 ათას ამერიკულ დოლარს შეიტანს. საჯარო პირობებში ჩადებულია სახლ-მუზეუმისა და ექსპონატების მოვლა-პატრონობის ვალდებულებაც, ასევე, პერსონალის დასაქმება და თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს პირობები?

**მერაბ კოკოჩაშვილი**: იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონი, რომელიც ერთი მხრივ, დაიცავს მუზეუმს, მეორე მხრივ კი, დადებულია ისეთი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ამ კანონის შესრულება, მაშინ მისაღებია. მით უმეტეს, თუ ინვესტორი ამ თანხას ნამდვილად გადაიხდის და ამაზე შესაბამისი კონტროლიც დაწესდება.

**ეკა კვესიტაძე**: პრობლემას რაში ხედავთ?

**მერაბ კოკოჩაშვილი**: პრობლემა ის არის, რომ ეკონომიკისა და კულტურის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მოთხოვნები არ პასუხობს ჩემს მიერ დასმულ კითხვას. უფრო კონკრეტულად: ერთ მოთხოვნაში, რომელიც ერთი თვის წინ გამოქვეყნდა, მითითებულია, რომ ეს არის სახლ-მუზეუმი, მეორეში კი - საქმე ძეგლთან გვაქვს. მუზეუმსა და ძეგლს შორის დიდი სხვაობაა. ამიტომაც ეს მრავალ კითხვას ბადებს. რატომ გამოქვეყნდა ორი განსხვავებული მოთხოვნა, ვერ გეტყვით, თუმცა ეჭვს იწვევს. თუ ეს უბრალო შეცდომაა და ამის გამოსწორება შეიძლება, წინააღმდეგი არ ვიქნები. ოღონდ ამაზე მცოდნე ადამიანებმა უნდა იმუშაონ. პირადად მე ნამყოფი ვარ რამდენიმე მსგავს მუზეუმში, მაგალითად, იტალიაში, დაბა პოზიტანოში, სადაც ერთ-ერთი სახლ-მუზეუმის პატრონს შევხვდი, მან კი დაცული ტერიტორია დამათვალიერებინა. თუ ასეთი პირობები ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმსაც შეუქმნიან, წინააღმდეგი ნამდვილად არ ვიქნები.

**ეკა კვესიტაძე:** კულტურის მინისტრი აცხადებს, რომ ეკონომიკის მინისტრთან ერთად შექმნის ყველასთვის მისაღებ პირობებს. რა პირობებს აყენებს ოპოზიცია?

**დავით ზურაბიშვილი:** ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული, გამოცხადებული ტენდერიც ვიღაცის თვალის ასახვევად ჩატარდა. აჟიოტაჟი რომ არ ატეხილიყო, სახლ-მუზეუმის ბედი საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ მუზეუმის დოკუმენტაცია ნაჩქარევად გაფორმდა. აშკარა იყო, რომ სახლ-მუზეუმს ერთ ადამიანს ჩუქნიდნენ.

**ეკა კვესიტაძე**: თუმცა ის თანხა, რომელიც ყოველწლიურად ბიუჯეტში შევა, ძალიან შთამბეჭდავია.

**დავით ზურაბიშვილი:** არა მგონია, ჩვენი სახელმწიფოსთვის ეს დიდი ფული იყოს, ბოლოს და ბოლოს, ამდენს ერთი შადრევნისთვის იმეტებს... კერძო პირების წინააღმდეგი არ ვარ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სასურველ შედეგს მოიტანს.

**ეკა კვესიტაძე:** დამიზუსტეთ, ოპოზიცია პრობლემას რაში ხედავს, იმაში, რომ შესაძლებელია სახლ-მუზეუმის იჯარით გადაცემა თუ იმაში, რომ ტენდერში ჩადებული პირობები მიუღებელია?

**დავით ზურაბიშვილი:** ჩვენი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი კანონმდებლობაა, რომელიც იჯარით გადაცემას ეხება. ის არასრულყოფილია. არ არსებობს მოიჯარის გაკონტროლების არანაირი მექანიზმი. ეს კი უპირველესად სახელმწიფოსთვისაა საზიანო. მაგალითად, ეკონომიკის სამინისტრო არც ერთ ეკონომიკურ ობიეტს იჯარით არ გასცემს - ხდება ობიექტის პრივატიზაცია ან გაყიდვა. კანონმდებლობის მოგვარება რთული სამუშაო არ უნდა იყოს. ამ საქმეში ჩვენც ჩავერთვებოდით, დავადგენდით, რა ხდება სხვა ქვეყნებში, გავიზიარებდით მათ გამოცდილებას.

**ეკა კვესიტაძე**: უარეს შემთხვევაში რა შეიძლება დაემუქროს ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმს?

**მერაბ კოკოჩაშვილი**: ვინ მოუვლის სახლ-მუზეუმს? ყველამ ვიცით, რომ "სილქ როუთ გრუპ" სერიოზული ორგანიზაციაა და როცა გავიგე, რომ მათ აქვთ ინტერესი, დავფიქრდი. ეს ის ჯგუფია, რომელიც საქართველოში ტურისტული ბიზნესით შემოდის, ანუ მისი საქმე ტურისტული ინფრასტრუქტურის ამუშავებაა. ის ჩამოიყვანს სტუმრებს, რომლებსაც კახეთის რეგიონის ცხოვრებას გააცნობენ. ეს მისასალმებელია, რადგან საქართველოს გაცნობა დიპლომატიური საქმიანობაა. უბრალოდ, საჭიროა ძალიან ზუსტი ბიზნესგეგმის შედგენა, სადაც ყველაფერი იქნება გათვალისწინებული. ყველაზე უარეს შემთხვევაში უკონტროლობის სიტუაციის გამო მუზეუმი დაკარგავს ძეგლის სტატუსს, გაიფანტება სამუზეუმო ნივთები, გაუქმდება ენოთეკა, განადგურდება ბაღის მცენარეულობა. ამ ყველაფერს ყოველდღიური მუშაობა სჭირდება. რამდენიმე დღის წინ იქ გახლდით და ვნახე, რომ პარკი და მუზეუმი შეძლებისდაგვარად მოვლილია. იქ პრაქტიკულად ენთუზიასტები მუშაობენ. მძიმე პერიოდშიც სწორედ ამ ადამიანებმა გადაარჩინეს მუზეუმი და ისტორიული ნივთები სახლში შეინახეს.

**ეკა კვესიტაძე**: ამ რისკებზე პასუხიმგებლობას ვინ იღებს?

**მერაბ კოკოჩაშვილი**: სახელმწიფო. "იუნესკოში" ასეთი კანონია, იქმნება სპეციალური სახელმწიფო სამსახური ან ინვესტორის მაკონტროლებელი ორგანო.

**დავით ზურაბიშვილი:** ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკასა და ტრადიციებს. გვეკითხებიან, სხვა ქვეყნებში ასეთი კატეგორიული მოთხოვნები რატომ არ არისო. იქ სახელმწიფოს ნდობა სხვა სიმაღლეზეა. ჩვენთან ყველაფერი გაურკვეველი და ბუნდოვანია. ნებისმიერი მოთხოვნა მკაფიო უნდა იყოს.

**ეკა კვესიტაძე:** ბატონო მერაბ, ხვალ კულტურის ან ეკონომიკის მინისტრმა რომ გკითხოთ, რა პირობების გათვალისწინებას ითხოვთო, პასუხი მზად გექნებათ?

**მერაბ კოკოჩაშვილი**: პირველ რიგში უნდა დაკონკრეტდეს, ეს ძეგლია თუ მუზეუმი, შემდეგ – უნდა არსებობდეს მუზეუმის ექსპონატების, პარკის მცენარეულობისა და ინვენტარის ჩამონათვალი. მოიჯარემ უნდა იცოდეს, რაზეა პასუხისმგებელი. აუცილებლად დროში უნდა გაიწეროს კონტროლის მექანიზმი. სამუზეუმო ნივთები სპეციალისტებმა ზუსტად უნდა შეაფასონ. არსებობს წინანდლელთა პრობლემაც, რომელებიც ხელისუფლებას არ ენდობიან. რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზი აქვს. მათთვის სახლ-მუზეუმი სამომავლო პერსპექტივაა. ისინი იქ უნდა დასაქმდნენ.

**დავით ზურაბიშვილი**: სხვათა შორის, როცა კულტურის მინისტრი წინანდალში ჩაბრძანდა და მუზეუმის ტერიტორიაზე შევიდა, იქ გამგეობის წევრები დახვდნენ, ტელევიზიით კი გადაიცა, თითქოს მინისტრი მოსახლეობას შეხვდა. ცხადია, ამან წინანდლელების უკმაყოფილება გამოიწვია.

**ეკა კვესიტაძე**: სამწუხაროდ, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები გადაცემაში არ მოვიდნენ. ხშირად ასეთ დებატებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ.

**მერაბ კოკოჩაშვილი**: ეს ძალიან ცუდია. ერთად რომ ვყოფილიყავით, უფრო ბევრ რამეს გავარკვევდით, რადგან სინამდვილეში ერთ პოზიციაზე ვდგავართ. დარწმუნებული ვარ, კულტურისა და ეკონომიკის მინისტრები პატრიოტები არიან, მაგრამ საუბარია იმაზე, როგორ განვახორციელოთ საქმე, რომელიც მომავალში ქვეყანას სარგებელს მოუტანს.




ნინია კაკაბაძის სვეტი

# არაპროფესიონალიზმი თუ?



იმ მოვლენებს, რომლებიც ბოლო დროს საქართველოში, კერძოდ, თბილისში ხდება, ორი მხარე აქვს. უკანასკნელი ორი-სამი კვირის მანძილზე ჩვენ, საზოგადოება და ჩვენთან ერთად პოლიტიკოსები ხან ერთ ქანდაკებაზე ვმსჯელობთ, ხან მეორეზე, ხანაც წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის მომავალზე. რასაკვირველია, გაცილებით საინტერესოა ხელოვნების, თუნდაც არადამაკმაყოფილებელ ნიმუშებზე საუბარი, ვიდრე მერაბიშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე ან ოქრუაშვილის მიერ მადიანად მირთმეულ წვნიანზე. რასაკვირველია, ეს საკითხები ჩვენი ქვეყნის ყველაზე უინტერესო სფეროა, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ სწორედ ამ ორი ადამიანის პასუხისმგებლობაშია ქვეყნის სტრატეგიული ნაბიჯები. თუმცა, ეს სხვა თემაა და მასზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ფაქტი ერთია: საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი, ანუ საზოგადოების ყურადღება მთლიანად ძველი და ახალი მონუმენტებისკენ და წინანდლის სახლ-მუზეუმისკენ არის მიმართული. ქანდაკებებთან დაკავშირებით, საბედნიეროდ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს პროფესიონალებმა (გოგი ხოშტარია, მიტო თუმანიშვილი, ანი კლდიაშვილი, ლია ანთელავა და სხვა) და ამიტომ აღარ გავკადნიერდები, ჩემი მოკრძალებული აზრი ხელისუფლების არამოკრძალებული გადაწყვეტილების შესახებ კიდევ ერთხელ დავაფიქსირო. ვფიქრობ, ყველაფერი ცხადია: როგორც დავით აღმაშენებლის ქანდაკებას უნდა შეეცვალა ადგილმდებარეობა, ასევე თავისუფლების მოედანზე არ უნდა აღიმართოს "დიდი" ქართველი მონუმენტალისტის ზურაბ წერეთლის მორიგი უნიჭო ოპუსი. აზრთა სხვადასხვაობა და გაუგებრობა წინანდლის საკითხმა გამოიწვია.

წინანდლის თითქმის ხუთი ათეული წლით გასხვისების საკითხს ეწინააღმდეგება ოპოზიცია. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კი გაუგებარი (და არა მიუღებელი) რჩება მათი კრიტიკა. რაში მდგომარეობს პრობლემა, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ?! ვიდრე შეძლებისდაგვარად საკითხის განხილვას დავიწყებდეთ, მინდა ვთქვა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, განსაკუთრებით კი მისი ბაღი, ნამდვილად არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ის საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ისტორიული ძეგლია. თუ მისი მომავალი საფრთხეშია, ბუნებრივია, მისი დაცვა ყოველი ჩვენგანის ვალია. მაგრამ...

პირველი. უთანხმოების მიზეზი ის გახლავთ, რომ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროებს ვერ გადაუწყვეტიათ, წინანდალი სახლ-მუზეუმია თუ ისტორიული ძეგლი. ერთ დოკუმენტში მას ისტორიულ ძეგლად მოიხსენიებენ, მეორეში – სახლ-მუზეუმად ანუ კულტურულ მემკვიდრეობად. წინანდლის დროებით გასხვისების ოპონენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სახლ-მეზეუმი ძალიან იაფად არის შეფასებული. ასევე, ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, თუ რამდენად საიმედოდ იქნება დაცული სამუზეუმო ექსპონატები. თუმცა, როგორც არაპროფესიონალს (იურისტი არ გახლავართ), საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ძეგლთა დაცვის სამინისტროების მიერ გამოქვეყნებულ ერთობლივ დოკუმენტში (გაზეთი "24 საათი", 4 ნოემბერი) სახლ-მუზეუმის დაცვისა და მისი მოვლა-პატრონობის გარანტიები პრაქტიკულად ამომწურავად მეჩვენება. ამ დოკუმენტის მიხედვით სახლ-მუზეუმს და მთლიანად ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მაშინ ცოტა გაუგებარია, რაში მდგომარეობს პრობლემა?! ამას ალბათ უახლოეს მომავალში იურისტები და ამ საქმის სპეციალისტები განგვიმარტავენ.

ახლა რაც შეეხება ჩვენს წარმოდგენაში არსებულ საშიშროებას. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში კანონიერი გზით არც ხელისუფლება შეცვლილა და არც პრეზიდენტი, თითქმის არც ერთი მინისტრი წელიწადზე მეტხანს თავის თანამდებობაზე არ ყოფილა და ა.შ. ეს იმის მანიშნებელია, რომ ქაოსურობა და არასტაბილურობა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ მდგომარეობად იქცა. ასეთ პირობებში, როდესაც არ გვაქვს გარანტია, რომ ახლანდელი ხელისუფლება უახლოესი სამი-ოთხი წლის მანძილზე კანონიერად შეასრულებს თავის ვალდებულებებს (კანონს ის დღესაც არ ასრულებს), ბუნებრივია, საფრთხის წინაშე დგას დღეს დადებული ყველა ხელშეკრულება და, ცხადია, პატარა შიში და უნდობლობა საფუძველს მოკლებული არ არის.

მეორე. საქართველო საფრანგეთი არ არის. არც წინანდლის სახლ-მუზეუმი თუ ბაღია ვერსალის ანალოგი, მაგრამ იმის თქმა, რომ ფრანგული სახელმწიფო ვერსალის სასახლეს და მის უნიკალურ ბაღს ოდესმე, თუნდაც უკიდურესი გაჭირვების ჟამს, კერძო ინვესტორის ხელში მოაქცევდა, აბსურდულად ჟღერს.

ერთი სიტყვით, ჩვენი მსჯელობა რეალურ შედეგს ვერ გამოიღებს, ვიდრე არ მოგვარდება ერთი პრობლემა. ნებისმიერ საკითხს, როცა ის კულტურულ მემკვიდრეობას, სამუზეუმო ექსპონატს, ახალ მონუმენტს თუ არქიტექტურულ ნაგებობას შეეხება, გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ პროფესიონალები. საზოგადოებას მსჯელობის შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დისკუსია გადაწყვეტილების მიღებამდეა აუცილებელი. უკიდურეს შემთხვევაში, მისი აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. საზოგადოებას, რომელმაც ვერ გაარკვია, რეალურად რა პრობლემასთან აქვს საქმე, კომპეტენტური პირები უნდა აძლევდნენ დეტალურ ახსნა-განმარტებას. ყველაზე დიდი და მტკივნეული პრობლემა ის გახლავთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება კომუნისტური გამოცდილებით, ინტელიგენციასთან კავშირის ფობიით შეპყრობილი, სრულ იგნორირებაში აქცევს პროფესიონალიზმს და კომპეტენტურობას, რის გამოც გაურკვეველია წინანდლის მომავალი და გარკვეულია თავისუფლების მოედანზე მახინჯი ქმნილების დადგმის საკითხი. და რადგან გადაწყვეტილებას იღებს რამდენიმე მინისტრი (უკეთეს შემთხვევაში) ან მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი (უარეს შემთხვევაში), პასუხისმგებლობაც მთლიანად მათ ეკისრებათ. საზოგადოებამ კი უნდა იცოდეს, რა არის დღევანდელი მოვლენების მიზეზი - არაპროფესიონალიზმი თუ უბრალოდ უვიცობა და უგემოვნებობა?